CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 25 დეკემბერი, 2008 წელი. №289 (2033) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი

*2424

ზოგადი ინფორმაცია რუსეთის მხრიდან, აბრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ A6

სახალხო დიპლომატია პატრიარქის თაოსნობით A3

ისევ აგვისტოს დარდი A10

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI ბორჯომი

GRDC group

ჯი პი აი ჯგუფი
ეროვნული სადაზღვევო ჯგუფი

სიძულვილით დაბრმავებული მოსკოვი

ეუთოს შემდეგ საქართველოში კრემლის მორიგი სამიზნე გაეროს დამკვირვებელთა მისია ხდება

დიმიტრი ავალიანი

მას შემდეგ, რაც რუსეთმა ეუთო-ში ვეტოს უფლების გამოყენებით საქართველოში ამ ორგანიზაციის წარმომადგენლობის გაუქმებასა და სადამკვირვებლო მისიის შეწყვეტას მიაღწია, იგივე ბედი, შესაძლოა, აფხაზეთში განლაგებულ გაერო-ს დამკვირვებლებს ეწიოთ.

ოქტომბერში გაერო-ს უშიშროების საბჭომ გაერო-ს დამკვირვებელთა მისიას საქართველოში (UNOMIG), აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში მოქმედი მანდატი, ტრადიციული ექვსი თვის ნაცვლად, ოთხი თვით გაუგრძელა. განცხადება იმის შესახებ, რომ რუსეთმა გაერო-ს უშიშროების საბჭოს მორიგ სხდომაზე, მისიის გაგრძელების შესახებ რეზოლუციას, შესაძლოა, ვეტო დაადოს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა გააკეთა. თუმცა, მისი თქმით, **"ასე რომ არ მოხდეს, მოლაპარაკება ყოველდღე მიმდინარეობს... მიუხედავად იმ პესიმისტური სცენარისა, რომელიც მე ახლა აღვწერე, ჩვენ მაინც იმედი გვაქვს, რომ შესაძლებელი გახდება ყველასათვის მისაღები გამოსავლის მოძებნა,"** - აღნიშნა ნალბანდოვმა.

აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის ახალი მანდატი 15 თებერვლამდე უნდა შეამუშავდეს. ამის შესახებ გაერო-ში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა ვიტალი ჩურკინმა "რია ნოვოსტის" მიერ ორგანიზებულ მოსკოვი-ნიუ-იორკის ტელეხიდის მსვლელობისას განაცხადა.

მისივე თქმით, **"ახალ რეზოლუციაში, მისიას, რომელიც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მოქმედებს, უბრალოდ, "გაერო-ს მისია" ჰქვია."**

გაგრძელება A3 გვერდზე

"მართვის ფილოსოფიის" შესაცვლელად

დათო გამისონია

ქართული საზოგადოების რამდენიმეკვირიანი მოლოდინის შემდეგ, ირაკლი ალასანია თბილისში ჩამოვიდა. ის აქტიურ კონსულტაციებს იწყებს თითქმის ყველა პოლიტიკურ სუბიექტთან. ჯერჯეროობით ახალი პარტიის შექმნას არ გეგმავს.

ირაკლი ალასანიამ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ თანამდებობა 4 დეკემბერს დატოვა. ამ გადაწყვეტილებების მიზეზებზე საუბრისას, ალასანია საქართველოს პრეზიდენტისგან ძირეულად განსხვავებულ ხედვას ასახელებს - როგორც ქვეყნის შიდა პოლიტიკურ საკითხებში, ასევე სამხედრო და კონფლიქტის მოგვარების სფეროებში. მისი თქმით, მიხეილ სააკაშვილთან საბოლოო განსხვავება აგვისტოს აგრესიის შეფასებისა და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ხედვაში გამოიკვეთა.

გაგრძელება A3 გვერდზე

ირაკლი ალასანია: "ეს ცვლილება იქნება საქართველოს მოსახლეობის ნების გამოვლინება"

ხაბეჩა ჯიბლაძისა. ფოტო

საიდუმლო ფასი

ლიზა პავლოვა
მინსკი.
სპეციალურად "24 საათისთვის"

პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებით, 2009 წლის განმავლობაში ბელარუსისთვის ბუნებრივი გაზის საფასური 2.5-3-ჯერ შემცირდება. "გაზპრომი" ოფიციალურ კომენტარზე უარს აცხადებს. თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთსა და ბელარუსს შორის, უკვე მრავალი წლის მანძილზე ტრადიციად ქცეული საახალწლო "გაზის სკანდალი", ისტორიაში პირველად, წელს აღარ იქნება.

"ბელარუსისთვის ბუნებრივი გაზის საფასური კლებადი იქნება. 2009 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე იგი მნიშვნელოვნად, დაახლოებით, 2.5-3-ჯერ შემცირდება და ჩვენთვის მისაღები გახდება," - განაცხადა მოსკოვში დმიტრი მედვედევთან გამართული მოლაპარაკების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა ლუკაშენკომ. საყურადღებოა ის, რომ მოლაპარაკებების შემდეგ პრეზიდენტებს ჟურნალისტებისთვის ბრიფინგი არ გაუმართავთ, ხოლო ოფიციალურად ითქვა, რომ მხარეები მიღწეული შეთანხმების დეტალებზე არ ისაუბრებდნენ. სავარაუდოა, რომ ბელარუსისთვის რუსული გაზის ენერგომატარებლების ფასის შესახებ დოკუმენტებს ხელი მომავალი წლის იანვრის ბოლოს მოეწერება - მას შემდეგ, რაც საკავშირო სახელმწიფოს არაერთხელ გადადებული უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს სხდომა გაიმართება. ჩაშლილი მოლაპარაკებების გამო საყვედური და ბრალდება ერთმანეთისთვის არც ერთ მხარეს არ დაუკლია. მეტიც, საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად ბელარუსული მხარე მზად იყო, საჯარო გაეხადა დიპლომატიური მიმოწერა, რის პასუხადაც მოსკოვი პრეზიდენტების პირისპირ შეხვედრის სტენოგრამის გამოქვეყნებით იმუქრებოდა.

მოსკოვში ლუკაშენკოს გამგზავრებამდე ვითარება არცთუ სახარბიელო იყო. რუსულ მასმედიაში ხშირად საუბრობდნენ იმაზეც, რომ ბუნებრივ გაზზე შედარებით დაბალი ფასისთვის მოსკოვს, შესაძლოა, მინსკისგან სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება და სააქციო საზოგადოება "ბელტრანსგაზის" 100-პროცენტიანი პაკეტი მოეთხოვა.

გაგრძელება A7 გვერდზე

CMYK - 1

დევნილთა 95 პროცენტი დაბინავებულია

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანთან და რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ დავით ტყეშელაშვილთან ერთად, აგვისტოში რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის გამოყოფილი თანხების ხარჯვითი ანგარიში წარადგინა. ხელისუფლების წარმომადგენელთა განცხადებით, დღეისთვის დევნილების 95 პროცენტი საცხოვრებლით დაკმაყოფილებულია - აშენებულია 3963 კოტეჯი, თითოეულის ღირებულება 27.933 ლარია. დევნილებისთვის განკუთვნილი კოტეჯების მშენებლობა ხელისუფლებას, საერთო ჯამში, 110 მლნ 698 ათას 625 ლარი დაუჯდა.

ქვეყნის ხელისუფლებამ რუსული აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის კოტეჯების მშენებლობის პარალელურად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კორპუსებისა და ბინების რეაბილიტაციაც განახორციელა. 1500 ბინის რეაბილიტაციისთვის სულ 19 მლნ 923 ათას 754 ლარი დაიხარჯა.

რაც შეეხება შეძენილი სახლების რაოდენობას, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრ ვანო მერაბიშვილის თქმით, ხელისუფლებამ 453 ბინა შეიძინა, რომელთაგან თითოეულის ფასი, საშუალოდ, 13.281 ლარს შეადგენს. ეს ღონისძიება კი, მთლიანად, 8 მლნ 281 ათას 991 ლარი დაჯდა.

ხელისუფლების წარმომადგენელთა განმარტებით, დევნილების გარკვეულმა ნაწილმა გამოთქვა სურვილი, კოტეჯების ან ბინების სანაცვლოდ კომპენსაცია მიეღოთ. გარდა ამისა, მოხდა ბინების უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და წყალმომარაგებით, ზოგიერთ სოფელში კი, სადაც შესაძლებელი იყო, გაზიფიკაციაც ჩატარდა. **"1578 ოჯახმა მიიღო კომპენსაცია 10 ათასი აშშ დოლარის ოდენობით. სულ მთლიანად ჯამური კომპენსაცია - 26 მლნ 194 ათას 800 ლარი გაიცა. რაც შეეხება გაზიფიკაციას და ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას, სულ 4912 აბონენტია და თითოეულზე 998 ლარი დაიხარჯა. მთლიანად დაიხარჯა 4 მლნ 900 ათას 011 ლარი. გარე ელექტრომომარაგების სისტემაზე დაიხარჯა 4 მლნ 324 ათას 234 ლარი. გარე წყალმომარაგებაზე და კანალიზაციაზე - 11 მლნ 803 ათას 892 ლარი, ახალ შიდა გზებზე - 8 მლნ 526 ათას 599 ლარი, ძველი შიდა გზების რეაბილიტაციაზე - 379 ათას 492 ლარი, დახმარების პაკეტს რაც შეეხება, 5463 ოჯახზე გაიცა - თითოეულზე 2.370 ლარის ოდენობით და სულ დაიხარჯა 12 მლნ 951 ათას 615 ლარი,"** - აღნიშნა შსს მინისტრმა.

რაც შეეხება სახლებისა და ბინების რეაბილიტაციას, ე.წ. ბუფერულ ზონებში, ვანო მერაბიშვილის თქმით, ასეთი 9342 სახლია. თითოეულის ღირებულებაა 2050 ლარი და ამ მიმართულებით 19 მლნ 152 ათას 536 ლარი დაიხარჯა. დამწვარი სახლების სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციები 415 ოჯახზე 24 ათას 900 ლარის ოდენობით გაიცა და 10 მლნ 333 ათას 500 ლარი შეადგინა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპისთვის დევნილების 95 პროცენტი დაკმაყოფილებულია, ოკუპირებული ტერიტორიიდან გამოსული ადამიანების რაოდენობა დღემდე იზრდება. **"ეს პროცესი დღესაც გრძელდება. ზამთრის გამო სწრაფად ვერ განხორციელდება მათთვის ბინებთან დაკავშირებული კომპენსაციების მიცემა, თუმცა გაზაფხულიდან ხელისუფლება 100 პროცენტით შეძლებს ამ ადამიანების დაკმაყოფილებას,"** - აცხადებს ვანო მერაბიშვილი.

შსს მინისტრის მტკიცებით, იმ სოფლების მახლობლად, სადაც დევნილებისთვის საცხოვრებელი კოტეჯები აშენდა, რამდენიმე მცირე საწარმო გაიხსნება, რაც ახალი სამუშაო ადგილების შექმნას უზრუნველყოფს. იმ ადამიანებისთვის კი, რომლებიც ომამდე მიწათმოქმედებას ეწეოდნენ, მიწის ნაკვეთების გადაცემა იანვრის ბოლოდან დაიწყება და გაზაფხულამდე დასრულდება.

რაც შეეხება დევნილების საბანკო დავალიანებებს, როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა განაცხადა, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბანკებმა დევნილებს ჯარიმა არ დააკისრონ. ამჟამად დავალიანებები გადავადებულია.

ნათია მსხილაძე

სახალხო დიპლომატია პატრიარქის თაოსნობით

გიორგი ასანიშვილი

გუშინ სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გაიხსნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრების 31 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია, სახელწოდებით, "რწმენა და ცოდნა - მსოფლიო კულტურის საფუძველი". ფორუმს, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, ესწრებოდნენ მსოფლიოს მართლმადიდებლური ეკლესიების, საზოგადოების წარმომადგენლები, აგრეთვე ქართველი და უცხოელი პოლიტიკოსები. ამ უკანასკნელმა "კატეგორიამ" სასულიერო-კულტურულ ღონისძიებას, გარკვეულწილად, პოლიტიკური დატვირთვა შესძინა. ეს "ტენდენცია", მნიშვნელოვანწილად, კონფერენციაში რუსული დელეგაციის მონაწილეობამაც განაპირობა.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია მეორე საერთაშორისო კონფერენციას მასპინძლობს

რუსეთის დელეგაციას პრეზიდენტ მედვედევის მრჩეველი საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობებში, რუსეთის კულტურის ყოფილი მინისტრი მიხეილ შვიდკოი ხელმძღვანელობდა.

"იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის აღსაყდრების იუბილის მილოცვის შესაძლებლობა მოგვეცა, ალბათ, ყველაზე მთავარია, რამაც ჩვენ აქ ჩამოგვიყვანა. საუბარი მის უწმინდესობასთან, რომელსაც მთელი საქართველოს ტკივილი აქვს გათავისებული, ბევრ რამეს ჰფენს ნათელს," - ქედს იხრის ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლის წინაშე რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი.

ამასთან, შვიდკოი აზუსტებს, რომ ამჯერად რუსული დელეგაცია საქართველოში პოლიტიკური ურთიერთობების გამოსასწორებლად არ ჩამოსულა.

"საქართველოში დღეს იმისთვის არ ვიმყოფებით, რომ ხელისუფლების უმაღლეს პირებს, სასულიერო მოღვაწეებს ან საზოგადოებას რაიმე კონკრეტული გეგმა შევთავაზოთ, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებული პრობლემების გადაწყვეტის საფუძველი გახდება," - დიდ პოლიტიკას ემიჯნება მედვედევის მრჩეველი.

კითხვაზე, შესაძლებელი და მოსალოდნელია თუ არა რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, შვიდკოი აცხადებს, რომ ეს საკითხი მისთვის უცნობია.

"ალექსი მეორის დაკრძალვის დროს, საქართველოს პატრიარქის რუსეთში ვიზიტი, ამჟამად კი რუსული დელეგაციის ჩამოსვლა საქართველოში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახალხო დიპლომატიისთვის, რომელმაც, შეიძლება, პირველი სასიკეთო ძვრები მოახდინოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში," - როგორც ირკვევა, პოლიტიკური კლიმატის დათბობის წინაპირობად შვიდკოი სახალხო დიპლომატიის გააქტიურებას მიიჩნევს.

უახლოეს ხანში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მნიშვნელოვან გარღვევას არც კონფერენციის სხვა მონაწილეები ელიან.

"სწრაფ, რადიკალურ შედეგებს არ უნდა ველოდეთ, რადგან ურთიერთობების გაფუჭება ძალიან ადვილი საქმეა, გაფუჭებული ურთიერთობების აღდგენა კი - ძალიან ძნელი. ამიტომ, საუბარია არა იმაზე, რომ ვითარება უცებ, ერთბაშად გაუმჯობესდეს, არამედ იმაზე, რომ ამ მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგას," - აცხადებს რუსეთის დელეგაციის წევრი, ჟურნალისტი ნიკოლოზ სვანიძე.

ამასთან, რუსი სტუმრებიც და ქართული მხარის წარმომადგენლები თანხმდებიან იმაში, რომ მსგავსი კონფერენციების ჩატარება ხელს შეუწყობს რუსულ-ქართული ურთიერთობების აღდგენას. მათი თქმით, სწორედ სასულიერო და კულტურის მოღვაწეთა შორის კონტაქტების გაღრმავება შეიძლება გახდეს პოლიტიკური პრობლემების დარეგულირების საფუძველი.

"ქართულ ეკლესიასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება გვაკავშირებს. ჩვენ ისევე გვიყვარს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, როგორც თქვენ, ქართველ ხალხს. იმედია, რომ ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაუმჯობესებას," - აღნიშნავს ორენბურგისა და ბაზელის მიტროპოლიტი, მეუფე ვალენტინი.

კონფერენციის კიდევ ერთი რუსი მონაწილე, მწერალი ანდრეი ვატოვი კი ამბობს, რომ ის არ არის პოლიტიკოსი და არ იცის, თუ როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები, მაგრამ **"თუ ხალხს სურს და ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრი რუსეთსა და საქართველოს შორის კონტაქტების აღდგენას მოითხოვს, რამდენ ხანსაც არ უნდა შეუშალონ ამას ხელი, კავშირები მაინც აღდგება".**

უკეთესი მომავლის იმედად არის რუსეთში საქართველოს ყოფილი ელჩი ზურაბ აბაშიძეც.

"მნიშვნელოვანია, რომ ორ ეკლესიას შორის მიმდინარე დიალოგში რუსეთის საზოგადოებისა და კულტურის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. ეს დიალოგი შემდგომში, ალბათ, კიდევ უფრო გაფართოვდება და მასში პოლიტიკოსებიც ჩაერთვებიან. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება ვიფიქროთ იმაზე, რომ რაღაც ეტაპიდან ურთიერთობები ნორმალიზებისკენ შემობრუნდება," - მიიჩნევს ზურაბ აბაშიძე.

კიდევ ერთი ყოფილი დიპლომატი გოგი ხოშტარია კი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების მთავარ დამაბრკოლებელ ფაქტორზე ამახვილებს ყურადღებას.

"სანამ რუსის ჩექმა აქ დგას, ურთიერთობების გაუმჯობესებაზე ფიქრი ძალიან ძნელია," - აცხადებს საქართველოს საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი...

ასე რომ, კონფერენციის მონაწილეთა მოსაზრებებიდან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, ორი ქვეყნის ურთიერთობებში შემობრუნების წერტილად სწორედ გუშინდელი ფორუმი იქცეს.

"იმედი მაქვს, რომ კონფერენციაზე რუსული დელეგაციის ვიზიტი სასიკეთო ცვლილებას შეიტანს ორი ქვეყნის ურთიერთობებში," - ოპტიმისტურად არის განწყობილი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

გუშინ, "ქორთიარდ მარიოტში" გამართული კონფერენციის დასრულების შემდეგ, მისი მონაწილეები მცხეთას ესტუმრნენ და ღირსშესანიშნაობები დაათვალიერეს, საღამოს კი რუსმა და ქართველმა სასულიერო პირებმა სამების საკათედრო ტაძარში ერთობლივი წირვა აღავლინეს.

ზურაბიშვილი-ნოღაიდელის შეხვედრა

"საქართველოს გზის" ლიდერი სალომე ზურაბიშვილი ყოფილ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს შეხვდა.

შეხვედრა სალომე ზურაბიშვილის ინიციატივით პარტია "სამართლიანი საქართველოს" ოფისში შედგა. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოში უნდა დაინიშნოს რიგგარეშე საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, ის ხვდება ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიას იმისთვის, რომ გამოჩნდეს, თუ რამდენად არის შესაძლებელი ერთიანი სტრატეგიის შემუშავება.

"ქვეყანა იღუპება, ძალიან მძიმე ვითარებაა ყველა კუთხით. ეს ხელისუფლება ვეღარ მართავს ქვეყანას და ამოწურა ყველა სახის რესურსი, ამიტომ ის უნდა წავიდეს და ჩვენ უნდა მოვემზადოთ იმისთვის, რომ დაინიშნოს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, სადაც საზოგადოებას მიეცემა საშუალება, გააკეთოს საკუთარი არჩევანი," - აღნიშნა სალომე ზურაბიშვილმა.

ზურაბ ნოღაიდელი კი აცხადებს, რომ საქართველოს მთავრობა მხოლოდ ხელისუფლების შენარჩუნების კამპანიითაა დაკავებული. "ქვეყანა ბევრად უფრო სწრაფად შედის მძიმე კრიზისში, ვიდრე ეს ჩვენ წარმოგვედგინა. საქართველო არ იმართება არც ერთი მიმართულებით. ამიტომ სულ უფრო აქტუალური ხდება ამ ხელისუფლების საერთოდ წასვლა პოლიტიკური არენიდან," - განაცხადა ნოღაიდელმა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ ეს არ უნდა იყოს და ვერც იქნება ერთპარტიული სისტემის მეორე ერთპარტიული სისტემით ჩანაცვლება და ოპოზიციამ უნდა შეძლოს რამდენიმე პარტიისგან შემდგარი ძლიერი პოლიტიკური ალტერნატივის ჩამოყალიბება.

სალომე ზურაბიშვილი მსგავსი ტიპის შეხვედრებს ოპოზიციური პარტიის სხვა წარმომადგენლებთანაც გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

სიძულვილით დაბრმავებული მოსკოვი

პირველი გვერდიდან

მოსკოვი და სოხუმი აგვისტოს კონფლიქტის და რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის "აღიარების" შემდეგ, მისიის სახელწოდებიდან სიტყვა "საქართველოს" ამოღებას მოითხოვდნენ.

"გეოპოლიტიკური რეალობა შეიცვალა და დასახელებებით ოპერირება არასწორად მიგვაჩნია. 15 თებერვლამდე, ჟენევის დისკუსიების გათვალისწინებით, მოგვიწევს მისიის ახალი მანდატის შემუშავება. როგორც ვიცი, ამ კონსულტაციებზე რაიმე კონკრეტულ შედეგს ვერ მიაღწიეს და ეს სამუშაო ჩვენზე გადმოდის. ვნახავთ, როგორ განისაზღვრება ჟენევის შეხვედრაზე გაერო-ს როლი. თუ გაერო-ს ამოცანები გაფართოვდება, მაშინ პროცესს მნიშვნელოვანწილად უშიშროების საბჭოც შეუერთდება," - განაცხადა ჩურკინმა.

მისი თქმით, დღეისთვის გაერო-ს უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში კავკასიაში ვითარების შესახებ მსჯელობა არ დგას.

გაერო-ს რეფორმირების საკითხზე საუბრისას ჩურკინმა ასევე აღნიშნა, რომ **"ვეტოზე ჩვენი უფლების რაიმე გზით დასუსტებას არ დავუშვებთ."**

საქართველოში გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის ფორმატის შესახებ თავისი აზრი გუშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა და აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა სერგეი შამბამ დააფიქსირეს. მათ განაცხადეს, რომ მისიის მომავალი მანდატი რეგიონში **"ახალი რეალიების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს."**

"24 საათთან" საუბრისას საქართველოს პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა აღნიშნა, რომ არ გამორიცხავს, რუსეთმა აფხაზეთში გაერო-ს დამკვირვებელთა მისიის შეჩერება მართლაც გადაწყვიტოს. **"ეს არაკონსტრუქციული და არალოგიკური ნაბიჯი იქნებოდა. რუსეთი ამით დაუპირისპირდება ყველას და ყველაფერს, თავად საერთაშორისო სამართალს. მაგრამ, მოსკოვი იმდენად დაბრმავებულია საქართველოს დამოუკიდებლობის სიძულვილით, რომ საქართველოს საზიანოდ ყველაფერს გააკეთებს,"** - აღნიშნა დარჩიაშვილმა.

მისი თქმით, დაუშვებელია რუსეთის მოთხოვნით მისიის სახელწოდების შეცვლა, რითიც რუსეთი აფხაზეთის "აღიარების" დაკანონებას შეეცდება. ამ მოთხოვნით **"რუსეთი შანტაჟზე მიდის, მაგრამ საეჭვოა, ამ შანტაჟს ვინმე წამოეგოს,"** - მიიჩნევს დეპუტატი.

"მართვის ფილოსოფიის" შესაცვლელად

პირველი გვერდიდან

"ვფიქრობ, არსებული კრიზისი განაპირობა ქვეყნისათვის სასიცოცხლო გადაწყვეტილებების მიღების ერთპიროვნულმა, ქაოტურმა, არაინსტიტუციურმა პროცესმა და სახელმწიფო მართვის გამჭვირვალე სისტემის არარსებობამ. ამ საკითხებზე ჩემს კრიტიკულ დამოკიდებულებას ხშირად ვაცნობდი საქართველოს პრეზიდენტს. სამწუხაროდ, ეს მოსაზრებები არ იქნა გაზიარებული, რამაც დამარწმუნა, რომ დაკავებული თანამდებობიდან მოვლენებზე რაიმე გავლენის მოხდენა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო," - განაცხადა პრესკონფერენციაზე ირაკლი ალასანიამ.

ალასანიას თქმით, შეერთებული შტატები ხშირად აფრთხილებდა საქართველოს ხელისუფლებას, რომ მოსალოდნელი იყო სამხედრო პროვოკაცია, ხოლო ჩვენი ხელისუფლების მთავარი მოვალეობა პროგნოზირებადი საფრთხის თავიდან აცილება იყო. **"ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა მოუმზადებელი აღმოჩნდა საქართველოზე განხორციელებული აგრესიის მოსაგერიებლად. პრეზიდენტმა ვერ შეაფასა ვერც ჩვენი ძალები, ვერც მოსალოდნელი აგრესიის მასშტაბები და ვერც მისი კატასტროფული შედეგები. რუსეთთან ომის თავიდან აცილების გზები არსებობდა. ამ პროვოკაციულ ომში საქართველოს ჩაბმის პასუხისმგებლობა ქვეყნის პრეზიდენტს ეკისრება,"** - განაცხადა ალასანიამ.

მან საქართველოს დღევანდელ მდგომარეობაზეც ისაუბრა. მისი თქმით, დღეს ქვეყნის უსაფრთხოება დაუცველია და ხალხი სამხედრო დაპირისპირების განახლების შიშის ქვეშ იმყოფება. მისი თქმით, 2004 წელს საქართველოში დაწყებული ცალკეული პოზიტიური ძვრები შეუქცევადი არ აღმოჩნდა. გაერო-ში საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკური სტრატეგია და ბიზნესზე გამუდმებული ზეწოლაა. მისივე აზრით, ომით გამოწვეულმა არასტაბილურობამ საქართველოს დააკარგვინა საინვესტიციო მიმზიდველობა, რის გამოც იზრდება უმუშევართა რიცხვი, ამას კი ემატება საქართველოში დემოკრატიის შეზღუდვა.

"დღეს საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს სამოქალაქო უფლებების და ძირითადი თავისუფლებების დარღვევა - თავისუფალი მედიის შეზღუდვა, სასამართლო სისტემის უსამართლობა, სამართალდამცავ სტრუქტურებში დანაშაულებრივი, რეპრესიული ქვედანაყოფების გაჩენა, საკუთრების უფლების იგნორირება," - განაცხადა ალასანიამ.

წარსულის შეცვლა არ შეიძლება - ამ სიტყვებით დაიწყო მან საქართველოს მომავლის შესახებ ლაპარაკი. ალასანიამ რამდენიმე პრიორიტეტზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, საქართველოს მომავალი დასავლეთთან ინტეგრაციასა და ევროპული უსაფრთხოების სისტემაშია - საქართველოს სტრატეგიული ურთიერთობა აშშ-სთან უნდა გახდეს ყოვლისმომცველი და ინსტიტიციურად მყარი. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ამ საკითხის მოგვარების გზებს ყოფილი ელჩი პრაგმატული და პრინციპული ნაბიჯების გადადგმაში ხედავს.

საქართველოში კონფლიქტების მოსაგვარებლად, რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების გარდა, ალასანიას აზრით, აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი ურთიერთობების დამყარება.

ქვეყანაში შექმნილი კრიზისის დაძლევის მთავარ საშუალებად ალასანია ვადამდელ არჩევნებს მიიჩნევს: **"ეს ცვლილება იქნება საქართველოს მოსახლეობის ნების გამოვლინება, იქნება მშვიდობიანი და არ გასცდება კონსტიტუციის ფარგლებს. ამ საქმეში თავის წვლილს შეიტანს ყველა ღირსეული და პატრიოტი ადამიანი, იქნება იგი ხელისუფლებაში, ოპოზიციაში, პოლიტიკაში თუ პოლიტიკის გარეთ. ჩვენ ერთად, თანხმობით, მოთმინებით და სიმტკიცით გავაკეთებთ ახალ არჩევანს."**

მისი თქმით, ამ მიზნის მისაღწევად კონსულტაციები საზოგადოების და პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებთან უკვე დაწყებულია.

გუშინ ირაკლი ალასანიას არ დაუსახელებია ის პოლიტიკური ძალა, რომელსაც საკუთარი მიზნების მისაღწევად დაეყრდნობა. ამის პროგნოზირების საშუალებას არც პრესკონფერენციაზე დამსწრე საზოგადოება იძლეოდა - ერთადერთი ოპოზიციონერი, რომელიც გუშინ მის საჯარო განცხადებებს დაესწრო, გოგა ხაინდრავა იყო.

ირაკლი ალასანია პოლიტიკურ სასწორზე

გაერო-ში საქართველოს ელჩი კახა ლომაია ირაკლი ალასანიას მუშაობის დეტალური შეფასებისგან თავს იკავებს. როგორც ლომაიამ გუშინ ჟურნალისტებს განუცხადა, ალასანიას მუშაობის შეფასებისას კომპეტენტური არ იქნება. **"მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რაც საგარეო საქმეთა სამინისტროში მოვსმინე. კერძოდ ის, რომ საქართველოს დიპლომატიური მისია გაერო-ში ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მისიაა, რაც ახასიათებს მისიის ხელმძღვანელსაც და თანამშრომლებსაც. ასე რომ, ჩემთვის დიდი პატივი იქნება, ასეთ კვალიფიციურ ხალხთან ერთად მუშაობა,"** - განაცხადა კახა ლომაიამ და დასძინა, რომ აპირებს ალასანიასთან შეხვედრას, რაც საქმის გადაბარების პროცესს უკავშირდება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ კობა ხაბაზისთვის საწყენია, რომ აგვისტოს ომის პროვოკაციულობაზე ისეთი ადამიანი საუბრობს, ვინც მოვლენებში კარგად ჩახედულია და რეალობის შესახებ აბსოლუტურად უტყუარი ინფორმაცია აქვს. მისი თქმით, აგვისტოს ომისას არავითარი პროვოკაცია არ ყოფილა, არამედ რუსეთმა სრულიად აშკარად დაიწყო ქართული სოფლების დაბომბვა, შემოვლითი გზის აღება და ა.შ. **"საქართველოს ხელისუფლებას თუ ჰქონდა ელემენტარული თავმოყვარეობა, მას უნდა ეპასუხა იმ შემოტევაზე, რაც ხორციელდებოდა საქართველოზე. ძალიან ცუდია, როდესაც ასეთი განცხადებები ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ კეთდება,"** - აცხადებს ხაბაზი. დეპუტატი დასძენს, რომ ალასანია ან მაშინ იყო ყალბი, როდესაც სრულიად განსხვავებულ განცხადებებს აკეთებდა, ან ახლა, როცა უკვე აღარ არის ხელისუფლებაში და ქართულ პოლიტიკაში იაფფასიანი განცხადებებით ცდილობს თავის დამკვიდრებას.

გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის ირაკლი ალასანიას ოპოზიციურ ფლანგზე გააქტიურებით ყოფილი სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში გოგა ხაინდრავაც დაინტერესდა. **"დარწმუნებული ვარ, რომ ირაკლი ალასანია ოპოზიციურ ფლანგზე ერთ-ერთი წარმატებული ფიგურა იქნება და მას უდიდეს წარმატებას ვუსურვებ. შეუძლებელია, ადამიანს სინდისი გააჩნდეს და მიხეილ სააკაშვილის მზაკვრობას მშვიდად შეეგუოს,"** - ამბობს ხაინდრავა.

პოლიტიკური გაერთიანება "მრეწველების" ლიდერი ზურაბ ტყემალაძე საზოგადოებას მოუწოდებს, ირაკლია ალასანიასთან დაკავშირებით ამ ეტაპზე იმედებს ნუ დაამყარებენ და აჟიოტაჟს ნუ შექმნიან. **"საზოგადოებამ და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა სპექტრმა ირაკლი ალასანიასთან დაკავშირებით რაიმე კონკრეტული შეფასებისგან თავი უნდა შეიკავოს. ირაკლი ალასანიას მე ვიცნობ, როგორც განათლებულ პიროვნებას. ნათქვამია, საქმემან შენმან წარმოგაჩინოსო,"** - აღნიშნა ზურაბ ტყემალაძემ.

საკუთარი ინფორმაცია

ბეგაშვილი ელჩი აღარ იქნება

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს ახალი ელჩი ეყოლება. როგორც პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ დეკანოიძემ განაცხადა, ჩინეთში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე კარლო სიხარულიძეა წარდგენილი, რომელიც ზაზა ბეგაშვილს შეცვლის.

კარლო სიხარულიძის კანდიდატურას, დანარჩენი 8 ელჩის კანდიდატურებთან ერთად, პარლამენტი პარასკევის რიგგარეშე სხდომაზე დაამტკიცებს, თუმცა ჩინეთის ელჩის საკითხი ორშაბათის ბიუროს სხდომაზე წარდგინილი არ ყოფილა. **ინტერპრესნიუსი**

უადგილო აჟიოტაჟი

პოლიტიკური გაერთიანება "მრეწველების" ლიდერ ზურაბ ტყემალაძის განცხადებით, აშშ-სთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულების გამო ამ ეტაპზე აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს. მისივე აზრით, აღნიშნული თემით ხდება მაპ-ის მიუღებლობისდა ნატო-ში ვერშესვლის საკითხის გადაფარვა. მისივე თქმით, საქართველოს აშშ-სთან მსგავსი 3 ხელშეკრულება 2000-2003 წლებში აქვს გაფორმებული: კერძოდ, აშშ-ს მიერ საქართველოსთვის სამხედრო სფეროში დახმარების შესახებ ნოტების გაცვლის გზით დადებული ხელშეკრულება; საქართველოს და აშშ-ს შორის წვრთნისა და აღჭურვის ერთობლივი პროგრამის განხორციელებისთვის თანამშრომლობის გეგმების შესახებ ნოტების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების რატიფიცირება; საქართველოს მთავრობასა და აშშ-ს მთავრობას შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება. **ინტერპრესნიუსი**

პრეზიდენტს მოსამართლეების მოსყიდვაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტების" მტკიცებით, ბათუმში გადატანილი საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მაღალი ხელფასებით, ავტომანქანებითა და ბინებით მოისყიდა.

როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის გენერალურმა მდივანმა იოსებ შატბერაშვილმა განაცხადა, მათი სარჩელი, რომელიც ელექტროენერგიის 18-თეთრიანი ტარიფის 11-თეთრიან ნიშნულზე დასვლას ეხებოდა, საკონსტიტუციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

მისივე თქმით, აღნიშნულმა სასამართლომ რამდენიმე წლის წინ დააკმაყოფილა "ლეიბორისტების" სარჩელი, რომლის თანახმადაც კილოვატ ელექტოენერგიაში აბონენტი 11 თეთრს გადაიხდიდა.

"კიდევ ერთი დანაშაული ჩაიდინა სააკაშვილის ხელისუფლებამ ქართველი ერის წინაშე, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დარღვევით ელექტროენერგიის ტარიფი 18 თეთრამდე აწია. საკონსტიტუციო სასამართლო ბათუმში იმისთვის გადაიტანეს, რომ ჩვენ არ ჩავსულიყავით, მაგრამ ჩვენი დელეგაცია იქ მაინც ჩავიდა. იმავე სასამართლომ, იმავე შემადგენლობით, რომელმაც თავის დროზე ტარიფი 11 თეთრამდე დაწია, ჩვენი სარჩელი აღარ დააკმაყოფილა. ეს მოხდა იმიტომ, რომ სააკაშვილმა იყიდა ეს მოსამართლეები," - განაცხადა იოსებ შატბერაშვილმა.

მისივე თქმით, მოსამართლეებს პრეზიდენტმა 10 ათასი ლარი ხელფასი დაუნიშნა, ძვირადღირებული მანქანები და სახლები ერთ ლარად აჩუქა.

"ესენი არიან სააკაშვილის მიერ მოსყიდული მოსამართლეები, რომლებმაც ერის და ქვეყნის ინტერესებს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობა ანაცვალეს. შევარდნაძის დროს არსებობდა ერთადაერთი სამართლიანი ორგანო, საკონსტიტუციო სასამართლოს სახით, სადაც სამართლის მიღწევა შესაძლებელი იყო და სააკაშვილმა ესეც მოსპო," - განაცხადა შატბერაშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

მტრები და მეგობრები პოლიტიკაში

საპარლამენტო ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატების" აზრით, დღევანდელი გადასახედიდან რთულია რუსეთ-საქართველოს შორის საერთო ინტერესების გამონახვა, თუმცა ასეთი ინტერესები არსებობს და პერსპექტივაშიც იარსებებს.

ამის შესახებ გიორგი თარგამაძემ გუშინ ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებრივი კომისიის წევრებთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, "ქრისტიან-დემოკრატები" საგარეო პოლიტიკის პრინციპებს მტერ-მოყვარის პრინციპის სტერეოტიპით არ აყალიბებენ და პრინციპი, რომ პოლიტიკაში არ არსებობენ მუდმივი მტრები და მუდმივი მეგობრები, მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია.

თარგამაძემ აღნიშნა, რომ მის ფრაქციას აინტერესებდა იმ ადამიანის მოსაზრებები და შთაბეჭდილებები, რომლებიც ახლახან დაბრუნდნენ მოსკოვიდან და მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა კონფერენციებში.

"ჩვენ ვართ პოლიტიკური ჯგუფი და ჩვენი პოზიციების ჩამოყალიბებისთვის უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას რაც შეიძლება მეტი წყაროდან, ეს შეხვედრაც ამ მიზანს ემსახურებოდა," - განაცხადა თარგამაძემ და დასძინა, რომ ნებისმიერი საზოგადოებრივი ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაცია თუ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში გარკვეული ფორმის ჩამოყალიბებისთვის გადადგმული ნაბიჯი მათთვისაც უნდა იყოს ხელშესახები და ადვილად გასაგები.

ქართულ-რუსული ურთიერთობების საზოგადოებრივი კომისიის წევრები მოსკოვში 15 დეკემბერს გაემგზავრნენ და 19 დეკემბერს დაბრუნდნენ. კომისიის წევრები არიან მამუკა არეშიძე, მალხაზ გულაშვილი, სოსო ჯაჭვლიანი, გოგი ქავთარაძე და ა.შ. **ინტერპრესნიუსი**

მოთხოვნა მონიტორინგის გამკაცრებაზე

ეკონომიკის მინისტრი ლაშა ჟვანია მომავალი წლიდან საინვესტიციო პროგრამებზე მონიტორინგის გამკაცრებას გეგმავს. როგორც მინისტრმა ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე განაცხადა, ეკონომიკის სამინისტროში ჯერჯერობით საინვესტიციო პროგრამების მონიტორინგზე ორი ადამიანი მუშაობს, რაც აბსოლუტურად უშედეგოა, რადგან მათ, დაახლოებით, 820 პროგრამის მონიტორინგი უწევთ. შესაბამისად, ეკონომიკის ახალი მინისტრი უწყებაში მომავალ წელს მონიტორინგის დეპარტამენტის ჩამოყალიბებას გეგმავს. **ინტერპრესნიუსი**

დეპუტატები ელჩებისგან დაფასებას მოითხოვენ

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის წევრმა შოთა მალაშხიამ ელჩობის კანდიდატურების დაუსწრებლად განხილვის გამო უკმაყოფილება გამოთქვა და მათი არმოსვლის მიზეზის გარკვევას შეეცადა. "თუ ისინი არ ჩამოვიდნენ და სხდომაზე არ გამოცხადდნენ, მაშინ არც ჩვენ დავუჭერთ მათ მხარს," - განაცხადა მალაშხიამ. პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე 9 ელჩის კანდიდატურა განიხილეს, მათგან სხდომას მხოლოდ ორი - ბათუ ქუთელია და კახა ლომაია ესწრებოდნენ. პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოადგილემ ზურაბ დეკანოიძემ განმარტა, რომ "ელჩების ჩამოსვლა ხარჯებთანაა დაკავშირებული, ამიტომ საგარეო საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, ელჩობის კანდიდატები მხოლოდ პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე წარდგებიან". თავის მხრივ, მალაშხიამ იმედი გამოთქვა, რომ "ელჩობის კანდიდატები დეპუტატებს დაუფასებენ და პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე მაინც იკადრებენ მისვლას."

ცნობისათვის - საქართველოს სხვადასხვა ქვეყანაში 9 ახალი ელჩი ეყოლება. კერძოდ, თურქეთის და ალბანეთის რესპუბლიკებში, ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის თანამდებობაზე ტარიელ ლებანიძეა წარდგენილი; საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციაში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად - გელა ჩარკვიანი; გაერო-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად - კახა ლომაია; სუამ-ში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად - მერაბ ანთაძე; აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში ელჩად - ბათუ ქუთელია; დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში და ირლანდიის რესპუბლიკაში - გიორგი ბადრიძე; საფრანგეთში, პორტუგალიასა და მონაკოს სამთავროში ელჩად და იუნესკოში მუდმივ წარმომადგენლად - მამუკა კუდავა; უკრაინაში ელჩად - გრიგოლ ქათამაძე. **პირველი**

„გაერთიანებული ტელეკომის“ 60 და 61 ინდექსის აბონენტთა საყურადღებოდ!

„გაერთიანებული ტელეკომი“ ანახლებს სანზონისა და თემქის ტერიტორიაზე არსებულ ინფრასტრუქტურას და 26-27 დეკემბერს 60 და 61 ინდექსის აბონენტების ძველი სადგურიდან ახალ, ციფრულ სადგურში გადართვას დაასრულებს. K

„გაერთიანებულმა ტელეკომმა“ იზრუნა თავის აბონენტებზე და გადართვით სამუშაოებს ღამის საათებში ჩაატარებს. ციფრულ სადგურში გადართვის შემდეგ, 60 და 61 ინდექსის აბონენტებმა ტელეფონის აპარატები ტონალურ რეჟიმზე უნდა გადაიყვანონ.

ამავე პროექტით გათვალისწინებულია 60-61 მოქმედების ზონაში ბლოკზე მომუშავე ტელეფონების განცალკევება და ნომრების შეუცვლელად პირდაპირ ქსელში ჩართვა. განბლოკვა ითვალისწინებს თითოეული აბონენტის ინდივიდუალურ ხაზზე სამუშაოების ჩატარებას, რომელიც ახალი სადგურის ექსპლუატაციაში გაშვების შემდგომ ეტაპობრივად მოხდება და საბოლოოდ დასრულდება 20 იანვარს. ამ პერიოდის განმავლობაში ბლოკზე მომუშავე ტელეფონებიდან კავშირისას აბონენტებმა უნდა აკრიფონ თბილისის კოდი 8-22 და შემდეგ აბონენტის ნომერი.

ამჟამად 60-61 ინდექსის ზონაში ბლოკის ტელეფონით 1250 მომხმარებელი სარგებლობს.

პროცედურის სპეციფიკიდან გამომდინარე მოსალოდნელია გარკვეული შეფერხებები, რისთვისაც დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე იმუშავებს ცხელი ხაზი: 60 31 11 და 61 31 11

„გაერთიანებული ტელეკომში“ იმედოვნებენ, რომ განახლების პროცესი ჩატარდება ეფექტურად, შეფერხებების გარეშე და აბონენტები სათანადო შეაფასებენ კომპანიის მიერ მიწოდებულ ახალ, ციფრულ მომსახურებებს.

მძიმე, მაგრამ აუცილებელი კომენტარი

სოფიო თოდუა

ყველა ჟურნალისტის ცხოვრებაში დგება დრო, როცა მას წერილის დაწერა არ უნდა, ოღონდ იმიტომ არა, რა მიზეზითაც შეიძლება ზოგადად წერა გეზარებოდეს. მხედველობაში მაქვს თემები, როცა ძალაუნებურად ისინი უნდა ააფორიაქო, ვინც ისედაც სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოჩნდენ. მაგრამ ემოციები გვერდზე გადავდოთ და ერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ. ჩვენ ადამიანის ჯანმრთელობაზე უნდა ვიალაპარაკაოთ, კერძოდ - ონკოლოგიურ დაავადებებზე და ამ პროფილის პაციენტების მკურნალობაზე.

აგვისტოს მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე, როცა რუსეთთან ომს ვერავინ იწინასწარმეტყველებდა და, შესაბამისად, გაუთვალისწინებელ ხარჯებზეც არავინ ფიქრობდა, ვიცოდით, რომ სახელმწიფო პროგრამები ონკოლოგიაში აუცილებლად შემცირდებოდა. მაშინ გვარწმუნებდნენ, რომ სადაზღვევო სექტორის განვითარება ამ პროფილის პაციენტებს სერიოზულ პრობლემებს არ შეუქმნიდა. ჯანმრთელობის დაზღვევით მართლაც სულ უფრო მეტი ადამიანი სარგებლობს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ საუკეთესო შემთხვევაშიც კი არც ერთი სადაზღვევო კომპანია ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას არ აფინანსებს - მაგალითად, ქიმიოთერაპიის კურსს, რომლის გარეშეც ავადმყოფის მკურნალობა ხშირად შეუძლებელია. რაც შეხება დაფინანსებას სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, როცა მკურნალობაზე დახარჯული თანხის გარკვეულ ნაწილს სახელმწიფო ფარავდა, დანარჩენს კი პაციენტი იხდიდა, ამ პროგრამას 2008 წელს 6 მილიონი ლარი მოხმარდა. წლეულს პროგრამამ ტრანსფორმირება განიცადა და გაისად მასზე მხოლოდ 2 მილიონია ნავარაუდევი.

სახელმწიფოს მიდგომა ასეთია: ის მთლიანად ანაზღაურებს ონკოლოგიური პროფილის პაციენტის მკურნალობას იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს სოციალურად დაუცველის სტატუსი აქვს მინიჭებული, არასრულწლოვანია ან 65 წელი შეუსრულდა. ერთი შეხედვით უაღრესად ჰუმანური გადაწყვეტილებაა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ვიცით, რომ ონკოლოგიური დაავადებების კლება, სამწუხაროდ, ჩვენთანაც არ შეიმჩნევა. სტატისტიკური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 7 000 ახალი შემთხვევა ვლინდება, რაც, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ შვიდიათასივე პაციენტი არ გამოჯანმრთელდება და ნორმალური ცხოვრების რიტმს არ დაუბრუნდება. ყველაზე ცუდი სადაზღვევო პაკეტებიც კი ითვალისწინებს გამოკვლევების ჩატარებას პროფილაქტიკის მიზნით, რაც ხელს უწყობს ამა თუ იმ დაავადების ადრეულ ეტაპზე გამოვლენას. ასე რომ, თუ შეგვიძლია კომფორტის გამო ფული ვუხადოთ მობილურ კომპანიებს, რატომ უნდა დავაყენოთ რისკის ქვეშ საკუთარი ჯანმრთელობა? ასეც ვიზამთ, უფრო სწორად, აღარ ვიზამთ, ოღონდ სახელმწიფომ მიგვითითოს ერთი სადაზღვევო კომპანია მაინც, რომელიც ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობის ხარჯებს ფარავს ან მომავალში დაფარავს. რადგან ასეთი კომპანია არ არსებობს, ბუნებრივია, საყვედურები სახელმწიფოს მისამართით არ შეწყდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვითდასაქმებულთა დიდი არმია, მაგალითად, სოფლის მაცხოვრებლები, სოციალურად დაუცველთა კატეგორიას არ განეკუთვნებიან, მაგრამ მათი შემოსავალი ჯანმრთელობის დაზღვევას ვერანაირად ვერ გასწვდება.

იმ ლაბირინთებში გზის გაკვლევას, დაზღვევა და სადაზღვევო სექტორი რომ ჰქვია, არიადნეს გორგალი რომც მქონდეს, მაინც არ ვისურვებ. საქმე ისაა, რომ იმ ფაქტების მოძიება, რომელიც დაგვანახებდა, რამდენად ეფექტურად ამუშავდა ჯანმრთელობის დაზღვევა ჩვენთან, თითქმის შეუძლებელია. არადა, ექიმებთან ჩვენც დავდივართ და ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის ხმამაღალი საუბარი თეთრხალათიანებსა და არათეთრხალათიანებს შორის. საქმე ისაა, რომ ხშირად (თუ სისტემატურად არა) სადაზღვევო კომპანიები სამედიცინო დაწესებულებებს ფულს დაყოვნებით ურიცხავენ, რის გამოც პაციენტებიცა და ექიმებიც ერთნაირად ცუდ დღეში ვარდებიან. იმ შემთხვავშიც კი, თუ მომავალში სადაზღვევო კომპანიები ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობას გაითვალისწინებენ, ამთავითვე უნდა ვივარაუდოთ, რომ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი აუცილებლად გაძვირდება, რადგან ონკოლოგიური პროფილის პაციენტების მკურნალობა დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. ასე მაგალითად, დღეს დასავლეთში აპრობირებული თარგეტული (მიზანმიმართული) თერაპია, რომელიც ქიმიოთერაპიასთან შედრებით უსაფრთხო და, ამავდროულად, ეფექტურია, შესაძლოა პაციენტს 5000 ლარზე მეტი დაუჯდეს (დაავადების სირთულიდან გამომდინარე). სწორედ ამიტომაა ძნელად დასაჯერებელი, რომ, ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, სადაზღვევო კომპანიები გარისკავენ და სადაზღვევო პაკეტებში ამ ტიპის მომსახურებას ჩადებენ. ესეც რომ არა, ისიც ხომ ვიცით, რომ კერძო კომპანიები სრულიად გაუგებარი, უფრო ზუსტად, სწორედ რომ გასაგები მიზეზების გამო საქმეს არა ყველა, არამედ მხოლოდ გარკვეულ კლინიკებთან იჭერენ. მათი საწინააღმდეგო რა გვაქვს, მაგრამ ისინი კომპლექსური თერაპისთვის ნაკლებად გამოდგება. ისე ხომ არ მოხდება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სადაზღვევო კომპანიები ონკოლოგიური პაციენტების მკურნალობას გაითვალისწინებენ, პაციენტებს სწორედ კერძო კლინიკებთან მოუწევთ საქმის დაჭერა? ნიშნავს თუ არა იქ "მკურნალობა" სანახევროდ მკურნალობას (შესაბამისად, ისედაც ძვირფასი დროისა და ზედმეტი თანხის ხარჯვას), ეს უკვე სულ სხვა პრობლემაა და სერიოზულ კვლევას მოითხოვს.

აქვე ვიტყვით, სოციალურად დაუცველი ფენების დაზღვევა, რომელიც სახელმწიფომ კერძო კომპანიებს მიანდო, სახელმწიფოს თვეში საშუალოდ 11 ლარი უჯდება და ამ ფასში ონკოლოგიური პროფილის დაავადებების მკურნალობაც იგულისხმება. ამისდა მიუხედავად, რეალურად რამდენად კარგად ემსახურებიან ამ კატეგორიის პაციენტებს, ესეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგება იმ მიზეზით, რომ უკმაყოფილო პაციენტების პრეტენზიები იშვიათად ფიქსირდება. არცაა გასაკვირი - ჩვენ ხომ უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანებზე ვლაპარაკობთ, მათ კი ხშირად შესაბამის უწყებებამდე მისვლაც არ შეუძლიათ. სამწუხაროდ, ვერც იმ მონაცემების მოპოვება ხერხდება, რომელიც დაგვანახებდა, დაზღვეულთა მთლიანი რაოდენობიდან რამდენია 18-დან 65 წლამდე ასაკის. ეს ის ჯგუფია, რომელიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს სცდება. ეს კითხვა შემთხვევით არ დამისვამს: როგორც ექიმები ადასტურებენ, ონკოლოგიური პრობლემები უფრო ხანდაზმულ ასაკში იჩენს თავს, მაგრამ თქმა იმისა, რომ ამ სენით ახალგაზრდები არ ავადდებიან, სამწუხაროდ, სიმართლეს არ შეესაბამება. აქედან გამომდინარე, ამ პროფილის პაციენტთა დაახლოებით 30 პროცენტი ბედის ანაბარაა მიტოვებული - დაზღვევითაც ვერსად ვერ დაეზღვევიან და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებშიც ვერ იმკურნალებენ. ონკოლოგიური პროფილის სოციალურად დაუცველი პაციენტების მკურნალობა ნაკლებად პორბლემური რომ გახდა, ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ თუ სახელმწიფოს მიდგომა არ შეიცვლება, შესაძლოა, სოციალურად დაუცველთა კატეგორიაში ისინიც მოხვდნენ, ვინც ამ ეტაპზე სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არ იმყოფებიან.

ერთ საყურადღებო ფაქტს გავიხსენებ: როცა სახელმწიფომ დაიწყო გაჭირვებული ადამიანების აღწერა და მათთვის შეღავათების დაწესება, ისიც გაირკვა, რატომ ჩავარდა ეს ხალხი ამ დღეში. აღმოჩნდა, რომ მათი დიდი ნაწილი იძულებული გახდა, ყველაფერი გაეყიდა, ოღონდაც ახლობლებისთვის სიცოცხლე გაეხანგრძლივებინა (რა თქმა უნდა, სხვა ფაქტორებიც მოქმედებდა, მაგალითად, დაჭერილი ოჯახის წევრი, გადაუხდელი კრედიტი და ა.შ.). აქედან გამომდინარე, სრულიად გაუგებარია, რა რჯის სახელმწიფოს, როცა დაფინანსების ახალ მოდელს საბოლოოდ ისევ მისდა საზიანოდ გვათავაზობს. თუ არც სადაზღვევო კომპანიები დაფარავენ ონკოლოგიური პროფილის დაავადებების მკურნალობის ხარჯებს და იგივეს არც სახელმწიფო პროგრამები უზრუნველყოფენ, ის, ვინც დღეს არ არის სოციალურად დაუცველი, მაგრამ ეს პრობლემა შეეხება, ხვალ, შესაძლოა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ აღმოჩნდეს (დღეს მანქანას გაყიდის, ხვალ სახლს, ზეგ კი ...) და სახელმწიფოს მათი დაფინანსება მაინც მოუწევს. აქვე იმასაც დავძენ, რომ აგვისტოს მოვლენების შემდგომ ჯერჯერობით ვერა და ვერ მოხერხდა სამაჩაბლოდან თუ კოდორის ხეობიდან ლტოლვილებისთვის დევნილის სტატუსის მინიჭება - შესაბამისად, ეს ადამიანები ვერანაირად ვერ მოხვდებიან სოიცალურად დაუცველი ფენების გრძელ სიებში. ღმერთმა ყველა დაიფაროს, მაგრამ მეეჭვება, რომელიმე მათგანს ონკოლოგიური პრობლემა რომ შეექმნას, იმ უფასო მკურნალობის ფარგლებში, რაც დღეს მათთვისაა განკუთვნილი, გამოჯანმრთელება შეძლოს.

თუ ასე გაგრძელდა და ამ კონკრეტულ შემთხვევაში სოციალურად დაუცველ ფენის დაფინანსება სხვა პროგრამის გაუქმების ან შემცირების ხარჯზე მოხდება, პრობლემის გადასაჭრელად მხოლოდ ერთი გზა არსებობს: საერთოდ ვთქვათ უარი სახელმწიფოს მხრიდან ყველანაირ დაფინანსებაზე. თუ ოდესმე ვინმე პასუხს მოგვთხოვს, თავი იმით ვიმართლოთ, რომ სახელმწიფო მოხელეები, დღეს რომ ბიუჯეტის შედგენაზე მუშაობენ, მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ დარწმუნებულნი: ამქვეყნად მარტო მდიდრები ხდებიან ავად. მესმის, რომ ამ თემებზე ლაპარაკი მაინცდამაინც ეთიკური არ არის, მაგრამ იქნებ ის მაინც მიგვითითონ, რა ფორმით გავაგებინოთ ამ ხალხს, რომ ონკოლოგიური დაავადებები სასიკვდილო განაჩენს არ ნიშნავს და რომ ამ დარგში ჩადებული თანხა ქარს გატანებული ფული არ არის? რაც შეეხება შესაშურად შეხმატკბილებულ ურთიერთობას სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის, იმედს ვიტოვებ, ბოლომდე ასე ხელიხელჩაკიდებული ივლიან და თვითონვე აღმოფხვრიან იმ ხარვეზებს, რაც ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებით წარმოიქმნა. მართალია, დაზღვევა შედარებით ახალი ხილია და მასზე ხელი ყველას არ მიუწვდება, მაგრამ ექიმები იმასაც გვირჩევენ, რომ მკუხე ხილს მაინცდამაინც არ უნდა მივეძალოთ.

სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების ერთნაირი განაჩენი

ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა - ასეთია "საქართველოს გოლფის ეროვნული ასოციაციის" ყოფილ პრეზიდენტ მერაბ რატიშვილისთვის მეორედ გამოტანილი განაჩენი. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მსჯავრდებულის ბრალეულობა და ქვედა ინსტანციის სასამართლოს მიერ რამდენიმე თვის წინ გამოტანილი განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში.

მერაბ რატიშვილს ბრალად ედებოდა 0,027 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონის" შემცველი სითხისა და 8,4380 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონის" პირადი მოხმარების მიზნით შეძენა და შენახვა. ბრალდების მიხედვით, ნარკოტიკული საშუალების ერთ ნაწილს, ხსნარის სახით, რატიშვილი კუთვნილ ავტომანქანაში ინახავდა, რატიშვილის ბინის ჩხრეკისას კი სამართალდამცველებმა განსაკუთრებით დიდი ოდენობით 8,4380 გრამი ნარკოტიკული საშუალება "მეტადონი" ამოიღეს. გამოძიების მტკიცებით, დაკავებისას მერაბ რატიშვილი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ბრალდების მხარე განსასჯელ რატიშვილისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

განსასჯელს წარდგენილი ბრალდება არც ერთი ინსტანციის სასამართლოში არ უღიარებია და მის მიმართ განხორციელებულ სისხლისსამართლებრივ დევნას პოლიტიკური მოტივებით ხსნიდა. მერაბ რატიშვილი ორივე ინსტანციის სასამართლოში ირწმუნებოდა, რომ ნარკოტიკული საშუალება არ ჰქონია და იგი მას ჩაუდეს იმ მიზეზით, რომ მეგობრობდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებთან. გარდა ამისა, მისივე თქმით, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიშით, აიძულებდნენ რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირში ემხილებინა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები. განსასჯელი იმასაც აცხადებდა, რომ ნარკოტიკული საშუალება მას დაკავებისას იძულებით გაუკეთეს.

მერაბ რატიშვილი სახალხო დამცველის წლიურ ანგარიშში პოლიტიკური ნიშნით დევნილად არის მოხსენიებული. ის იმ პატიმართა სიაში აღმოჩნდა, რომელიც ოპოზიციურმა პარტიებმა შეადგინეს. სიის ავტორები პატიმრების სასწრაფოდ გათავისუფლებას მოითხოვდნენ და განმარტავდნენ, რომ ისინი 7 ნოემბერს და შემდეგ განვითარებული მოვლენების დროს, ანგარიშსწორების მიზნით დააკავეს.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მერაბ რატიშვილი ეჭვმიტანილის სტატუსით სარგებლობდა, აცხადებდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერება პოლიციამ მას შემდეგ ჩაუდო, რაც მან სამართალდამცველებს ოპოზიციის წევრთა წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარი განუცხადა.

მერაბ რატიშვილის ინტერესების დამცველი მთელი ამ ხნის განმავლობაში აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეს მყოფი მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უხეში დარღვევით დააკავეს.

"ის ფაქტი, რომ ადგილი ჰქონდა დაკავებისთვის არა აუცილებელი ძალის გამოყენებას და რომ დაკავება და შემდგომი საგამოძიებო მოქმედება - ჩხრეკა ჩატარდა კანონმდებლობის უხეში დარღვევით, დასტურდება სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებითაც," - აცხადებდნენ განსასჯელის ახლობლები.

"განსასჯელის ჩვენებებსა და ვერსიებს სრულად აბათილებს სისხლის სამართლის საქმეზე შეკრებილი და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტკიცებულებები, რაც განსასჯელ რატიშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას დაედო საფუძვლად. სასამართლომ, შეკრებილ მტკიცებულებათა საფუძველზე, დადასტურებულად მიიჩნია განსასჯელის ბრალეულობა ინკრიმინირებულ დანაშაულში. სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ იგი ადრე ნასამართლევი არ ყოფილა და მას სასჯელის ზომად 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა," - ასეთი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება, რასაც სააპელაციო სასამართლოც დაეთანხმა.

საკუთარი ინფორმაცია

მოთხოვნა პატიმართა გასეირნების უფლების დაცვის თაობაზე

სახალხო დამცველი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა გასეირნების უფლების დაცვას ითხოვს. შესაბამისი რეკომენდაციით სოზარ სუბარმა იუსტიციის მინისტრს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს მიმართა. მიმართვაში ნათქვამია, რომ 2008 წლის 25 სექტემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ რუსთავის N6 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დაწესებულების დირექტორის დავით მარგებაძის ინფორმაციით, ყოველდღიური გასეირნების უფლებით მხოლოდ უვადო თავისუფლებააღკვეთილი და ტუბერკულოზით დაავადებული მსჯავრდებულები სარგებლობდნენ, ხოლო სხვა პატიმრებს სუფთა ჰაერზე ყოფნის საშუალება სამ დღეში ერთხელ ეძლეოდათ. დირექტორის განმარტებით, მსჯავრდებულთა ყოველდღიური გასეირნება თანამშრომლების სიმცირის გამო ვერ ხერხდებოდა.

2008 წლის 10 ოქტომბერს სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ბაჩო ახალაიას, შეესწავლა ზემოაღნიშნული საკითხი და მიეღო კანონშესაბამისი გადაწყვეტილება. 20 ნოემბერს სახალხო დამცველს სასჯელაღსრულების დეპარტამენტიდან შეატყობინეს, რომ რუსთავის N6 საპყრობილის, საერთო და მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში პატიმართა გასეირნება ხდება ყოველდღე, "პატიმრობის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული ხანგრძლივობით. 2008 წლის 9 დეკემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა რუსთავის N6 დაწესებულებაში ხელახალი მონიტორინგი ჩაატარეს, რომლის დროსაც 36 საკანში განთავსებულ დაახლოებით 155 პატიმარს შეხვდნენ. პატიმართა განმარტებით, ისინი სამ დღეში ერთხელ გაჰყავთ სასეირნოდ.

"პატიმრის გასეირნების უფლება აღიარებულია, როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ისე საერთაშორისო დოკუმენტებით, შესაბამისად, იგი დაცული უნდა იყოს სასჯელაღსრულების სისტემის ყველა დაწესებულებაში," - აცხადებს სახალხო დამცველი. **ჯი-ეიჩ-ენი**

შეწყალების კომისიის მორიგი სხდომა

გუშინ შეწყალების კომისიის მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც შესაწყალებელი პატიმრების ზუსტი რაოდენობა დადგინდა. 108 პატიმრიდან, რომლებიც შესაწყალებელ მსჯავრდებულთა სიაში იყვნენ კომისიამ ნახევარზე მეტი სიაში შეიყვანა, რომელიც პრეზიდენტს ხელმოსაწერად გადაეგზავნება. ამის შემდეგ პრეზიდენტი, სავარაუდოდ, 26 დეკემბერს ხელს მოაწერს. პატიმართა გათავისუფლება ახალი წლის დღეებში იგეგმება.

როგორც სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა განაცხადა, კომისიამ განხილვის დროს პატიმართა ნაწილის შეწყალებაზე უარი თქვა, ნაწილს კი სასჯელი გაუნახევრა. ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარის გია არსენიშვილის განცხადებით, ყურადღება განსაკუთრებით არასრულწლოვანებზე და ქალებზე გამახვილდა. მისი თქმით, ბევრია ქალი, რომელსაც სასჯელი გაუნახევრდა ან პატიმრობიდან გათავისუფლდა. **ინტერპრესნიუსი**

ზუგდიდში ქორწინების სახლი და სამოქალაქო რეესტრის ოფისი გაიხსნა

ზუგდიდში გუშინ ქორწინების სახლი და იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიული სამსახურის ოფისი გაიხსნა, რაც ახალდაქორწინებული წყვილის - თენგიზ ქობალიასა და იდა ქვარაიას ქორწინების რეგისტრაციით აღინიშნა.

ოფისის პრეზენტაციას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე, საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული სამეგრელოს რეგიონში ზაზა გოროზია, სააგენტოს ხელმძღვანელი პირები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დაესწრნენ. ქორწინების სახლი და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის ტერიტორიული სამსახური ქალაქის ცენტრში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან მდებარეობს. ევროსტანდარტების შესაბამისად გარემონტებული და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამსახური იონა მეუნარგიას ქუჩა N11-ში განთავსდა.

"ქორწინების სახლი და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს განახლებული ოფისი ზუგდიდისათვის იუსტიციის სამინისტროს წინასაახალწლო საჩუქარია. ადგოლობრივ მოსახლეობას შევუქმენით გარემო, რომელიც მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დღეს გაალამაზებს," - აღნიშნა გიორგი ვაშაძემ.

ამ დრომდე ქალაქ ზუგდიდში, საპასპორტო და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სამსახურები სხვადასხვა შენობაში იყო განთავსებული. ამიერიდან მოქალაქეები ე.წ. ერთი სარკმლის პრინციპით, გამარტივებული წესით, ერთსა და იმავე ადგილზე მიიღებენ დაბადებისა და პირადობის მოწმობებს, პასპორტებს და სხვა დოკუმენტებს.

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ზუგდიდის სამსახური, ქალაქ ზუგდიდთან ერთად, 30 სოფელს ემსახურება. ამ დროისთვის ზუგდიდის რაიონში 100 ათასზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. სამოქალაქო რეესტრის ზუგდიდის სამსახურის მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულია ას წელს მიღწეული ოცდაათი ადამიანი. მათ შორის უხუცესი სოფელ დარჩელში რეგისტრირებული 108 წლის ქალბატონი მავრა ეხვაიაა.

ახალგახსნილ შენობაში განთავსდა, ასევე, აფხაზეთის სამსახურის გალის განყოფილებაც, რომელიც 70 ათასამდე დევნილს ემსახურება. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სულ 90-მდე ტერიტორიული ოფისი აქვს, რომელთაგან 40-მდე თანამედროვე სტანდარტებით არის აღჭურვილი. მთელ სისტემაში სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება 2009 წლის ბოლოსთვის იგეგმება. ამ პროცესში სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მხარს უჭერენ: აშშ-ის განვითარების სააგენტო, აშშ-ის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთისა და საბერძნეთის მთავრობები, ეუთო, გაეროს განვითარების პროგრამა. **ჯი-ეიჩ-ენი**

ეჭვმიტანილი პოლიციას ჩაბარდა

ოთარ ხურციძე, რომელიც პრეზიდენტის მიერ შეწყალებული პატიმრისთვის დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაშია ეჭვმიტანილი, სამართალდამცველებს ჩაბარდა. როგორც მთავარ პროკურატურაში აცადებენ, ხურციძე საგამოძიებო ორგანოში გუშინწინ საღამის გამოცხადდა.

ოთარ ხურციძე შეწყალების აპარატის თანამშრომელი იყო, რომელსაც ბრალი თანამზრახველებთან ერთად დიდი ოდენობით თანხის გამოძალვაში ედება. რამდენიმე დღის წინ დააკავეს ამავე დანაშაულში ეჭვმიტანილი შოთა მაცაბერიძე, გელა გიგაშვილი და კობა თორაძე. სასამართლომ მათ წინასწარი ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა. გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული პირები ქალთა და არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან 23 ნოემბერს შეწყალებით გათავისუფლებულ სოფიო ასათიანს, ჯერ 15 ათასს, შემდეგ კი 10 ათასს აშშ დოლარს სძალავდნენ.

ჯი-ეიჩ-ენი

სასამართლომ განსასჯელ პატიმრებს სასჯელი შეუმსუბუქა

ციხის ადმინისტრაციაზე თავდასხმასა და დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობაში ბრალდებულ რვა პატიმარს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სასჯელი შეუმსუბუქა. ორგანიზაცია "ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, ტუსაღობის ვადა რვავე მსჯავრდებულს მხოლოდ 6 თვით გაუხანგრძლივდა და ჯარიმის სახით 2 000 ლარის გადახდა დაეკისრა. საუბარია, 2008 წლის 11 აგვისტოს, ხონის საპატიმროში მომხდარ ინციდენტზე, რომლის დროსაც პატიმრებთან ერთად ბადრაგიც დაშავდა. ბუნტად შეფასებული ფაქტი, რომელიც 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებდა, საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმებით დასრულდა.

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, ზუგდიდის მე-4 საპყრობილის 8 პატიმარი 2008 წლის 21 აგვისტოს გაასამართლეს, ისინი წაყენებულ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ ცნობდნენ. რვავე მსჯავრდებული აცხადებდა, რომ ციხეში არა ბუნტი, არამედ პანიკა იყო, რომელიც ზუგდიდის მოსალოდნელი დაბომბვის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გაკეთებულმა სატელევიზიო განცხადებამ გამოიწვია.

გამოძიების მასალებით ირკვეოდა, რომ ციხეში მომხდარი ინციდენტის დროს მსუბუქად დაშავდა 13-მდე პატიმარი და საპყრობილის 10-მდე თანამშრომელი. ამავე მასალებით, ციხეში არეულობა N25 საკანში დაწყებულმა ხმაურმა გამოიწვია, რადგანაც, იქ მყოფი 18 პატიმარი გაქცევას ცდილობდა. საკნის კარის გახსნა მათ რკინის მაგიდით სცადეს, რომელიც იატაკიდან აგლიჯეს. გამოძიების მტკიცებით, ბადრაგმა პატიმრებს წესრიგისაკენ მოუწოდა, მაგრამ მოთხოვნა არ შესრულდა. მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყვიტა ადმინისტრაციამ საკნის კარის გახსნა, რა დროსაც ბადრაგზე თავდასხმა მოხდა.

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, თავდაპირველად მოწმის სახით დაკითხულმა პატიმრებმა დუმილის უფლება აირჩიეს. გამოძიება თავიდანვე არ დაიტერესებულა იმ ინციდენტის მიზეზით, რაც არეულობა გამოიწვია.

არაოფიციალური ვერსიის მიხედვით, ხმაური ზუგდიდის N4 საპყრობილეში 11 აგვისტოს, დღის პირველი საათისათვის, პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადების შემდეგ დაიწყო. სხვადასხვა საკნიდან პატიმრები დაუყოვნებლივ ევაკუაციას ითხოვდნენ, რასაც ყვირილით, კარზე ბრახუნით გამოხატავდნენ. ბადრაგის მოთხოვნას არ დაემორჩილა მხოლოდ 25-ე საკანი. ადმინისტრაციამ საკნის კარების გახსნა გადაწყვიტა და საგანგებოდ გამოძახებული 15-მდე ნიღბიანი სპეცრაზმელი პატიმრებს რეზინის ხელკეტებით გაუსწორდა.

მოგვიანებით, რვავე ბრალდებულმა ჩვენება შეცვალა. მათ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მოსამართლე დავით კეკენაძეს აღიარებითი ჩვენება მისცეს და სასჯელის შემსუბუქებაც ითხოვეს. მოსამართლემ მათი თხოვნა დააკმაყოფილა და პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, ბრალდებულებთან საპროცესო შეთანხმება გააფორმა.

"შეთანხმება მიღწეულია. 26 დეკემბერს დანიშნულ სასამართლო პროცესზე მხოლოდ პროცესუალური ნორმების გაფორმება მოხდება. განსასჯელების ნაწილს გადაწყვეტილების მიღება ბოლო დღემდე უჭირდა. წარდგენილ ბრალდებასთან დაკავშირებით მათ სხვადასხვა მოსაზრება ჰქონდათ, მაგრამ საბოლოოდ შეთანხმებზე წავიდნენ. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი ორი პატიმარი, ლევან უზარაშვილი და ავთანდილ კაკაჩია სასჯელს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულისათვის იხდიდნენ. პირველს 6-დან 8 წლამდე, ხოლო მეორეს 10-დან 15 წლამდე პატიმრობის გახანგრძლივება ემუქრებოდა," - "ადამიანის უფლებათა ცენტრს" განუცხადა ერთ-ერთმა ადვოკატმა ბაჩო ყურაშვილმა.

"ადამიანის უფლებათა ცენტრის" ინფორმაციით, სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი არიან სხვა განსასჯელთა ადვოკატებიც. ისინი აცხადებენ, რომ სასამართლო ხელისუფლებამ, პროკურატურასთან ერთად, გაითვალისწინა აგვისტოს თვეში ქვეყანაში შექმნილი მძიმე მდგომარეობა და პატიმრებს დამატებითი სასჯელი შეუმსუბუქა.

საკუთარი ინფორმაცია

ზოგადი ინფორმაცია რუსეთის მხრიდან, აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ

	რაოდე-ნობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ფართი კვ.მეტრი	კვ.მეტრის ღირებულება (ლარი)	სულ (ლარი)
აშენებული კოტეჯები	3.963	27.933	255.612	433	110.698.625
ბინები რეაბილიტირებულ კორპუსებში	1.500	13.283	90.637	219	19.923.754
შეძენილი სახლები	453	18.281 (საშუალო)	-	-	8.281.491
კოტეჯების (ბინების) სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციები (სურვილისამებრ)	1578 (ოჯახი)	16.600 (10.000 აშშ დოლარი)	-	-	26.194.800
გაზიფიკაცია (ინდივიდუალური გამრიცხველიანებით)	4.912 (აბონენტი)	998	-	-	4.906.011
გარე ელექტრომომარაგების სისტემა	-	-	-	-	4.324.234
გარე წყალმომარაგება და კანალიზაციის სისტემები	-	-	-	-	11.803.892
ახალი შიდა გზები	-	-	585.304	14	8.526.599
ძველი შიდა გზების რეაბილიტაცია	-	-	-	-	379.492
დახმარების პაკეტები*	5.463	2.370	-	-	12.951.615
სახლებისა და ბინების რეაბილიტაცია ე.წ. ბუფერულ ზონებში	9.342	2.050	-	-	19.152.536
დამწვარი სახლების სანაცვლოდ გასაცემი კომპენსაციები	415	24.900 (15.000 აშშ დოლარი)	-	-	10.333.500
სკოლები, ბაღები, მოედნები პოლიციის ახალი განყოფილებები	-	-	-	-	5.275.489
სულ:					242.752.038

*შენიშვნა: დახმარების პაკეტები მოიცავდა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელს, კვების პროდუქტებს, გამათბობლებს (ბუნებრივ აირზე ან შეშის ღუმელებს).

ზოგადი ინფორმაცია
რუსეთის ფედერაციის მხრიდან, აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შესახებ

საერთო ხარჯი (ლარებში)	ახალი სახლების (კოტეჯების) მშენებლობა და ბინებით უზრუნველსაყოფად უფუნქციო კორპუსების რეაბილიტაცია-რემონტი (ლარებში)	გარე ელ.მომარაგების სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (ლარებში)	გაზმომარაგების ქსელის მოწყობა (ლარებში)	გარე წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (ლარებში)	შიდა გზების მოწყობა-რეაბილიტაცია (ლარებში)	სკოლები, ბაგა-ბაღები, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა (ლარებში)	გამათბობელები და შეშის ღუმელები (ლარებში)	ერთჯერადი დახმარების პაკეტები (სამეურნეო და საყოფაცხოვრებო საქონელი, კვების პროდუქტები) (ლარებში)	იძულებით გადაადგილებულ პირებზე ფულადი კომპენსაციის სახით გასაცემად დაგეგმილი თანხები (ლარებში)	აგრესიის შედეგად დაზიანებულ და განადგურებული (დამწვარი) სახლების რეაბილიტაცია, რეაბილიტაციის სანაცვლოდ გაცემული ფულადი კომპენსაციები (ლარებში)	სახლების (ბინების) შესყიდვა (ლარებში)	პოლიციის შენობები (ოფისები) (ლარებში)
242.752.038	130.622.379	4.324.234	4.906.011	11.803.892	8.906.091	3.289.393	2.046.365	10.905.250	26.194.800	29.486.036	8.281.491	1.986.096

მცხეთა – თიანეთი

№	გაშენების ადგილმდებარეობა	სახლების (ბინების) რაოდენობა	საერთო ფართობი (კვ. მეტრი)	ერთი სახლის მშენებლობის (ბინების შემთხვევაში-რემონტის) ხარჯები (ლარებში)	სულ ხარჯი (ლარებში)	1 კვ. მეტრის ფასი (ლარებში)	გარე ელ.მომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გაზმომარაგების ქსელის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე კანალიზაციის სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	შიდა გზების მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	წეროვანი	2000	129.000	28 200	56.400.000	437	1.909.999	1.905.845 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	3 710 000 დაერთდა თბილისის სისტემაზე 57.000 გრძ. მეტრი	4.610.000 (59.000 გრძ. მეტრი) 2.100.000 (კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობა)	3.024.000 (216.000 კვ.მ.) 600.000 (2000 ცალი ეზოში შესასვლელი) 706.000 (353 სანიაღვრე სისტემის მილი)
2	წილკანი	400	25.800	28 200	11.280.000	437	303.423	509.021 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	250 000	საპირფარეშოები ეზოში	1.708.000 (122.000 კვ.მ.) 120.000 (400 ცალი ეზოში შესასვლელი) 96.000 (48 სანიაღვრე სისტემის მილი)
3	ფრეზეთი	300	19.350	28 200	8.460.000	437	307.270	569.102 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	260 000	საპირფარეშოები ეზოში	1.140.000 (95.000 კვ.მ.) 86.000 (43 სანიაღვრე სისტემის მილი)
	პროექტირება (წეროვანი, წილკანი, ფრეზეთი)				200.000						
4	ბაზალეთის საცხოვრებელი კომპლექსი (3 კორპუსი)	97	8.100	16.211	1.572.500	194		236.515 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით			
5	საგურამო	71	4.820	13 576	963.896	200	17.499	34.713 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით (111 აბონენტი)			
6	წინამძღვრიანთკარი	101	7.336	13 576	1.371.176	187	106.965		130 000		
	სულ:	2.969	194.406		80.247.572		2.645.156	3.255.196	4.350.000	4.610.000	7.480.000

ქარელის რაიონი

1	ახალსოფელი	100	6.450	27 068,24	2.706.824	419	122.716	გათბობა შეშაზე	137 000	საპირფარეშოები ეზოში	52.339 (7754 კვ.მ.)
2	მოხისი	58	3.741	26 455,99	1.534.448	410	100.356	გათბობა შეშაზე	118 000	საპირფარეშ-ოები ეზოში	32.773 (6266 კვ.მ.)

გაგრძელება A11-A12 გვერდზე

საიდუმლო ფასი

პირველი გვერდიდან

თუმცა, როგორც ჩანს, არც ერთი და არც მეორე საკითხის შესრულება მოსკოვს მკაცრი ფორმით არ მოუთხოვია. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეთ ინფორმაციას არ გამოუჟონავს. თუმცა, მედვედევისა და ლუკაშენკოს შეხვედრის შესახებ ინფორმაციას მისხალ-მისხალ აგროვებენ, რადგან ორი დღის მანძილზე მალულად, დარწმუნებით საუბრობდნენ, რომ შეხვედრა "ბელარუსისთვის სავსებით მისაღები" იქნებოდა. ეს არის და ეს. როგორც აღმოჩნდა, რუსულ გაზზე ბელარუსისთვის "სავსებით მისაღები" ფასი, რაც მოსკოვში 22 დეკემბერს შეათანხმეს და რაზეც რუსეთისა და ბელარუსის პრეზიდენტებს ოფიციალურად კომენტარი არ გაუკეთებიათ, ათას კუბურ მეტრზე 160-170 აშშ დოლარია. ამის შესახებ ცნობები სააგენტო "ბელაპანმა" კარგად ინფორმირებული რუსული წყაროსგან მიიღო. ანონიმური წყაროს ცნობით, მისაღები ფასი მხოლოდ მომავალი წლის პირველ კვარტალში იმოქმედებს. რუსულ ბუნებრივ გაზზე მაქსიმალური ფასი, რაზეც ბელარუსის მთავრობა გათვლას აკეთებდა - 160 აშშ დოლარია. ოფიციალურმა მინსკმა, პრაქტიკულად, მიზანს მიაღწია, მაგრამ რის ფასად, ჯერ კიდევ საკითხავია.

"ბელარუსი 140 აშშ დოლარისთვის იბრძოლებს"

რუსი ექსპერტების აზრით, რუსეთმა და ბელარუსმა მოილაპარაკეს, ბუნებრივი გაზის საფასური მანამდე არ დაასახელონ, ვიდრე რუსეთსა და უკრაინას შორის ხელშეკრულებას არ მოეწერება ხელი. აღსანიშნავია ისიც, რომ ბელარუსისთვის არც 160-170 აშშ დოლარია ცუდი ვარიანტი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ, რომ ათას კუბურ მეტრ გაზზე 260 აშშ დოლარის საფასურით ბელარუსის "დაშინება" მთელი წლის მანძილზე გრძელდებოდა. ბელარუსში რუსეთის ელჩ ალექსანდრ სურიკოვს არაერთხელ უთქვამს, რომ ბუნებრივი გაზის ღირებულება "200 აშშ დოლარზე მეტია." 2006 წლის ბოლოს ხელმოწერილი შეთანხმების თანახმად, ბელარუსისთვის განკუთვნილი გაზის წლიური საშუალო ფასი 2009 წლისთვის ათას კუბურ მეტრზე 140 აშშ დოლარის ოდენობით ითვლებოდა. 2007-2008 წლებში ნავთობზე მსოფლიო ფასის ზრდის გათვალისწინებით, რაზეც გაზის საფასურის გამოთვლის ფორმულაცაა მიბმული, ციფრები ზრდის თვალსაზრისით შესწორდა, ხოლო 2009 წლისთვის ცისფერი საწვავის ღირებულება 203 აშშ დოლარის ოდენობით დაიგეგმა. ამას არ ეთანხმებოდა ბელარუსული მხარე და მოითხოვდა, რომ გაზის საფასური ნავთობის ფასზე არ ყოფილიყო მიბმული. ოფიციალური მინსკი ყველა მოლაპარაკებაზე დაჟინებით მოითხოვდა ათას კუბურ მეტრზე 140 აშშ დოლარის ოდენობის ღირებულებას. ამ ფასიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ მომავალი წლის ბიუჯეტიც დაგეგმა, რასაც ახლა მაინც მოუწევს კორექტირება.

მაქსიმალური ფასი, რაც ბელარუსულმა მხარემ მოსკოვთან მოლაპარაკებებში განსაზღვრა, 160 აშშ დოლარს არ აღემატება. ამის შესახებ ადრე ეკონომიკის მინისტრის მოადგილემ ვლადიმირ ადაშკევიჩმა მინსკში გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრა: **"ჩვენი აზრით, ბუნებრივი გაზის საფასური ათას კუბურ მეტრზე 160 აშშ დოლარს არ უნდა აღემატებოდეს, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ცისფერ საწვავს 140 აშშ დოლარადაც მივიღებთ."**

იმის შესახებ, რომ ბელარუსი "140 აშშ დოლარისთვისაც იბრძოლებს" ცოტა ხნის წინ ბელარუსის პირველმა ვიცე-პრემიერმა ვლადიმირ სემაშკომაც ისაუბრა.

"ჩვენ მიგვაჩნია, რომ იმ დროს, როცა ნავთობზე ფასი 3.5-4-ჯერ შემცირდა, გაზის საფასურის გაზრდა სრული აბსურდი იქნება," - აღნიშნა სემაშკომ. მისი თქმით, კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტია რუსეთის ხელისუფლების გადაწყვეტილება - ბუნებრივ გაზზე შიდა ღირებულება გაზარდოს არა ადრე დაგეგმილი 25 პროცენტით, არამედ - არა უმეტეს 5 პროცენტით.

მეწარმეობისა და მენეჯმენტის ინსტიტუტის კვლევითი ცენტრის ეკონომისტ ალექსანდრ ჩუბრიკის აზრით, ბელარუსისთვის ბუნებრივი გაზის ღირებულების ადეკვატურობის შეფასება რთულია მანამდე, ვიდრე ევროპისთვის ფასების სია არ გამოქვეყნდება.

"თუ პოლონეთი და გერმანია ბუნებრივ გაზს 250 აშშ დოლარად შეისყიდიან, მაშინ 160 აშშ დოლარის ღირებულებას შეიძლება მხარეების მიერ შეთანხმებულ ფასების გათვლის ფორმულასთან დაახლოებული ვუწოდოთ. გაუგებარი რჩება მხოლოდ, რისთვის იღწვოდა ხელისუფლება? ამ ყველაფრის შეთანხმება სახელმწიფო მეთაურების მონაწილეობის გარეშე სამუშაო რეჟიმში იყო შესაძლებელი," - აღნიშნა ექსპერტმა "ბელორუსკიმი ნოვოსტიამისთან" ინტერვიუში. აღსანიშნავია, რომ ბელარუსისთვის ბუნებრივ გაზზე ფასის ფორმულა დაკავშირებულია ევროპულ ფასთან კლებადი კოეფიციენტის გათვალისწინებით. ორმხრივი შეთანხმებების თანახმად, ბელარუსისთვის ბუნებრივი გაზის ღირებულებამ, ტრანსპორტირების ხარჯების გაუთვალისწინებლად, 2009 წელს უნდა შეადგინოს საშუალო ევროპული ფასის 80 პროცენტი, 2010 წლისთვის - 90 პროცენტი, 2011 წელს კი ბელარუსმა ბუნებრივ გაზზე ევროპული ფასის 100-პროცენტიანი გადახდა უნდა დაიწყოს. 2008 წლის პირველ კვარტალში ბელარუსი რუსულ გაზს 119 აშშ დოლარად ყიდულობდა, მეორე კვარტლიდან კი ფასმა ათას კუბურ მეტრზე 127.9 აშშ დოლარი შეადგინა.

რას გადაიხდის ოფიციალური მინსკი იაფი რუსული გაზისთვის?

კრემლში ორიოდე დღის წინ გამართულ შეხვედრაზე ალექსანდრ ლუკაშენკომ და დმიტრი მედვედევმა შეათანხმეს ბელარუსისთვის რუსული ბუნებრივი გაზის მიწოდების ფასი 2009 წლისთვის.

"ფასი ბელარუსისთვის სავსებით მისაღები პირობებითაა შეთანხმებული," - თქვა მოსკოვში მოლაპარაკებებზე მყოფმა ბელარუსის დელეგაციის წარმომადგენელმა, მაგრამ კონკრეტული ციფრების დასახელებაზე უარი განაცხადა. ჟურნალისტებისა და ექსპერტების ვარაუდები იმის შესახებ, თუ ვინ ვის რას დაჰპირდა და რის ფასად, ჯერჯერობით ფაქტებს კი არა, ბუნდოვან ინფორმაციას ემყარება. ბელარუსული დელეგაციის წყაროები იუწყებიან, რომ **"ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრაზე განხილულ საკითხებზე, მათ შორის სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობაზე, შესაბამისი გადაწყვეტილებებია მიღებული, რაც დოკუმენტურად მომავალი წლის იანვრის ბოლოს დაგეგმილ უმაღლესი საბჭოს სხდომაზე გაფორმდება."** არ არის გამორიცხული, რომ საქმე ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთობლივ სისტემას ეხებოდეს. აქ კი ნომერ პირველი საკითხია ის, თუ სად იქნება სამეთაურო პუნქტი ანუ ვისი თითი აღმოჩნდება "გაშვების" ღილაკზე. პოლიტოლოგ ალექსანდრ კლასკოვსკის აზრით, საეჭვოა, მოსკოვს ეს ყველაფერი იმისთვის წამოეწყო, რომ მეთაურობა ბელარუსებისთვის დაეთმო. ასეთ შემთხვევაში ბელარუსი სახმედრო-სტრატეგიულ სფეროში სუვერენიტეტის ნაწილს თმობს და რისკის ახალ ფაქტორს იღებს. ასევე გაურკვეველი მოჩანს "ბელტრანსგაზის" აქციების საკონტროლო პაკეტის მომავალი - ანუ დათმეს უკვე გაზსადენი თუ ჯერ არა? თუ გავიხსენებთ მობილური კავშირის ოპერატორ კომპანია "ველკომმომთან" დაკავშირებულ დეტექტიურ ისტორიას, როცა მისი გაყიდვის შესახებ ხალხმა ფაქტით გაიგო, არანაირი სიურპრიზი არ არის გამორიცხული. "ხალხისთვის სახელმწიფოში" აქტივები უხმაუროდ და მალულად იყიდებოდა, ისე რომ საჭიროდაც არ მიიჩნეოდა ხალხისთვის რამეს კითხვა ან საქმის კურსში ჩაყენება. ბოლო დროს ხელისუფლების უმაღლესმა ეშელონებმა ორ ქვეყანას შორის "ინტეგრაციის პროცესების" პერიპეტიებში მოქალაქეების ინფორმირების თვალსაზრისით მინიმალური ეთიკაც კი დაკარგეს. თუმცა, ბუნებრივი გაზის ფასის შემთხვევაში ასეთი ქცევა ადვილად აიხსნება - მოსკოვი, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, მოკავშირის ცრემლებისა და ფიცის არ სჯერა, თავისთავად რაღაცას დაჰპირდა, მაგრამ შემდეგ კონტექსტში: "მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ თქვენ ..." ანუ საკითხი იმ დრომდე გაყინა, ვიდრე კრემლი თავისთვის სასურველ ისეთ დოკუმენტებზე, როგორიცაა ერთიანი ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შესახებ ხელშეკრულება, ხელმოწერას არ დაინახავს. რას ელიან კიდევ, რა ჩადო რუსულ ლომბარდში ბელარუსის ხელისუფლებამ? - ამ კითხვების პასუხზე შეიძლება მხოლოდ ვიმარჩიელოთ.

AFP ' 2008

მედვედევის და ლუკაშენკოს ურთიერთობები ორმხრივი გაცუცურაკების ყოვლისმომცველ სურვილს ეფუძნება

ალექსანდრ კლასკოვსკის აზრით, მოსკოვისა და მინსკის ურთიერთობები ორმხრივი გაცუცურაკების ყოვლისმომცველ სურვილს ეფუძნება და პერიოდულად ასეც ხდება ხოლმე. მაგალითად, ბელარუსულმა მხარემ შეძლო ორი ქართული მეამბოხე ტერიტორიის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხის "ჩამწნილება" - ვიდრე ფოსტა აღმაშფოთებლად ცუდად მუშაობდა, ხოლო სოხუმის და ცხინვალის ხვეწნა-მუდარა ვერაფრით ხვდებოდა სტერილურ პარლამენტში (ოპოზიციონერთა გარეშე), ბელარუსის საკანონმდებლო ორგანომ მშვიდად მიიყვანა საქმე არდადეგებამდე, შემდეგი სესია კი მხოლოდ მომავალი წლის აპრილში გაიმართება. თუმცა, გაქნილობის თვალსაზრისით, მინსკს არც მოსკოვი ჩამოუვარდება - მაგალითად, კრედიტის გამოყოფის ვერაგული პირობებითა და რუსული რუბლის ექსპანსიით.

მინსკი მოსკოვსა და ბრიუსელს შორის დარბის

მინსკს ჯერჯერობით ბრიუსელზე "გასვლის" დამატებითი და კარგი შანსი აქვს. მომავალი წლის გაზაფხულზე ბელარუსის ხელისუფლებისთვის ნახევარწლიანი ტესტის შედეგების შეჯამებისას ევროკავშირი ალბათ გაითვალისწინებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის არაღიარებაში ოფიციალური მინსკის ურყევ პოზიციას (ან "თავის მოსულელების" ოსტატობას).

ალექსანდრ კლასკოვსკის თქმით, სხვა საქმეა, რომ მინსკს ბრიუსელისთვის, ჟარგონზე რომ ითქვას, "კუკლას შესაღება" სურს. ცოტა ხნის წინ ორ ოპოზიციურ გაზეთს "ბელსოიუზპეჩატისა" და "ბელპოჩტის" სისტემით გავრცელების უფლება მიეცა. ამ დღეებში უკვე მეოთხედ (!) დაარეგისტრირეს ყოფილ საპრეზიდენტო კანდიდატ ალექსანდრ მილინკევიჩის პოლიტიკური მოძრაობა (რომლის რეიტინგიც სტატისტიკურ ცდომილებამდე ეცემა). ბელარუსის ხელისუფლება ეუთო-საც "ეთამაშება" - არჩევნების შედეგების შესახებ ნეგატიური ანგარიშის განხილვითა და ცვლილებების დაპირებით, რისიც, მგონი, თავადაც არ სჯერათ. სისტემურ ცვლილებებს პირი არ უჩანს. ბრიუსელს კი, სხვათა შორის, თავად უხარია, რომ ატყუებენ. ევროპელი პოლიტიკური მოღვაწეების ნაწილიც არ არის წინააღმდეგი, რომ მკაფიო საგზაო რუკის ნაცვლად, მომავალშიც "პრაგმატული დიალოგი ხლართონ."

თავისი სცენარით პრაგმატულ დიალოგს ლუკაშენკო მოსკოვსაც სთავაზობს. კერძოდ, იაფი გაზისა და კრედიტის მორიგი პორციისთვის ერთ-ერთი არგუმენტი: თუ ბელარუსში წარმოება გაჩერდება, რუსეთში 10 მლნ უმუშევარი გაჩნდება, რომლებიც ბელარუსულთან მჭიდრო კავშირში მყოფ საწარმოებში არიან დასაქმებულნი. შესამჩნევია, რომ ლუკაშენკოს სულ უფრო უჭირს, დაფაროს კრემლის მიმართ თავისი გაღიზიანება. ბელარუს ლიდერს მიაჩნია, რომ "პრეზიდენტების შეხვედრის წინ რუსეთის მხრიდან მომდინარე საინფორმაციო პროვოკაციები იმპერიული სინდრომის გამოვლინებაა" და იქვე განმარტავს: **"ეს იმპერიული სინდრომი მოსვენებას არ აძლევს ზოგიერთ რუს ჩინოვნიკს. ეს ქმედებები ბანალურია. ჩვენ უკვე წინასწარ ვიცით, ისინი ამ ინფორმაციას როგორ "შემოგვასაღებენ". ეს უკვე ყელში ამოგვივიდა. მათ არ შეუძლიათ რამე ახლის მოფიქრება, მაგრამ გამუდმებით "გვიმტკიცებენ", თითქოს ძლიერები არიან და სხვები მათ მუხლზე დაჩოქილნი ევედრებიან,"** - მოჰყავს პრეზიდენტის სიტყვები სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო "ბელტას". ლუკაშენკოს თქმით, მან ამაზე თავისი რეაქცია მოსკოვში რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევთან შეხვედრისას გამოავლინა: **"ბელარუსი არასდროს მჯდარა სხვის კისერზე და არც ახლა მოსულა რამეს სათხოვნელად. ასეთი რაღაცების მიმართ ჩემი დამოკიდებულება თქვენ კარგად იცით. ამჯერად ასეთი "ინფორმაციის გავრცელებასა" და მუქარებზე ბელარუსულ მხარეს ძალიან მკაცრი რეაქცია ჰქონდა და თქვენ დაინახეთ, მეორე დღეს როგორ შეიცვალა ტონი რუსულ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში."**

ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘᲡ ᲧᲣᲠᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲛ ᲔᲕᲠᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐᲜ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘ ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲐ

სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭომ ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები შეაჩერა. მიზეზი ევროკავშირის მოთხოვნა გახდა, ყურის ქვეყნებში ადამიანის უფლებები გადახედილიყო. ამის პასუხად, საბჭომ განაცხადა, რომ სავაჭრო საკითხების განხილვისას პოლიტიკური თემები არ უნდა განიხილებოდეს. თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მოლაპარაკებები 1988 წლიდან მიმდინარეობს. კატარის პრემიერ-მინისტრის შეიხ ჰამად ბინ იასიმის თქმით, ხელშეკრულება შესაძლო იყო 2008 წლის დამდეგსაც ამუშავებულიყო, თუმცა, ევროკავშირის მხრიდან ზღვარგადაცილებული მოთხოვნების გამო ეს ვერ მოხერხდა. ყურის გაერთიანებაში შედიან ბაჰრეინი, ომანი, კატარი, ქუვეითი, საუდის არაბეთი და არაბეთის გაერთიანებული საემიროები. **მედიანიუსი**

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲒᲐᲛᲡᲙᲓᲐᲠᲛᲐ ᲛᲘᲚᲛᲐ ᲤᲝᲠᲡᲛᲐᲟᲝᲠᲘ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ

გუშინ დილას ვაშინგტონთან ახლოს 168 სმ-იანი წყალსადენი მილი გასკდა. გადმომსკდარმა წყალმა საგარეუბნო გზაზე დიდი ნაკადი შექმნა და მიმავალი მანქანები ალყაში მოაქცია.

ნაკადაში მოყოლილ ავტომობილებში დარჩენილი ადამიანების ამოსაყვანად მაშველებს შვეულმფრენებისა და ნავების გამოყენება დასჭირდათ.

უმეტესობას გადაყინვა აღენიშნება. სანიტარიული სამსახურის წარმომადგენლის თქმით, წყალსადენის შეკეთება ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან გადამკეტი ჭანჭიკები წყალქვეშაა მოყოლილი. არც ისაა ცნობილი, თუ სად გასკდა მილი. **მედიანიუსი**

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲛᲝᲚᲓᲝᲕᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ ᲐᲦᲠᲛᲐᲕᲔᲑᲡ

რუსეთმა მოლდოვასთან უმსხვილესი ენერგოკონტრაქტი გააფორმა. მოლდოვას ეკონომიკისა და ვაჭრობის მინისტრ ტუდორ კოპაჩის განცხადებით, მოლდოვას სრესი, რომელიც რუსეთის "ინტერ რაო ესის" კუთვნილებაა, ყოველთვიურად 200-220 მილიონ კილოვატ საათს მიიღებს. კონტრაქტი 15 თვით არის დადებული - 2009 წლის 1 იანვრიდან 2010 წლამდე.

კოპაჩის თქმით, მოლდოვა, ხსენებულ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით, კიდევ უფრო დიდხანს იქნება ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი. ანალოგიური კონტრაქტი უკრაინასთან 2009 წლის ივნისამდე მოქმედებს. ამასთან, გრესისთვის მიწოდებულმა ენერგიამ ქვეყნის მთელი შიდა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უნდა შესძლოს. **მედიანიუსი**

ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ ᲛᲘᲬᲘᲡᲫᲕᲠᲐ ᲛᲝᲮᲓᲐ

იტალიის ჩრდილოეთით, რიხტერის შკალით, 5,2 ბალის მიწისძვრა მოხდა. მინისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი აპენინის მთიანეთში, ქალაქ პარმასთან ახლოს დაფიქსირდა. მიწისძვრა მილანში, გენუასა და ფლორენციაშიც იგრძნობოდა. არსებული მონაცემებით, სტიქიას მსხვერპლი და ნგრევა არ გამოუწვევია. მიწისძვრის რაიონში დროებით შეჩერებულია მატარებლების მოძრაობა. რკინიგზელები ლიანდაგებს ამოწმებენ. **მედიანიუსი**

ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ ᲣᲪᲮᲝ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲗᲐᲜᲮᲛᲓᲐ

ერაყის პარლამენტმა აშშ-ს მოკავშირე ქვეყნების კოალიციურ ჯარებს 2009 წლის 1 იანვრიდან ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის უფლება მისცა. პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, 4 ათასმა ბრიტანელმა ჯარისკაცმა, აგრეთვე რუმინეთის, ავსტრალიის, სალვადორისა და ესტონეთის მცირე საჯარისო შენაერთებმა ერაყში დარჩენის უფლება მიიღეს 2010 წლამდე. კანონპროექტი პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო, მანამდე ორ მოსმენაზე ხსენებული პროექტი ჩავარდა. ცნობისათვის - კოალიციური ჯარების ქვეყნის ტერიტორიაზე დარჩენის ვადა 31 დეკემბერს იწურება. **მედიანიუსი**

ᲑᲐᲥᲝᲨᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲐᲥᲪᲘᲐ ᲓᲐᲐᲠᲑᲘᲔᲡ

ბაქოში, საკონსტიტუციო სასამართლოსთან ოპოზიციის აქცია დაარბიეს, - იუწყება "day.az". სააგენტოს ცნობით, დაკავებულია რამდენიმე ადამიანიც. აზერბაიჯანის ოპოზიცია საკონსტიტუციო ცვლილებებს აპროტესტებს, რომელთა შედეგად მოიხსნება შეზღუდვა ერთი და იმავე ადამიანის პრეზიდენტად ორჯერ მეტი ვადით არჩევის თაობაზე. ცვლილებები კონსტიტუციაში უკვე დაამტკიცა აზერბაიჯანის პარლამენტმა, მათი ამოქმედებისთვის კი რეფერენდუმის ჩატარებაა საჭირო. საკონსტიტუციო სასამართლომ კონსტიტუციაში ცვლილებათა პროექტს დადებითი შეფასება მისცა. შესაბამისად, ქვეყნის პრეზიდენტ ილჰამ ალიევს რეფერენდუმის დანიშვნა უკვე შეუძლია. ალიევი წელს აზერბაიჯანის პრეზიდენტად მეორედ აირჩიეს. უფლებამოსილების ვადა მას 2013 წელს ეწურება. **ინტერპრესნიუსი**

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲨᲡᲡ ᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲐᲜᲥᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲛᲔᲓᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ

რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტრო მიგრანტთა წინააღმდეგ მოსალოდნელი მასობრივი არასანქცირებული ქმედებების შესახებ იუწყება. "განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევენ არალეგალი მიგრანტები, ასევე, ლეგალური უცხოური მუშა ხელი, რომლებიც დამსაქმებლებმა მოატყუეს. ახლა უკვე შესაძლებელია დანაშაულებების ზრდის ტემპის დაფიქსირება, რომელიც უცხოელების მიერ არის ჩადენილი," - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ მიხაილ სუხოდოლსკიმ. მისივე თქმით, საზოგადოებაში აღნიშნული კატეგორიის მიმართ ტოლერანტობა მაღალ დონეზე არ არის, რაც არ გამორიცხავს მათ მიმართ პროვოკაციებს, მასობრივ არასანქცირებულ მოქმედებებს. **ინტერპრესნიუსი**

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲓᲐᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

უკრაინის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს შორის დაპირისპირება გრძელდება. "ინტერფაქსის" ინფორმაციით, იულია ტიმოშენკო აცხადებს, რომ ვიქტორ იუშჩენკო თავისი ნებით უნდა წავიდეს თანამდებობიდან, რადგან "კორუფციულ მაქინაციებშია" გარეული. "პრეზიდენტი, რომელმაც პოლიტიკა, ერი, ეკონომიკის რეალური სექტორი ამ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომელიც გარეულია კორუფციულ მაქინაციებში, თავად უნდა წავიდეს თანამდებობიდან - ეს ღირსების საკითხია," - განუცხადა ტიმოშენკომ ჟურნალისტებს. მისივე მტკიცებით, იუშჩენკო ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას აპირებს. **ინტერპრესნიუსი**

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲒᲝᲠᲑᲐᲩᲝᲕᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲡ ᲙᲠᲘᲖᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲫᲚᲔᲕᲘᲡ ᲒᲖᲔᲑᲡ ᲣᲬᲣᲜᲔᲑᲡ

რუსეთში ეკონომისტებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების ჯგუფმა, საბჭოთა კავშირის ექსპრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის თაოსნობით, "საზოგადოებრივი ანტიკრიზისული ინიციატივა" ("საი") შექმნა, რომლის მიზანიც რუსეთში ფინანსური კრიზისის შედგებთან ბრძოლა გახლავთ. "საი" თავისი მიზნების მიღწევას პროფესიონალი ეკონომისტებისა და სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წრეების ერთობლივი ძალისხმევით შეეცდება.

"საი"-ს მემორანდუმის წარმოდგენისას გორბაჩოვმა მკაცრად გააკრიტიკა ის ზომები, რომლებიც ხელისუფლებამ ვლადივოსტოკის ავტომოყვარულთა საპროტესტო აქციის დასარბევად გამოიყენა. **"იქ საქმიანი და ცხოვრებისეული საკითხები იყო წამოჭრილი, ჩვენ კი ვერაფერი მოვიფიქრეთ უკეთესი, გარდა იმისა, რომ მათთან "ომონი" გაგვეგზავნა,"** - აღნიშნა სსრკ-ს ექსპრეზიდენტმა.

სააგენტო "ინტერფაქსის" ცნობით, მემორანდუმს ჯერჯერობით 15-მა ადამიანმა მოაწერა ხელი, რომელთა შორის, ძირითადად, მეცნიერები და საინვესტიციო საბჭოს წევრები არიან.

რუსეთში შექმნილი სიტუაციის შეფასებისას მემორანდუმის ავტორებმა მკაცრად გააკრიტიკეს ის ფაქტი, რომ **"უკანასკნელ წლებში უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღება, ფაქტობრივად, საზოგადოების მონაწილეობის გარეშე ხდებოდა."** მათი აზრით, დღესაც ზუსტად ასევე იღებენ ანტიკრიზისული ზომებს და ნათლად ჩანს, რომ ხელისუფლებას კრიზისის დაძლევის მკაფიო სტრატეგია, უბრალოდ, არ გააჩნია.

"საი"-ს წევრები ასევე მიიჩნევენ, რომ 50 მილიარდი დოლარი, რომელიც ქვეყნის ყველაზე მდიდარი ადამიანების კუთვნილი კორპორაციების საგარეო ვალების დასაფარად გამოიყო, უმჯობესი იქნებოდა, რუსეთის ეკონომიკაში ჩადებულიყო, რასაც ეკონომიკური და სოციალური ეფექტი მოჰყვებოდა.

მემორანდუმის ავტორებმა, პირველი ანტიკრიზისული ზომის სახით, საჭიროდ მიიჩნიეს კრიზისის შიდა მიზეზების ყოველმხრივი ანალიზის ჩატარება, რაც ალტერნატიულ დემოკრატიულ საფუძველზე საერთოეროვნული კრიზისული პროგრამის პროექტის ღია განხილვას ითვალისწინებს.

"საი"-ს წევრებმა წარმოადგინეს კონკრეტული ნაბიჯები, რაც მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილის დახმარებას, საგარეო ვალებთან დაკავშირებული პოლიტიკის შეცვლას, ბუნებრივი მონოპოლიების ტარიფების გაყინვას, ექსპორტის მხარდაჭერის გაზრდასა და იმპორტის დესტიმულირებას ითვალისწინებს.

მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა მომხრეებმა ანტიკრიზისული კრების ჩატარების იდეა წამოაყენეს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო საზოგადოების, პროფკავშირების, მთავრობის, პარლამენტისა და რეგიონებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. "საი"-ს წევრების აზრით, აღნიშნულ კრებაზე შესაძლებელი გახდება ანტიკრიზისული პოლიტიკის პრინციპებზე ფართო საზოგადოებრივი თანხმობის მიღწევა.

აღსანიშნავია, რომ ორშაბათს გორბაჩოვმა "როსიისკაია გაზეტაში" გამოაქვეყნა სტატია, რომელიც რუსეთის ეკონომიკურ კრიზისს ეძღვნებოდა. სტატიაში სსრკ-ს ყოფილი პრეზიდენტი აღნიშნავდა, რომ კრიზისის შედეგებზე ხელისუფლების მხრიდან გაკეთებული დამამშვიდებელი განცხადებები ყოვლად უპასუხისმგებლო იყო.

"კრიზისთან გამკლავება მხოლოდ თანასწორუფლებიანი დიალოგის, საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაციისა და პოლიტიკასა და აზროვნებაში მილიტარისტული ტენდენციების დაძლევის შემთხვევაშია შესაძლებელი," - განაცხადა მიხეილ გორბაჩოვმა.

რევიუ

ადამიანი, რომელიც გვაოცებს და გვაჯერებს

ნუგზარ ნათენაძე - უკომენტაროდ, უბრალოდ ნამდვილი მხატვრობა

სოფო კილასონია



თუ არ ვცდები 2002 წელი იყო, როცა თბილისში ჩამოვიდა. თუ ვცდები და თავს იმით დავიმშვიდებ, რომ ამ შემთხვევაში სიზუსტე ბევრს არაფერს ცვლის, მოკლედ, ჯავახეთის ერთ-ერთი სოფლიდან, სადაც ქართული თითქმის არ ისმის, დედაქალაქს მხოლოდ ერთი მიზნით გამოეშურა - ნახატები რომლებიც დაკეცილი, დახვეული და იღლიაში ამოჩრილი მოჰქონდა, ერთი ადამიანისთვის უნდა ეჩვენებინა. ის ეტყოდა, როგორ მოენახა გზა, რომლითაც უნდა ეარა, ის ეტყოდა, რა ერქვა იმას, რასაც ქმნიდა. მოკლედ ასე, იმედებითა და ეჭვებით ერთდროულად შეპყრობილი ჩამოვიდა თბილისში. ასე დაიწყო მისი ახალი ცხოვრება.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ მე ახლა რომელიმე მხატვრული ფილმის, კონკრეტულად ახალი ქართული ფილმის სიუჟეტს ვყვები. მართალია, ახალი ქართული კინოს სიუჟეტები ამ ამბავზე მეტად ბანალური და ამაზე უნიჭოდ დაწერილია, აბსოლუტურად ყველა, მაგრამ ეს ამბავი მაინც არ არის არც ქართული და არც ჰოლივუდური ზღაპრიდან ამოგლეჯილი. ეს პერსონაჟი რეალურია. მას ნუგზარ ნათენაძე ჰქვია და დღეს მასზე მისივე არაერთი კოლეგა, ანუ მხატვრი ამბობს, რომ ის მოვლენაა, გენიოსი. მაგრამ მაშინ, რამდენიმე წლის წინ, მის შესახებ არაფერი იცოდნენ. ის კი თბილისში მოდიოდა იმ ერთადერთ მხატვართან შესახვედრად, რომელსაც ტელევიზორში ხშირად ხედავდა. მხოლოდ მას სცნობდა სახეზე და მხოლოდ მისი ნახვა სურდა თბილისში. სხვა არაფერი...

გია ბუღაძე ფიქრობდა, როგორც არ უნდა ხატავდეს, ჯავახეთიდან ჩამოსულ ქართველს რაღაცით მაინც უნდა დავეხმაროთო, მხოლოდ მე კი არა, მთელი აკადემია უნდა დაეხმაროსო. მაგრამ ნახა რა მისი ნამუშევრები, ქველმოქმედებამ, ჯავახეთელი ქართველის ფენომენმა, თუ ე.წ.-მა ფაქტორმა და თანადგომამ - ყველაფერმა უკან დაიხია მისი ნიჭის წინაშე. ის, ვისაც უცნობმა გრაგნილები პირდაპირ იატაკზე გაუშალა, მიმხვდა, რომ ამ ნამუშევრების ავტორი ბევრად მეტს იმსახურებდა ვიდრე უბრალოდ ყურადღებას. სულ მალე, "ძველ გალერეაში" ნათენაძის პერსონალური გამოფენაც გაიმართა. გუშინ მიყვებოდნენ, რომ მაშინ თითქმის ყველა ნამუშევარი გაიყიდან. გუშინ მიყვებოდნენ ყველაფერს რაც ზემოთ დავწერე. ოღონდაც ამჯერად შარდენის ქუჩაზე, გალერეაში "აკადემია +", ნუგზარ ნათენაძის მორიგ პერსონალურ გამოფენაზე.

პირველად აღმოვჩნდი ასეთ უცნაურ მდგომარეობაში - იქვე მყოფ ადამიანზე, როგორც ლეგენდაზე ისე მეჩურჩულებოდნენ ახალგაზრდა მხატვრები. ასე იყო, ასე, ასე და ასეო... მიყვებოდნენ ამ ამბის არა მთავარი პერსონაჟები, არამედ მომსწრენი, მოწმენი და დღემდე მისით აღფრთოვანებული ახალგაზრდები.

ნუგზარ ნათენაძეზე ფართო საზოგადოებამ შეიძლება ჯერ ბევრი არაფერი იცის, მაგრამ მხატვრებსა და თბილისური ვერნისაჟების ერთგულთ გაოგნებული ღიმილი დასთამაშებთ ყოველთვის, როცა კი მეუბნებიან: "ნუგზარი? ნათენაძე?" და ამით მიდასტურებენ რომ იციან, იცნობენ, უყვართ, აინტერესებთ და რაც ალბათ დღეს ყველაზე მთავარია, მიმანიშნებენ, რომ ეს არის ადამიანი, რომელიც მათ აოცებს.

არსად უსწავლია, მაგრამ არაფრით ვიტყვი მასზე იმ აუტანელ სიტყვას - "თვითნასწავლი". იმიტომ, რომ თავადაც არ უსწავლია. რა უნდა ესწავლა, როცა ისედაც ესმოდა და ისედაც იცოდა ყოველთვის ყველაფერი, თავიდანვე. ასეთ ადამიანებს ისედაც აქვს დაგროვილი ცოდნა, რომელიც ალბათ გადაეცათ.

სოფელში, სადაც საერთოდ არაფერს ასწავლიან, მით უფრო ასე იყო მის ბავშვობაში, ერთადერთი რაც ენახა, იყო რომელიღაცა სახელმძღვანელოში პიკასოს და სეზანის ნამუშევრების გაცრეცილი თითო-თითო რეპროდუქცია. სხვა არაფერი და არც არაფერი უძებნია. უბრალოდ, უნდოდა და ხატავდა. ხან ნაჭერზე და ხანაც რაზე, ხან ფანქრით და ხანაც იატაკის საღებავით. რაც ჰქონდა და რაც მოეპოვებოდა. მაგრამ რასაც ხატავდა და ხატავს არაფერში ტყუის, არაფერში სცდება. არც ფერში, არც ფორმაში, არც მონასმის სიზუსტესა და დამაჯერებლობაში. ყველაფრის დეფორმირების, ერთი შეხედვით ალოგიკური აქცენტებისა და უკიდურესი სიუხეშით აღწევს ისეთ სინამდვილეს და ეს სინამდვილე რეალობის ამსახველ ერთადერთ მხატვრულ ჭეშმარიტებად იქცევა ნებისმიერი დამთვალიერებლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ არც პოსტიმპრესიონიზმი "გაუვლია" და არც ექსპრესიონიზმში "უვარჯიშია", მის ნამუშევრებში ერთიც და მეორეც გავლილი ეტაპია და ამას ემატება ფერთა გამა, რომელიც თავისი აქვს: სამხრეთ საქართველოს პეიზაჟებიდან წამოსული მუქი - სავსე და აზრებით, დარდებით, ამბებით დამძიმებული.

სამხატვრო აკადემიის მცირე გალერეა (შარდენის 19) ნუგზარ ნათენაძის გამოფენით შეხვდება ახალ წელს და იანვრის საახალწლო კვირეულშიც დააჯერებს დამთვალიერებელს, რომ თანამედროვე კონცეპტუალური ხელოვნების, მთელი ტექსტების, მინაწერებისა და კომენტარების გარეშეც არსებობს მხატვრობა, რომელიც არაფერზე არ არის დამოკიდებული და რომელსაც არც არაფერი არ შეცვლის და რომ ადრე თუ გვიან ამას ყველა მიხვდება, უფროს სწორად, ყველა აღიარებს.

დათო ფურაცვილის ხუთშაბათი

ისევ აგვისტოს დარდი

მაშინ, თბილისის ქუჩებში მხოლოდ ავტომატებით შეიარაღებული ადამიანები რომ დადიოდნენ, კოტე ყუბანეიშვილი ყოველთვის წიგნით ხელში მხვდებოდა ხოლმე და ძალიან მიხაროდა მისი დანახვა, რადგან მეგონა რომ სხვებიც მიხვდებოდნენ, რატომ არის წიგნი ავტომატზე ძლიერი იარაღი.

თუმცა, ეს მხოლოდ ჩემი სურვილი იყო და ის სხვები სხვაგვარად ფიქრობდნენ და ისე იქცეოდნენ, როგორც ფიქრობდნენ. სინამდვილეში კი ალბათ არ ფიქრობდნენ და ამიტომაც მოგვაჩეჩეს ასე ადვილად ნახმარი თუ ახალთახალი ავტომატები. არადა ჩვენი ეროვნული მოძრაობა ყველაზე ძლიერი სწორედ მაშინ იყო, როცა უიარაღოდ ებრძოდა რუსეთის უზარმაზარ იმპერიას და პირიქით - ყველაზე მეტად მაშინ დასუსტდა, როცა საყოველთაო შეიარაღება დავიწყეთ.

მაშინდელი, ის სამწუხარო შეცდომა კი იმიტომ გავიმეორეთ სულ რაღაც თხუთმეტიოდე წლის შემდეგ, რომ მწარე გაკვეთილების შესახებ სწორედ წიგნებში წერია და არა ავტომატების ლულებზე.

იმ ბრძენი კაცის წიგნშიც პირდაპირ არის ახსნილი რატომ არ ითვალისწინებენ ადამიანები ისტორიის სამწუხარო გამოცდილებას, მაგრამ ყველა წესს, გამონაკლისიც აქვს.

მაგალითად იაპონელებმა, მათი ქალაქების დაბომბვის შემდეგ (ქართველებისაგან განსხვავებით), საყოველთაო მილიტარიზაციაზე უარი თქვეს და პრობლემების მოგვარების სრულიად ალტერნატიულ გზებს მიმართეს. როგორც კი ბომბებისაგან ჩამომდგარი კვამლი გაიფანტა, იაპონელებმა ისეთი მონდომებით გადაშალეს წიგნები რომ სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში ნახევარ მსოფლიოს დაეპატრონნენ.

ღმერთმა დაიფაროს ის დარჩენილი, მსოფლიოს მეორე ნახევარი ქართველებისგან, მაგრამ ჩვენი პრობლემების მოგვარებას ხომ მაინც შევძლებთ თუ იმ უბედურებისაგან, რაც აგვისტოში თავს დაგვატყდა, სწორ დასკვნებს გავაკეთებთ:

თუ მივხვდებით რომ ძლიერი ჯარი არ არსებობს იქ, სადაც საყოველთაო გაწვევაა, იმასაც მივხვდებით რომ აქამდე ჩვენ სინამდვილეში საბჭოთა ჯარს ვაშენებდით, რომელიც უფრო დიდმა საბჭოთა არმიამ დაამარცხა.

თუ დავიჯერებთ რომ პროფესიული არმია სინამდვილეში პატარა და მობილური უნდა იყოს, სტუდენტების იძულებით რეზერვაციაზეც უარს ვიტყვით.

თუ გავიხსენებთ რომ სტუდენტის საქმე სწავლაა, მაშინ იმაზეც უნდა შევთანხმდეთ რომ სტუდენტის ლექციებიდან მოწყვეტით, განათლებასაც შეურაცხყოფას ვაყენებთ და ქართულ არმიასაც, რადგან ჯარისკაცობა თვრამეტ დღეში, უბრალოდ არ ისწავლება.

თუ გავითვალისწინებთ რომ უკვე ოცდამეერთე საუკუნეში ვცხოვრობთ, იმის გახსენებაც მოგვიწევს რომ ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნეში თვლიდა ილია ჭავჭავაძე რომ წარმატებისა და გამარჯვების ალტერნატიული და არაძალისმიერი მეთოდებიც არსებობს.

თუ კარგად დავფიქრდებით, იმასაც აღმოვაჩენთ რომ დღევანდელი მსოფლიო შეიძლება ერთი კვირით ან ერთი თვით მოვატყუოთ, მაგრამ სამი თვის შემდეგ, ისინიც აუცილებლად გაიგებენ სიმართლეს, რადგან ერეკლე მეფეს სწორედ მეზარბაზნეებს შორის ჰყავდა რუსეთიდან შემოგზავნილი შპიონები.

ხოლო თუ მაინცადამაინც ნასედკების აღმოჩენა გვსურს, მაშინ (სხვა დროს მაინც), ტელევიზიით მაინც ნუ გამოვაცხადებთ რეზერვისტების შეკრების ადგილს, თორემ ასეთ ადგილებს კიდევ ერთხელ დაბომბავენ რუსები და ჩვენც მომავალში მაინც ნუ გავიკვირვებთ მათ დაუნდობლობასა და სისასტიკეს.

გარდა ამისა, თუ კიდევ ერთხელ ომში აღმოვჩნდებით (თუმცა ღმერთმა დაგვიფაროს) და მაინც მოგვიწევს ჩვენი გადარჩენილი ჯარის ნაწილების სადმე გახიზვნა, საჯაროდ მაინც ნუ გამოვაცხადებთ რომ მტრის ჯინაზე ისევ გვყავს გადამალული ქართული არმია, თორემ ეს დედამოტყნულები კიდევ ერთხელ დაგვიწვავენ ტყეებსაც და აბიბინებულ პურის ყანებსაც.

ამიტომაც მაშინ, აგვისტოს იმ საშინელ დღეებში მილან კუნდერას გარდა, სერგო ზაქარიაძეც გამახსენდა.

შეიძლება სხვებსაც გაახსენდათ შესანიშნავი ქართველი მსახიობი, როცა რუსები ყანებსაც გვიწვავდნენ და მისი ხმაც კი გავიგონე (რუსულად - ხლებ გარიტ) და ბავშობაში ნანახი ერთი ფოტოც გამახსენდა.

იმ ფოტოზე ბატონი სერგო სოფი ლორენთან ერთად იყო გადაღებული წითელ მოედანზე მოსკოვის კინოფესტივალის დროს სამოციანი წლების ბოლოს თუ სამოცდაათიანი წლების დასაწყისში. იმ ჩემმა კლასელმა, ვინც ეს ფოტო ბავშვობაში მაჩვენა, მახსოვს თვალიც ჩამიკრა იმის ნიშნად რომ რაც სოფი ლორენსა და სერგო ზაქარიაძეს შორის ხდებოდა, მისთვის გასაგები იყო.

ცოტა რომ წამოვიზარდეთ, მერე იმ ჩემმა კლასელმა რომელიღაც სხვა კინოფესტივალზე შემთხვევით შეხვედრილი გურამ ფირცხალავა და ფეი დანავეიც დაწყვილა, მაგრამ ეს უკვე სულ სხვა ისტორიაა და მგონი ძალიან შორს, სულ სხვაგან წავედი.

დარდმა ეგრე იცის.

P.S. სამწუხაროდ პაცეფისტი არ ვარ და თუ ვინმე ამიხსნის რატომ გვჭირდება ჯარი, სიამოვნებით მოვუსმენ. მეტიც, ჩემს აზრსაც გავუზიარებ და მაგალითად, ჩემის ღრმა რწმენით, ჯარი იმიტომ გვჭირდება რომ ამ ჯარის შიშით დაბომბვა ვერავინ გაგვიბედოს. აგვისტოში კი პირიქით იყო - რუსები იმიტომ გვბომბავდნენ რომ ჯარი გვყავდა...

უმდიდრესი პერსონაჟები

"ფორბსმა" ყველაზე მდიდარი გამოგონილი გმირების სია გამოაქვეყნა

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა არაერთი მდიდარი ადამინისა თუ კომპანიის ქონება შეამცირა, ზოგი გაკოტრების პირასაცაა, თუმცა არიან ისეთი მდიდრებიც, რომლებსაც არაფერი ემუქრებათ, რადგან მათი სიმდიდრე, როგორც თავად ისინი, გამოგონილები არიან. ჟურნალი "ფორბსი" ყოველწლიურად აქვეყნებს მათ რეიტინგს. გთავაზობთ 2008 წლის უმდიდრესი გამოგონილი პეროსნაჟების სიას.

პირველ ადგილზეა ძია სემი - სწორედ ის, რომელიც საბჭოთა კავშირის ქილიკისა და რისხვის ობიექტი ხშირად გამხდარა და რომელიც პრაქტიკულად ამერიკის პერსონიფიცირებულ განსახიერებას წარმოადგენს. იგი ქვეყნის ერთგვარი საყვირის როლსაც ასრულებს, მაგალითად წვევამდელებს ამერიკის არმიაში გაერთიანებისკენ მოუწოდებს. ძია სემი 1812 წელს მხატვარმა ტომას ნასტმა შექმნა და ამერიკა-ინგლისის ომის დროს მთავარ სააგიტაციო პერსონაჟს წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში მან გარეგნობა რამდენადმე შეიცვალა, თუმცა ამერიკის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელობა არ დაუკარგავს. "ფორბსის" აზრით ძია სემის სიმდიდრე იმდენად დიდია, რომ ციფრებით მისი გამოსახვა პრაქტიკულად შეუძლებელია.

მეორე ადგილი შარშანდელი სიის ლიდერ სკრუჯ მაკდაკს ერგო. იგი უოლტ დისნეის მიერ შექმნილი პერსონაჟია. როგორც გახსოვთ, მას სამი ძმისშვილი ჰყავს, რომლებიც გამუდმებით აწვალებენ და ნერვებს უშლიან. სკრუჯ მაკდაკს ფულისა და ოქროს გარდა არაფერი აინტერესებს და ძალიან უყვარს ოქროს მონეტების გროვაში კოტრიალი. მისი ქონება ამჟამინდელი მონაცემებით 29,1 მილიარდ დოლარად განისაზღვრება. მესამე ადგილზე ისევ ანიმაციური პერსონაჟი რიჩი რიჩი გავიდა. ეს პატარა ბიჭუნა 12.3 მილიარდ დოლარს ფლობს, უზარმაზარ აპარტამენტებში ცხოვრობს და ძალიან უბედურია იმის გამო, რომ მეგობრები არ ჰყავს. ამ პერსონაჟის შესახებ ფილმიცაა გადაღებული, სადაც რიჩის როლს მაკოლეი კალკინი ასრულებს.

ოლივერ სტოუნის მიერ 1987 წელს გადაღებული ფილმის "უოლტ სტრიტის" პერსონაჟი გორდონ გეკო, რომლის როლსაც მაიკლ დუგლასი თამაშობს, 8.5 მილიარდ დოლარს ფლობს. იგი ძალიან ხარბი და უხასიათო პიროვნებაა და ალბათ ამიტომაც შეძლო ამხელა ქონების დაგროვება. ვისაც ფილმი უნახავს, ალბათ ახსოვს, რომ გეკოს არაადამიანური გამოხედვები და ტექსტები, როდესაც მის რეპუტაციასა და ქონებას ჩარლი შინის პერსონაჟი დაემუქრება. სხვათა შორის, ამ როლისთვის მაიკლ დუგლასს "ოსკარი" აქვს აღებული.

გორდონ გეკოს მოსდევს ჯორჯ ლუკასის მიერ გამოგონილი ჯაბა ჰატი - ბაყაყისა თუ რაღაც მსგავსის გარეგნობის მქონე არსება, რომელიც ლამის ნახევარ გალაქტიკას აკონტროლებს და შესაბამისად მდიდარიცაა. "ფორბსის" მონაცემებით ჯაბა ჰატი 8,4 მილიარდ დოლარს ფლობს. ვინაიდან ჯაბას დოლარის კუპიურები თვალითაც არ უნახავს, ამიტომ "ფორბსმა" ალბათ გალაქტიკათაშორისი ვალუტის კურსით მოახდინა გადაანგარიშება.

კომპანია "მარველმა" თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი პერსონაჟის, ტონი სტარკითვის 7.9 მილიარდი გაიმეტა. სტარკი, იგივე რკინის კაცი ძალიან ჭკვიანია, უამრავი გამოგონების პატენტის მფლობელია და მსოფლიოს უმსხვილეს იარაღის მწარმოებლად მიიჩნევა. მოგეხსენებათ, იარაღით ვაჭრობა მეტად სარფიანი საქმეა, ამიტომ ტონი სტარკის საბანკო ანგარიში ყოველწლიურად იმატებს. მას მოსდევს კომიქსების კიდევ ერთი პერსონაჟი - ადამიანი ღამურა ანუ ბრუს უეინი. მან ქონება მემკვიდრეობით მიიღო, ახლა კი ქველმოქმედებითა და სუპერგმირობითაა დაკავებული. მისი ქონების დიდი ნაწილი კი ადამიანი ღამურას აღჭურვილობასა და ავტოტექნიკაში იხარჯება.

"ფორბსის" სიაში ცხადია მისტერ მონტგომერი ბერნსიც მოხვდა - სპრინგფილდის უმდიდრესი ადამიანი. მულტსერიალ "სიმპსონების" პერსონაჟი 996 მილიონ დოლარს ფლობს, მაგრამ ჯიბის გასქელებაზე მაინც გამუდმებით ფიქრობს. სიის ბოლო ადგილზეა კომპიუტერული თამაშების ყველაზე მომხიბლავი პერსონაჟი - ლარა კროფტი. იგი 900 მილიონს ფლობს, რაც ასევე მემკვიდრეობით ერგო.

ერთი რუსიკო მასწავლებლის "სამი ცისარტყელა"

ლელა ბერიძე

რუსიკო ყოინაშვილი, გერმანისტი და იტალიანისტი, დაამთავრა თბილისის უცხო ენების ინსტიტუტი გერმანული ენის განხრით, 1975-76 წლებში მუშაობდა კარდენახის სკოლაში გერმანულის მასწავლებლად, შემდეგ გიდად თბილისის მეგობრობის მუზეუმში, აქვე დაიწყო იტალიური ენის სწავლა, დაამთავრა მოსკოვის უცხო ენების დაუსწრებელი კურსები იტალიური ენის განხრით, მეგობრობდა 9 მაისს თბილისში ჩამომავალ იტალიელ პარტიზანებთან და ქართველების იმ ვიწრო წრესთან, რომელმაც საქართველოში იტალიური ენის სიყვარული და ცოდნა მოიტანა... ასე გახდა იტალიანისტი.

რუსიკო ყოინაშვილი თითქმის ოცდაათი წელია, რაც იტალიური ენითაა დაკავებული, ჩვენს ქვეყანაში ასეთი სტაჟი იტალიურ ენაში სულ ერთ-ორ ადამიანს თუ აქვს, თავისთავად რაოდენობრიობა (30 წელი), ცხადია, არაფერს ნიშნავს, მაგრამ, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია იტალიური ენის ასეთი თავდადებული სიყვარული სწორედ ამ "პირველებისა", რისი გადაცემაც მათ უამრავი მომავალი იტალიანისტისთვის თუ უბრალოდ ენით დაინტერესებულისთვის მოახერხეს.

რუსიკომ თავის იტალიურ სკოლაში - "თავის"-ს ვამბობ იმიტომ, რომ სკოლის დაარსების პირველივე დღიდან (1996 წლიდან) იქ მუშაობს და იტალიურ ენას ასწავლის - უკვე 1997 წელს მან "პინოქიოზე" დაყრდნობით შექმნა იტალიური ენის სახელმძღვანელო "სამი ცისარტყელა" მე-2 და მე-3 კლასელებისთვის, რომლის წინასიტყვაობად გამოტანილი ჯანი როდარის სიტყვები: "განა ღირს, ბავშვმა ტირილით ისწავლოს ის, რისი სწავლაც სიცილით შეუძლია?" წიგნის ხასითზე მიგვანიშნებს და მისი ავტორის არჩევანს ამყარებს.

"სამი ცისარტყელა" 1997 წლიდან კი არსებობს, მაგრამ მხოლოდ 2003 წელს გამოიცა; ბავშვის ფსიქოლოგიის, თამაშისადმი მიდრეკილების გათვალისწინებით, მისი სურვილებისა და მისწრაფებების ოსტატურად გამოყენების საფუძველზეა შექმნილი ეს სახელმძღვანელო, რომელიც ძალიან მიზანდასახულად და ხალისით მიდის უმარტივესი გრამატიკიდან ურთულესისაკენ: ანიდან რთული ქვეწყობილი წინადადებისაკენ. ავტორს უზრუნია იმაზეც, რომ 7-8 წლის ბავშვმა ხატვა-გაფერადებით ისწავლოს წერა-კითხვა, თამაშ-თამაშით გაიმდიდროს ლექსიკა, ეზიაროს იტალიურ ლიტერატურას, იმღეროს კიდეც, იტალიის ისტორიაშიც გაერკვეს და თავისი ქვეყნის ისტორიაზეც შეეძლოს ორი სიტყვა თქვას იტალიურად, თანაც სულ გვერდით ეგულებოდეს თავისი ჭკუის პინოქიო, რომლის თავგადასავლითაც იგი, პრინციპში, სწავლობს იტალიურ ენას!



რუსუდან ყოინაშვილის იტალიური ენის სახელმძღვანელო "სამი ცისარტყელა"

ოღონდ ამ წიგნს სწორედ ავტორისნაირი შემოქმედებითი და მრავალმხრივი მასწავლებელი სჭირდება კლასში, მასწავლებელი, რომელიც სასწავლო წლის ბოლოს სპექტაკლად წარმოადგენინებს ბავშვებს პინოქიოს თავგადასავალს და ამით კიდევ ერთ გზას გაუხსნის მათ - თეატრის გზას! იტალიური ენის გარდა კი, უპირველესად, ამ ენისა და ქვეყნის სიყვარულსა და პატივისცემას ასწავლის ბავშვებს.

7-8 წლის ბავშვებისთვის იტალიური ენის სახელმძღვანელო საქართველოში არ არსებობს, თანაც ისეთი, რომლის იდეაც ორიგინალური იქნება და პირდაპირ არ იქნება გადმომღერებული ევროპულ-ამერიკული სასწავლო წიგნებიდან. ამდენად, ჩემი აზრით, რუსიკო ყოინაშვილის "სამი ცისარტყელა" ასგზის უფრო დასაფასებელია.

იმედი მაქვს, მალე ამ წიგნის კორექტირებულ და პოლიგრაფიულად უფრო მაღალი დონის გამოცემას ვიხილავთ, რომ ბავშვები უკეთ გაერთონ და ისე გაიგონ, რა მოხდებოდა, რომ არ ყოფილიყვნენ ხმოვნები და თანხმოვნები, რომ პატარა და დიდი ასოების გაფერადებით შეუძლიათ თავადვე გააცოცხლონ არლეკინო თუ საყვარელი ცხოველები, რომ ყველა ასოს თავისი ფერი და სიმღერა აქვს და მთელი ანბანი კი ერთი ლამაზი ჰიმნი და სამი ცისარტყელაა, რომ ჯანი როდარისა და სხვა იტალიელი ავტორების პატარ-პატარა ლექსების დახმარებით შეუძლიათ სამუდამოდ ჩაიბეჭდონ გონებაში იტალიური ენის გრამატიკის წესები, რომ აღარაფერი ვთქვათ პინოქიოს განუყრელ მეგობრად გადაქცევისა და ხშირ შემთხვევაში თვით პინოქიოობის გამოცდილებაზე...

და თუ რა მოხდებოდა, რუსიკო მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდათ, ვფიქრობ, ეს ბავშვებს ყველაზე კარგად ესმით. ამის დასტური კი ის დიდი სიყვარულია, რომელსაც ბავშვები ყოველდღიურად ავლენენ რუსიკო მასწავლებლის მიმართ, და ის დიდი ინტერესიც, რომელითაც ისინი იტალიური ენისადმი არიან განმსჭვალულნი, "სამი ცისარტყელისა" და რუსიკო მასწავლებლის წყალობით.

3	ქ. ქარელი	112	7.628	12 994	1.455.328	191	40.466	36.851 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით			
	სულ:	270	17.819		5.696.600		263.538	36.851	255.000		85.112
					ხაშურის რაიონი						
1	ქ. ხაშური	22	1.380	12 994	285.868	207	45.632	95.012 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით			
2	სოფელი სურამი	106	6.541	12 994	1.377.364	210					
3	ქ.ხაშური (ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებელი)	50	3.300	18 820	941.000	285					
	სულ:	178	11.221		2.604.232		45.632	95.012			

	სულ:	1602	102.611		39.138.185		1.331.870	850.916	2.049.000	1.046.599

ქვემო ქართლი

№	გაშენების ადგილმდებარეობა	სახლების (ბინების) რაოდენობა	საერთო ფართობი (კვ. მეტრი)	ერთი სახლის მშენებლობის (ბინების შემთხვევაში- რემონტის) ხარჯები (ლარებში)	სულ ხარჯი (ლარებში)	1 კვ. მეტრის ფასი (ლარებში)	გარე ელ.მომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გაზმომარაგების ქსელის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე კანალიზაციის სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	შიდა გზების მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
					თეთრიწყაროს რაიონი						
1	კოდა (ყოფილი სამხედრო ნაწილი)	447	30.024	13 904	6.215.100	207	143.808	369.000 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	17.000	296.515	
					მარნეულის რაიონი						
1	შაუმიანი	212	11.000	14 026,95	2.973.714	270	148.249	186.858 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	199.671	170.380	201.635 (გზის რეაბილიტაცია და დროებითი ხიდის მშენებლობა)
2	ხიხანი	70	1.050	3 575	250.308	238	55.151	სავარაუდოდ 190.788 სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს	62.705	საპირფარეშოები ეზოში	119.366 (გზის რეაბილიტაცია)
	სულ:	282	12.050		3.224.022		203.400	377.646	262.376	170.380	321.001
					გარდაბანის რაიონი						
1	ქ.გარდაბანი (აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე კორპუსებში)	125	4.707	11 780	1.472.500	313		38.253 ინდივიდუალური გამრიცხველიანებით	17.221	58.491 (არსებულის გზის შეკეთება და მოასფალტება)	
					ბოლნისის რაიონი						
1	ქვემო ბოლნისი (ყოფილი ბაგა-ბაღი)	20	1.290	14 000	280.000	251		სავარაუდოდ 15.000 სამუშაოები ამჟამად მიმდინარეობს			
2	ფოლადაური	18	1.161	2 500	45.000	38		გათბობა შეშაზე	12.400	19.000	
	სულ:	38	2.451		325.000			15.000	12.400	19.000	
	სულ:	892	49.232		11.236.622		347.208	799.899	794.892	379.492	

საერთო ხარჯი (ლარებში)	სახლების (ბინების) რაოდენობა	საერთო ფართობი (კვ. მეტრი)	ერთ სახლზე გაწეული საშუალო ხარჯი (ლარებში)	სულ ხარჯი (ლარებში)	1 კვ. მეტრის ფასი (ლარებში)	გარე ელ.მომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გაზმომარაგების ქსელის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე წყალმომარაგების სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	გარე კანალიზაციის სისტემის მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	შიდა გზების მოწყობაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)
160.562.607	5.463	346.249		130.622.379		4.324.234	4.906.011	11.803.892	8.906.091	
	აშენდა სახლი (კოტეჯი) 3.963	255.612	27.933	110.698.625	433					
	გარემონტდა ბინა 1500	90.637	13.283	19.923.754	219					

სკოლების, ბაგა-ბაღებისა და დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობა

სოფელი ფრეზეთის საშუალო სკოლა	300 მოსწავლეზე	კაპიტალურ რემონტზე გაწეული ხარჯი 196.052 ლარი	გარე კანალიზაციის სისტემის მოწყობის ხარჯი 1.377 ლარი

წეროვნის საბავშვო ბაგა-ბაღი	1000 ბავშვზე		გასაწევი (დაგეგმილი) ხარჯი 2.400.000 ლარი		

წეროვნის გამგეობის ადმინისტრაციული შენობა	გასაწევი დაგეგმილი ხარჯი 500.000 ლარი	

სოფელ ხიხანში დასახლებულ პუნქტებში შესრულებელი კეთილმოწყობის სამუშაოები	სპორტული მოედანი 78.600 ლარი (დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან)	საბავშვო ატრაქციონი 13.553 ლარი (დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

ქგარდაბანში დასახლებულ პუნქტებში შესრულებელი კეთილმოწყობის სამუშაოები	სპორტული მოედანი 76.500 ლარი (დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან)	მოსასვენებელი პარკი (სკვერი) 23.311 ლარი (დაფინანსდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

№	გაშენების ადგილმდებარეობა	გათბობის საშუალებებზე გაწეული ხარჯი	ერთჯერადი დახმარების პაკეტი
1	2	3	4
		მცხეთა - თიანეთი	
1	მცხეთის რაიონი	1.131.568 ლარი	5.385.000 ლარი
		შიდა ქართლი	
1	კასპის რაიონი	12.282	166.875
2	გორის რაიონი	419.610	1.996.875
3	ქარელის რაიონი	65.932	506.250
4	ხაშურის რაიონი	70.132	1.177.750
	სულ:	567.956 ლარი	3.847.750 ლარი
		ქვემო ქართლი	
1	თეთრიწყაროს რაიონი	176.118	838.125
2	მარნეულის რაიონი	111.109	528.750
3	გარდაბანის რაიონი	49.250	234.375
4	ბოლნისის რაიონი	10.364	71.250
	სულ:	346.841 ლარი	1.672.500 ლარი
	სულ:	2.046.365 ლარი	10.905.250 ლარი

შენიშვნა: სულ შესყიდულია (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ) 1100 ცალი ბუნებრივი აირის გამათბობელი 480 ლარად და 4000 ცალი 370 ლარად; საშუალო ღირებულებაა 394 ლარი. შეშის ღუმელები შესყიდულია 138 ლარად. ერთჯერადი დახმარების პაკეტის (საყოფაცხოვრებო და სამეურნეო საქონელი, კვების პროდუქტები) ღირებულებაა 1875 ლარი (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მონაცემებით).

ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა

სულ (მონაცემები ზუსტდება)	1 ოჯახზე გასაცემი თანხის ოდენობა	სულ კომპენსაციის სახით გასაწევი ხარჯი
1578	10,000 აშშ დოლარი	26.194.800 ლარი

***შენიშვნა:** პროგრამა ვრცელდება იმ იძულებით გადაადგილებულ პირებზე, რომელთაც ნებაყოფლობით გამოთქვეს სურვილი კომპენსაციის სახით თანხის მიღებაზე.

ინფორმაცია შესყიდული სახლების შესახებ

№	რაიონი	სულ	1 სახლის საშუალო ხარჯი (დოლარში)	გახარჯული თანხა	დარიგდა (შესახლდა)	დარჩენილია
1	გორი	145	14,033	2,034,800 აშშ დოლარი	135	10
2	ქარელი	61	6,302	384,400 აშშ დოლარი	19	42
3	ხაშური	37	11,478	424,700 აშშ დოლარი	20	17
4	კასპი	19	7,989	151,800 აშშ დოლარი	3	16
5	კახეთი	81	8,003	648,250 აშშ დოლარი		81
5.1	საგარეჯო	3	7,167	21,500 აშშ დოლარი		3
5.2	სიღნაღი	2	8,000	16,000 აშშ დოლარი		2
5.3	გურჯაანი	5	5,400	27,000 აშშ დოლარი		5
5.4	თელავი	9	12,111	109,000 აშშ დოლარი		9
5.5	ლაგოდეხი	50	7,405	370,250 აშშ დოლარი		50
5.6	ყვარელი	5	9,400	47,000 აშშ დოლარი		5
5.7	ახმეტა	7	8,214	57,500 აშშ დოლარი		7
6	თეთრიწყარო	29	7,415	215,000 აშშ დოლარი		29
7	დუშეთი	3	8,000	24,000 აშშ დოლარი		3
8	რუსთავი	27	14,944	403,500 აშშ დოლარი	27	
9	სამეგრელო	50	10,658	532,900 აშშ დოლარი		50
9.1	ჩხოროწყუ	10	8,550	85,500 აშშ დოლარი		10
9.2	მარტვილი	5	10,400	52,000 აშშ დოლარი		5
9.3	აბაშა	10	10,350	103,500 აშშ დოლარი		10
9.4	სენაკი	7	13,071	91,500 აშშ დოლარი		7
9.5	წალენჯიხა	7	12,000	84,000 აშშ დოლარი		7
9.6	ხობი	1		9,500 აშშ დოლარი		1
9.7	ზუგდიდი	10	10,690	106,900 აშშ დოლარი		10
10	თბილისი	1		30,000 აშშ დოლარი	1 (2 ოჯახი)	
	სულ:	453		4,988,850 აშშ დოლარი 8.281.491 ლარი	205	248*

შენიშვნა: დარჩენილი სახლები (ბინები) გადაეცა მუნიციპალიტეტებს, რომლებიც სახლებს (ბინებს) გაანაწილებენ კოორდინირებულად - ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროსთან ერთად.

ინფორმაცია გორის, ქარელის, ხაშურის რაიონებში აგრესიის შედეგად დაზარალებულ ოჯახთა დახმარების მიზნით გაწეული სამუშაოებისა და ხარჯების შესახებ

	დაზარალებულ ოჯახთა რაოდენობა	რეაბილიტირებულ სახლთა (ბინათა) რაოდენობა	1 სახლის (ბინის) რეაბილიტაციაზე გაწეული საშუალო ხარჯი (ლარებში)	სულ რეაბილიტაციაზე გაწეული ხარჯები (ლარებში)	1 ოჯახზე გაცემული კომპენსაციის ოდენობა	კომპენსაცია გაიცა (ოჯახთა რაოდენობა)	სულ კომპენსაციის თანხამ შეადგინა (ლარებში)	მინები შეეცვალა (ოჯახთა რაოდენობა)	შეცვლილი მინების მოცულობა (კვმ.)	შეცვლილი მინების საერთო ღირებულება (ლარებში)
დაზიანებული ბინა (მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში-კორპუსში)	1.548	1.548	2.819	4.365.308	0	0	0	1.548	№№	94.688
დამწვარი ბინა (მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში-კორპუსში)	196	196	8.600	1.685.600	150 ლარი	110	16.500	196	№№	18.840
დაზიანებული (დამოუკიდებელი) საცხოვრებელი სახლი	7.595	7.595	1.561	11.855.230	0	0	0	7.050	№№	669.871
დანგრეული (დამწვარი) საცხოვრებელი სახლი	418	3	148.833	446.499	15.000 აშშ დოლარი	415	10.333.500	0	0	0
სულ:	9.757	9.342	1.964	18.352.637		525	10.350.000	8.794	№№	783.399

ინფორმაცია
პოლიციის დამატებით შექმნილი სტრუქტურული დანაყოფების ოფისებზე ჩატარებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესახებ

№	დანაყოფის ადგილმდებარეობა	საერთო ფართობი (კვ/მ)	დანახარჯი (ლარებში)
1	3	4	5
		მცხეთის რაიონი	
1	წეროვანი (მშენებლობა)	220.00	330.000
		გორის რაიონი	
1	ხურვალეთი (რემონტი)	560.00	243.373
2	მეჯვრისხევი (რემონტი)	422.72	155.637
3	ხიდისთავი (რემონტი)	374.00	148.000
4	ძვეში (რემონტი)	275.60	108.245
5	ტყვიავი (რემონტი)	422.72	172.849
6	მერეთი (რემონტი)	439.42	172.025
7	დიცი (რემონტი)	422.72	157.285
8	ნიძოზი (რემონტი)	182.45	123.552
	სულ:		1.280.966
		ქარელის რაიონი	
1	დვანი (რემონტი)	200.00	117.370
2	კნოვლევი (რემონტი)	197.88	65.044
3	ატოცი (რემონტი)	288.00	35.569
	სულ:		217.983
		ხაშურის რაიონი	
1	წაღვლი (რემონტი)	137.80	114.147
		კასპის რაიონი	
1	საკორინთლო (ასაწყობი კომპლექსი)	70.00	43.000
სულ მთლიანად:			1.986.096

სპორტი

კალაძე და "მილანი" სკუდეტოსთვის ბრძოლას აგრძელებენ

"მილანმა" 2008 წელი "უდინეზეს" კარში გატანილი 5 გოლით დაასრულა. ტურინის "იუვენტუსთან" და "ვოლფსბურგთან" გამართული არადამაჯერებელი მატჩების შემდეგ "მილანს" წლის ბოლო შეხვედრაში გამარჯვება ჰაერივით სჭირდებოდა და ანჩელოტის გუნდმა ეს შეძლო კიდეც.

იტალიური გრანდის ქართველმა ლეგიონერმა კახა კალაძემ საკუთარი ვებგვერდის ჟურნალისტთან ინტერვიუში "უდინეზეს" დამარცხებაზე და მოომვალ გეგმებზე ისაუბრა.

კალაძე სკუდეტოსა და უეფას თასის მოგებას შეეცდება

- კალა, თქვენ ამბობდით, რომ ვითარება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს და ასეც მოხდა...

- ორი წარუმატებელი მატჩის შემდეგ ცხადია ჩვენ უკვე წაფორხილების უფლება აღარ გვქონდა. თან გაითვალისწინეთ, რომ ჩვენ სერიოზული დანაკლისი გვაქვს, გატუზოს, ფლამინის და ემერსონის არყოფნა გუნდს აშკარად დაეტყო. თუმცა ცხადია ფეხბურთელების ტრავმები კარგი გამართლება არაა წარუმატებელი მატჩების შემდეგ. იმედია ჩვეულ ფორმაში ჩავდგებით და თავადაც ხედავთ, რომ ბოლო მატჩში ასეც მოხდა.

- 2008 წელი მეტოქის კარში გატანილი ხუთი გოლით დასრულეთ. ალბათ ახლა დასასვენებლადაც უფრო დიდი სიამოვნებით წახვალთ?

- მშვენიერია, როცა გუნდი დიდი ანგარიშით იგებს. ამას ელიან ჩვენგან ტიფოზები და მიხარია, რომ მათი გული მოვიგეთ. "უდინეზესთან" შეხვედრაში კაკამ და პატომ ბრწყინვალედ ითამაშეს, აგრეთვე მინდა ავღნიშნო იანკულოვსკი, რომელმაც ნახევარდაცვაში უდიდესი სამუშაო გასწია.

- ამ გამარჯვების შემდეგ სატურნირო ცხრილს როგორ შეაფასებდით?

- წმინდა სატურნირო თვალსაზრისით ამ მოგებით ჩვენთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. "ინტერს" კვალვ ცხრა ქულით ჩამოვრჩებით. ეს ცხადია ცოტა არ არის, თუმცა ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი დროა და ამ ჰანდიკაპის აღმოფხვრა შესაძლებელია. მინდა ვუთხრა ჩვენს გულშემატკივარს, რომ ჯერ არაფერია დაკარგული და სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ.

- უეფას თასზე რაღას გვეტყვით?

- ბრემენის "ვერდერი" ცხადია იოლი მეტოქე არ გახლავთ. ჯგუფური ეტაპის ბარიერის, რომ გადავლახავდით ამაში ეჭვიც არ მეპარებოდა, ახლა კი ფლეიოფის სტადიაა, "ვერდერთან" რთული მატჩები გველის, თუმცა მჯერა, რომ შემდეგ ეტაპზე გავალთ და უეფას თასის მოგების რეალური შანსიც გაგვაჩნია.

კოკაიმ სეზონი მეოთხე მაეგაშირას რანგში დაასრულა

ტოჩინოშინმა ელიტაში ადგილი დაიმკვიდრა

გუშინ სუმოს ასოციაციამ გამოაქვეყნა დეკემბრის ბანძუკე (სუმოისტთა რეიტინგი), რომელშიც ლევან ცაგურია (კოკაი) მეოთხე მაეგაშირას რანგშია, ხოლო ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი) მეთერთმეტე მაეგაშირასი.

ფაქტობრივად დეკემბრის ბანძუკეს გამორქვეყნებით დასრულდა 2008 წლის სუმოს სეზონი, რომელიც ქართველი სპორტსმენებისთვის მეტნაკლებად წარმატებული გამოდგა. უმთავრესი მაინც ისაა, რომ სწორედ ამ წელს შედა ლევან გორგაძის დებიუტი ელიტარულ მაკუჩი დივიზიონში და ამიერიდან სუმოს ყველაზე პრესტიჟულ ტურნირებში ორი ქართველი იასპარეზებს.

მართალია ტოჩინოშინმა სეზონის ბოლო ბაშო აშკარად ჩააგდო და 2008 წელს მხოლოდ მეთერთმეტე მაეგაშირას რანგში ასრულებს, მაგრამ ახალგაზრდა ქართველი ათლეტისთვის სეზონი მაინც წარმატებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მაკუჩი დივიზიონში აღზევების შემდეგ ტოჩინოშინი დამაჯერებლად გამოდის და როგორც ჩანს ელიტაში ადგილიც დაიმკვიდრა. კოკაისთვის სეზონი არათანაბარი გამოდგა. ლევან ცაგურიამ მხოლოდ ბოლო ნომერის ბაშოზე წარმატებული გამოსვლის წყალობით შეძლო რეიტინგში დაწინაურება. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში კოკაის საკმაოდ მძიმე პერიოდიც ედგა, ერთხანს იგი მეთექვსმეტე მაეგაშირობამდეც დაქვეითდა.

დეკემბრის ბანძუკე კიდევ ერთი რამით არის გამორჩეული, საქმე ისაა, რომ 2003 წლის იანვრის შემდეგ ელიტარულ დივიზიონში ორი იოკოძუნა და ხუთი ოძეკი არ ყოფილა.

აღმოსავლეთი		**დასავლეთი**
ჰაკუჰო	იოკოძუნა	ასაშორიუ
კოტომისუკი	ოძეკი	ჩიოტაიკაი
კოტოშუ	ოძეკი	კაიო
ჰარუმაფუჯი	ოძეკი	-
ბარუტო	სეკივაკე	ამინაშიკი
კისენოსატო	კომოსუბი	ტოინოშიმა
კოტოშოგიკუ	1 მაეგაშირა	კუკუტენო
მიაბიამა	მე-2 მაეგაშირა	იოშიკაზე
ტაკეკაზე	მე-3 მაეგაშირა	გოიდო
ვაკანოსატო	მე-4 მაეგაშირა	**კოკაი**
ფუტენო	მე-5 მაეგაშირა	ტაკამისაკირი
ბუშიამა	მე-6 მაეგაშირა	არანი
ჰოკუტორიკი	მე-7 მაეგაშირა	ჯემა
ასასეკიურ	მე-8 მაეგაშირა	კაკურუ
ტასანოუმი	მე-9 მაეგაშირა	ჩიოჰაკუჰო
ტოკიტენკუ	მე-10 მაეგაშირა	ტოჩინონადა
ივაკიამა	მე-11 მაეგაშირა	**ტოჩინოშინი**
ტოჩიოზანი	მე-12 მაეგაშირა	კაკიზოე
ტამავავაში	მე-13 მაეგაშირა	კორუ
ტოიჰიბიკი	მე-14 მაეგაშირა	მაცასუკასა
ტამანოშიმა	მე-15 მაეგაშირა	იმამოტოიამა
ჰომაშო	მე-16 მაეგაშირა	-

პროფესიონალი მოკრივეები 2009 წლის თებერვლამდე დაისვენებენ

საქართველოს პროფესიონალური კრივის ფედერაციის გადაწყვეტილებით, საშობაო და საახალწლო დღესასწაულების გამო, საქართველოში გასამართ სარეიტინგო ორთაბრძოლებში, 2009 წლის თებერვლამდე შესვენება გამოცხადდა.

ამის შესახებ საქართველოს პროფესიონალური კრივის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კიკნაველიძემ განაცხადა.

"საქართველოს პროფესიონალ მოკრივეთა სარეიტინგო ორთაბრძოლები 2009 წლის თებერვალში, თვის პირველ ხუთშაბათს განახლდება. მომდევნო ორთაბრძოლებიც, თვეში ერთხელ, ყოველი თვის პირველ ხუთშაბათს ჩატარდება",- დასძინა კიკნაველიძემ.

"მეთოფეები" სამ თვეს ჩესკის გარეშე ითამაშებენ

ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ჩესკ ფაბრეგასი, მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო, აპრილამდე ვერ ითამაშებს.

ლონდონელთა მთავარი მწვრთნელის არსენ ვენგერის განცხადებით, ფეხბურთელს მუხლის მყესები ნაწილობრივ აქვს გაწყვეტილი.

ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, 24 თებერვალსა და 11 მარტს იტალიის "რომასთან" გასამართ მატჩებში, ფაბრეგასი "არსენალს" ვერ დაეხმარება. აღსანიშნავია, რომ ამ ორ მატჩს სავარაუდოდ რომაელთა კაპიტანი ტოტიც გამოტოვებს.

სანჩესი ესპანეთში დაბრუნდა

წარსულში მექსიკის ეროვნული ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" მეგოლე უგო სანჩესმა, მიმდინარე სეზონის ბოლომდე ესპანეთის პრიმერადივიზიონის "ალმერია" ჩაიბარა. გუნდის ყოფილი მწვრთნელის გონსალო არკონადას გათავისუფლებიდან 24 საათის შემდეგ, "ალმერიას" ხელმძღვანელებმა მის შემცვლელთან კონტრაქტი "6 თვე პლუს ერთი წელი" სისტემით გააფორმეს. გუნდის პრეზიდენტმა მწვრთნელს გუნდის გასაძლიერებლად "კარტბლანში" მისცა, რათა სანჩესმა "ალმერია" კლუბის შესაძლებლობის ფარგლებში გააძლიეროს.

ოუენს იტალიაში იწვევენ

იტალიური მასმედიის ცნობით, "ჯენოას" ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და "ნიუკასლის" თავდამსხმელის მაიკლ ოუენის შეძენა უნდა. 2001 წლის "ოქროს ბურთის" მფლობელს, კლუბთან მოქმედი კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება და ჯერ ახალი ხელშეკრულება არ გაუფორმებია.

აქედან გამომდინარე, არაა გამორიცხული, რომ მან "ნიუკასლი" ზაფხულამდე დატოვოს. თავის მხრივ, "ჯენოას" შეტევითი პოტენციალის გაზრდა და ინგლისელი თავდამსხმელის სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირ, არგენტინელ გაბრიელ მილიტოსთან შეწყვილება სურს, რომელმაც მიმდინარე სეზონში 12 გოლი გაიტანა.

"ქალაქელები" მარკოს სენას იწვევენ

"მანჩესტერ სიტის" ესპანეთის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და "ვილიარეალის" ცენტრალური ნახევარმცველის მარკუს სენას შეძენა უნდა.

მანჩესტერელებმა ნატურალიზებულ ბრაზილიელს თვალი მას შემდეგ დაადგეს, რაც "პორტსმუთიდან" ფრანგი შუახაზელის ლასანა დიარას გადაბირება ვერ შეძლეს, რომელიც კარიერას მადრიდის ძრეალში" გააგრძელებს.

დე მულს "სევილიადან" წასვლა სურს

ესპანეთის "სევილიას" ფორვარდმა ტომ დე მულმა, იანვარში გუნდიდან წასვლის სურვილი გამოთქვა.

"ქალაქიც მომწონს და კლუბიც, მაგრამ ცვლილებები აუცილებელია. 22 წლის ვარ და მომავალი პროგრესისთვის დროა რეგულარულად ვითამაშო" - განაცხადა დე მულმა.

"სევილიამ" ბელგიელი ფორვარდი 2007 წელს ამსტერდამის "აიაქსიდან" შეიძინა, მაგრამ ესპანურ კლუბში ყოფნის პერიოდში, დე მულმა პრიმერადივიზიონში მხოლოდ 6 შეხვედრაა ჩაატარა და ერთი გოლი გაიტანა.

ადამსი უილსონს არ უშვებს

ინგლისის "პორტსმუთის" მთავარი მწვრთნელის ტონი ადამსის თქმით, კლუბი ნახევარმცველ მარკ უილსონის იჯარით გაშვებას არ აპირებს.

"უილსონმა პირველი გუნდის დონეს უკვე მიაღწია და ამიტომ, მისი იჯარით გაშვება არ შეიძლება" - აღნიშნა ადამსმა.

სავარაუდოდ, ფეხბურთელს მოკლევადიანი ხელშეკრულების გაფორმება ინგლისის ჩემპიონლიგის კლუბ "უოტფორდთან" სურდა.

"უიგენი" ფიგეროათი გაძლიერდა

"უიგანმა", ჰონდურასის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების 25 წლის მცველის, მეირონ ფიგეროას ტრანსფერი "დეპორტივო ოლიმპიადან" გამოისყიდა. ფიგეროა ინგლისში მიმდინარე წლის იანვარში გადავიდა და გუნდში მას შემდეგ ჩაირიცხა, რაც უიგანელთა მთავარ მწვრთნელ სტივ ბრიუსს სინჯებზე თავი მოაწონა, თუმცა, აქამდე იგი ახალ კლუბში იჯარით თამაშობდა. ჰონდურასელის ტრანსფერის სანაცვლოდ გადახდილი თანხის რაოდენობა არ ხმაურდება. "პრემიერლიგაში თამაშზე ყოველთვის ვოცნებობდი და მადლობელი ვარ "უიგანის", რომელმაც ასეთი შანსი მომცა. იმ 12 თვის განმავლობაში, რაც აქ ვარ, მუდმივად ვპროგრესირებ და იმედია, მომავალშიც ასე გავაგრძელებ. ჩემდამი რწმენის გამო, მსურს სტივ ბრიუსს მადლობა გადავუხადო და როგორც მას, ასევე კლუბს, გაწეული ღვაწლი კარგი თამაშით დავუფასო" - განაცხადა 25 წლის ჰონდურასელმა.

"ბარსელონა" ზამთავრში არავის დაიმატებს

"ბარსელონას" ტექნიკურმა დირექტორმა, განაცხადა, რომ კლუბი ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დროს ფეხბურთელებს არ დაიმატებს: "ზამთარში ჩვენ არავის შეძენას არ ვაპირებთ, რადგან სრულად ვართ კმაყოფილნი იმ შემადგენლობით, რომელიც ჩვენს ხელთ არის". აღნიშნული განცხადება ჩიკი ბეგირისტაინმა "ვილიარეალთან" გამართული შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

"ლივერპულს" ტორესი და ბენიტესი უბრუნდებიან

ინგლისური "ლივერპულის" მწვრთნელის სემი ლის განცხადებით, კლუბის ფორვარდი ფერნანდო ტორესი და მთავარი მწვრთნელი რაფაელ ბენიტესი მერსისაიდელებს მომავალ პარასკევს პრემიერლიგის მე-19 ტურის მატჩისთვის დაუბრუნდებიან. ტორესმა ტრავმა საბოლოოდ მოიშუშა, ბენიტესს კი თირკმელიდან ქვები ამოუღეს და ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს. "ბენიტესის მდგომარეობა გაუმჯობესდა. მან მტკივნეული ოპერაცია გადაიტანა და კვლავაც ექიმთა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. დიდი იმედი მაქვს, რომ მომავალ შეხვედრაში გუნდს უკვე რაფა უხელმძღვანელებს. რაც შეეხება ტორესს, იგი მწყობრში გახლავთ, მაგრამ პარასკევს ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს თუ არა, ძნელი სათქმელია".

ტოშაკს კონტრაქტს გაუგრძელებნ

უელსის საფეხბურთო ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი მუშაობას, სავარაუდოდ, 2012 წლამდე გააგრძელებს. ტოშაკს ბრიტანელებთან კონტრაქტი მომავალ წელს ეწურებოდა, თუმცა, უელსის ფეხბურთის ფედერაციამ მასთან ხელშეკრულების გაგრძელება გადაწყვიტა და სასურველ პასუხს უახლოეს დღეებში ელის.

ესპანეთი ინგლისს სევილიაში უმასპინძლებს

ესპანეთისა და ინგლისის საფეხბურთო ნაკრებთა ამხანაგური მატჩი, რომელიც ჩაშლის პირას იყო, 2009 წლის 11 თებერვალს სევილიაში შედგება. თავდაპირველი ვერსიით, ეს შეხვედრა მადრიდის "სანტიაგო ბერნაბეუზე" უნდა გამართულიყო, თუმცა, მას შემდეგ რაც ინგლისელებმა მადრიდელი პუბლიკა რასისტული შეძახილების სიყვარულში დაადანაშაულეს, თამაშის ჩატარება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. საბოლოოდ, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის სევილიაში გადატანა გადაწყვიტა.

ერთობლივი განაცხადი

ესპანეთი და პორტუგალია მსოფლიოს 2018 წლის ჩემპიონატის მიღებაზე ერთობლივი განაცხადის შეტანას აპირებენ. პირენეის ნახევარკუძულის ქვეყნებმა საკუთარი სურვილი მყისიერად გააცხადეს, როგორც კი ფიფა-მ განაცხადების მიღების შესახებ განცხადება გააკეთა. მოსალოდნელია, რომ ესპანეთ-პორტუგალიას მალე ჰოლანდია და ბელგიაც მიბაძავენ, მათ გარდა კი 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი ავსტრალიას, ჩინეთს, მექსიკასა და რუსეთს გააჩნიათ. 2010 წლის მუნდიალი სამხრეთ აფრიკაში გაიმართება, 2014 წელს კი მსოფლიოს ჩემპიონის ვინაობა ბრაზილიაში გაირკვევა.

ბეჰრამის რიგი დაუდგა

შვეიცარიის საფეხბურთო ნაკრებისა და ლონდონის "ვესტ ჰემის" 23 წლის მცველი ვალონ ბეჰრამი, რომელსაც ტურინის "იუვენტუსი" უტრიალებდა, იტალიური "რომასა" და მადრიდის "რეალის" ინტერესის სფეროშიც მოექცა. თავად ბეჰრამი უპირატესობას რომაულ კლუბს ანიჭებს, რომელთანაც სიტყვიერი შეთანხმებას უკვე მიაღწია. თუმცა, შესაძლოა ტრანსფერი არც განხორციელდეს, თუკი "ვესტ ჰემის" იტალიელი თავკაცი ჯანფრანკო ძოლა შვეიცარიელის გაშვებას არ დასთანხმდება. "ჩელსი" და "იუვენტუსი", რომლებიც ბეჰრამის გადასაბირებლად იბრძვიან, ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ერთმანეთის მეტოქეები არიან.

იტალიელები სუპერთასს პეკინში გაითამაშებენ

იტალიის სუპერთასის მომდევნო მატჩი 2009 წლის 8 აგვისტოს, პეკინში სტადიონ ძჩიტის ბუდეზე" გაიმართება, რომელიც 2008 წლის ოლიმპიური თამაშების მთავარი არენა იყო. იტალიის სუპერთასის ისტორიაში ეს მეოთხე შემთხვევაა, როდესაც სერია A-ს გამარჯვებული და ქვეყნის თასის მფლობელი ჯილდოს აპენინებს ფარგლებს გარეთ შეეცილებიან. 1993 წელს "მილანი" ქვეყნის სუპერთასს ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში დაეუფლა, ხოლო 2002 და 2003 წლებში ტურინის "იუვენტუსმა" ტიტული ლიბიის მთავარ ქალაქ ტრიპოლიში მოიგო. გასულ სეზონში, სუპერთასი მილანის "ინტერს" დარჩა. 2009 წელს სერია A სტარტს 22-23 აგვისტოს აიღებს და 2010 წლის 16 მაისს დასრულდება.

ასათიანი "ლოკომოტივში" დაბრუნებას გამორიცხავს

"ასკას" "დინამოში" სურს დარჩენა

საქართველოს ნაკრების მცველის მალხაზ ასათიანი ბედი ზამთრის სატრანსფერო პერიოდში უნდა გაირკვეს. საფეხბურთო კლუბ მოსკოვის "ლოკომოტივის" პრეზიდენტ ნიკოლაი ნაუმოვის განცხადებით, კლუბმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა კიევის "დინამოს", სადაც აცნობა, რომ მალხაზ ასათიანის თაობაზე ოფიციალურ შეთავაზებას ელის. აღსანიშნავია, რომ რკინიგზელები "ასკას" სანაცვლოდ მხოლოდ სიმბოლურ თანხას ითხოვენ, ნაუმოვის თქმით ასათიანმა საკმაოდ ბევრი გააკეთა "ლოკომოტივისთვის" და კლუბი მის ტრანსფერს ხელს არ შეუშლის. ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველი ფეხბურთელი რუსეთში ამჟამად საკმაოდ პოპულარულია. გაზეთ "სოვეტსკი სპორტის" კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა "ასკას" და პატარა ინტერვიუც შედგა.

- ახლა ალბათ ისვენებთ. თუ საიდუმლო არ არის, შვებულებას როგორ ატარებთ?

- უბრალოდ ვისვენებ, არაფერს ვაკეთებ.

- ალბათ დამქანცველი სეზონის შემდეგ თავს ქართული სამზარეულოთი და ღვინითსიამოვნების უფლება მიეცით...

- შვებბულებაში ვარ და ახლა თავს ყველაფრის უფლებას ვაძლევ. სეზონის განმავლობაში ისედეც ბევრ სიამოვნებაზე გვიწევს უარის თქმა, ახლა კი ყველაფერი შეიძლება.

- არ გეშწინიათ წონაში, რომ მოიმატოთ? სამარას "კრილია სოვეტოვის" მთავარმა მწვრთნელმა ლეონიდ სლუცკიმ თქვა, რომ გასულ ზამთარს დავით მუჯირი შვებულებიდან საგრძნობლად წონაში მომატებული დაბრუნდა.

- მაგაზე ნუ იდარდებთ. დათოსგან განსხვავებით ჭარბი წონისკენ მიდრეკილება არ მაქვს.

- საქართველოში გამგზავრებამდე მოსკოვში იმყოფებოდით?

- მოსკოვში "ლოკომოტივის" პრეზიდენტ ნიკოლაი ნაუმოვს შევხვდი. შევთანხმდით, რომ თუ მოიძებნა გუნდი, რომელიც ჩემს კონტრაქტს გამოისყიდის, მაშინ, მოსკოველები დაბრკოლებას არ შემიქმნიან. აღსანიშნავია, რომ კლუბთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით მაკავშირებს.

- უნდა ვივარაუდოთ, რომ კიევის "დინამოს" მთავარ მწვრნელ იური სიმომინს თქვენი გუნდში ხილვა ზამთრის შესვენების შემდეგაც სურთ. თავად თუ გინდათ უკრაინაში კარიერის გაგრძელება?

- რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგაში თურქეთის "ფენერბაჰჩესთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ, აღნიშნულ თემაზე იური სიომინს ვესაუბრე. ჩემთვის კიევში დარჩენა მისაღებია, რადგან გუნდში მენდობიან და თამაშის საშუალებას მაძლევენ. იმედი მაქვს, რომ კლუბები შეთანხმდებიან.

- თუ უკრაინელებმა თქვენი ტრანსფერის გამოსყიდვა არ ისურვეს?

- მაშინ სხვა რა გზა მაქვს, ახალი გუნდის მოძებნა მომიწევს. თუ არანაირი ვარიანტი არ გამომიჩნდა, ამ შემთხვევაში "ლოკომოტივში" დავრჩები. თუმცა, კლუბის პრეზიდენტმა რაშიდ რახიმოვის სიტყვები გადმომცა და ირკვევა, რომ მთავარი მწვრთნელი მოსკოველთა ძირითად შემადგენლობაში ჩემს ადგილს ვერ ხედავს.

- თქვენთვის ეს საწყენია?

- რა უნდ ვქნა? მთავარი მწვრთნელი ის არის და შესაბამისად, გადაწყვეტილებებსაც თავად იღებს.

- შვებულება ათ იანვარს გიმთავრდებათ. ამის შემდეგ სად გაემართებით - ძდინამოში" თუ "ლოკომოტივში"?

- ვერ გეტყვით. "დინამოში" იჯარის ვადა დამიმთავრდა. თუ ახალ ხელშეკრულებას გავაფორმებთ კიევში წავალ, წინააღმდეგ შემთხვევაში - მოსკოვში.

"ატლანტამ" "ოკლაჰომაც" არ დაინდო

ფაჩულია და "ატლანტა" თამაშს თამაშზე იგებენ

NBA-ს რეგულარულ ჩემპიონატში აგრძელებქს წარმატებულ თამაშს ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსი". მართალია ბოლო ხანს "ქორების" მწვრნელი ქართველ კალათბურთელეს არც ისე დიდ დროს აძლევს სათამაშოდ, მაგრამ ზაზა მაინც მუდმივად გადის მოედანზე და მისთვის განკუთვნილ დროშიც მაქსიმალურად ირჯება.

მორიგ მატჩში ზაზა ფაჩულიას "ატლანტა ჰოუქსმა" ლიგის ერთ-ერთ აუტსაიდერ "ოკლაჰომაc" უმასპინძლა და 99:88 დაამარცხა.

მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით სუსტ გუნდს ხვდებოდნენ, ატლანტელებისთვის გამარჯვება იოლად არ მოსულა. ოკლაჰომელები საკმაოდ შემართულნი იყვნენ და ბოლო გადამწყვეტი მეოთხედის წინ მხოლოდ ქულით აგებდნენ, თუმცა უკანასკნელ პერიოდში თავისი სიტყვა თქვა "ქორების" ლიდერმა ჯო ჯონსონმა, რომელმაც საბოლოოდ სამმაგი დუბლი (20 ქულა, 11 მოხსნა, 11 პასი) მიითვალა და თავისიანებს გაამარჯვებინა.

ზაზა ფაჩულია სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო თამაშში და მოედანზე გატარებულ 18 წუთში 8 ქულა, 4 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. ზაზამ 4-დან 3 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო.

უნდა აღინიშნოს, რომ "ოკლაჰომასთან" მატჩში დიდად ვერც ზაზას მთავარმა კონკურენტმა ალ ჰარფორდმა გამოიჩინა თავი. ატლანტელთა ძირითადმა ცენტრმა მოედანზე 32 წუთი დაჰყო და თავის გუნდს 6 ქულითა და 8 მოხსნით დაეხმარა.

"ატლანტას" ახლა 18 მოგება და 10 მარცხი აქვს და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზეა, ხოლო თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ დივიზიონში მეორეა "ორლანდო მეჯიქის" შემდეგ.

ამ მატჩის შემდეგ ჯორჯიელებს ორდღიანი დასვენება ექნებათ ზეგ გამთენიისას კი "ქორები" საკუთარ მოედანზე ჩიკაგეოლ "ხარებს" უმასპინძლებენ. შეგახსენებთ, რომ ამ სეზონში "ატლანტამ" უკვე 14 მატჩი გამართა საკუთარ მოედანზე და აქედან 12 მოიგო. "ხარებს" კი გასვლაზე გამართული 15 შეხვედრიდან 12 აქვთ წაგებული.

აქვე გეტყვით, რომ ვიქტორ სანიკიძისა და გიორგი ცინცაძის ჩინებული თამაშის მიუხედავად, ტარტუს "როკმა" ბალტიის საკალათბურთო ლიგის ლიდერ "ლიეტუვას რიტასთან" გასვლითი მატჩი 82:97 დათმო.ქართველმა კალათბურთელებმა ესტონური კლუბის სასტარტო ხუთეულში ითამაშეს. სანიკიძემ მოედანზე გატარებულ 30 წუთში 16 ქულა, 10 მოხსნა და 1 პასი მოაგროვა და ორივე გუნდის რიგებში ერთადერთი გახლდათ, ვინაც ორმაგი დუბლის შესრულება შეძლო. ვიქტორმა 5-დან 4 ორქულიანი, 3-დან 2 სამქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი სამჯერ დაკარგა და არცერთხელ დაჯარიმებულა. 32 წუთს იასპარეზა ცინცაძემ, რომლის მონაგარიც 12 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 1 ჩაჭრა გახლდათ.გიორგიმ 5-დან 3 ორქულიანი, 4-დან 1 სამქულიანი და 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა. ქართველმა გამთამაშებელმა 7 შეცდომა დაუშვა და 6 პერსონალური ფოლი მიიღო. ტარტუელთა რიგებში ყველაზე მეტი 18 ქულა ამერიმელმა ბერდმა მიითვალა, თუმცა, ლიტვური კლუბის წინაშე მისი გარჯაც ამაო გამოდგა. "ლიეუტუვას რიტო არენაზე" გამართული მატჩს 1350 მაყურებელი დაესწრო. შეხვედრის დასკვნითი მეოთხედის წინ ძროკი" მასპინძლებს 1 ქულით უგებდა, თუმცა, ბოლო ათწუთეულში 19:35 განადგურდა და საბოლოოდ 82:97 დამარცხდა. "როკს" 5 გამარჯვების წილ 7 წაგება მოეძევება და 17 ქულით მე-2 ადგილზე იმყოფება.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, საიდენტიფიკაციო კოდი 211327580, მისამართი: თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ №23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული, სამედიცინო და სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ტენდერს საოფისე და სამედიცინო ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი 1. სამედიცინო აპარატურა;

ლოტი 2. სამედიცინო ავეჯი და ინვენტარი;

ლოტი 3. საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ინვენტარი;

ლოტი 4. კომპიუტერული ტექნიკა;

ლოტი 5. საოფისე ავეჯი და ინვენტარი;

ლოტი 6. საკონფერენციო-სადისკუსიო სისტემა;

ლოტი 7. უსაფრთხოების (ვიდეოკონტროლი) სიტემა;

ლოტი 8. საშფოთა რეგისტრაციის სისტემა;

ლოტი 9. შიდა სატელეფონო სისტემა;

ლოტი 10. ფარდა-ჟალუზები.

შესყიდვის ობიექტის მიწოდების სასურველი ვადაა 2009 წლის იელისი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები დალუქულ პაკეტში ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 2 თებერვალს 10:00 სთ-დან 12:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, სსიპ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

<u>3.1. იურიდიული პირისათვის:</u>

- შესაბამისი ორგანოს დადგენილება რეგისტრაციის შესახებ ან სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერი (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე (მასზე რეგისტრირებული ქონების არსებობის შემთხვევაში) არ არის დადებული ყადაღა (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);
- ცნობა, რომ არ მიმდინარეობს რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

<u>3.2. ფიზიკური პირისათვის:</u>

- ცნობა, შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (არარეზიდენტი პირისათვის ცნობა სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, ლეგალიზებული ფორმა);

<u>3.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:</u>

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები: იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი, საფოსტო ინდექსი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა/E-mail, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- სატენდერო დოკუმენტაციაზე ხელის მოწერისათვის გაცემული მინდობილობა (არარეზიდენტ პირის უნდა ეთქვეს სათანადო უფლებამოსილების მქონე ადგილობრივი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში);
- ინფორმაცია უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ მიწოდებაზე (ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით;

№	შესყიდვის ობიექტის დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების დირებულება
1. 2. .			

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება სატენდერო კომისიას უნდა წარედგინოს ერთად, მაგრამ **სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, თუ პრეტენდენტის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის ან/და ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია.** იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაიგლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გაცნობა შესაძლებელია 2008 წლის 25 დეკემბრიდან 2009 წლის 30 იანვრის ჩათვლით (10:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში, ხაზინა, კოდი 220101222, ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 302003174, ***დამატებითი ინფორმაცია: სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრისათვის გადასახდელი სატენდერო მოსაკრებელი – კოდი 1185.*** 2008 წლის 25 დეკემბრიდან 2009 წლის 30 იანვრის ჩათვლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

8. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი სატენდერო წინადადების დირებულების 1%-ს ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან, სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მარიამ ლორთქიფანიძე და ლევან გელაშვილი, სსიპ – საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი. მისამართი: ქ. თბილისი, 0160, პეკინის ქ. 30, V სართული, ოთახი №500, ტელეფონი: (+995 32) 389551.

სატენდერო კომისია

IVSC INTERNATIONAL VALUATION STANDARDS COMMITTEE

International Bureau 12 Great George Street London SW1P 3AD United Kingdom Tel/Fax: +44 (0)1442 379306 Web: www.ivsc.org

პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო პროგრამა უძრავი ქონების შეფასებაში.

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი („სქშეი“), რომელიც არის შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (IVSC) წევრი საქართველოდან, აცხადებს მსურველთა მიღებას უძრავი ქონების შემფასებელთა პროფესიული მომზადებისა და სერტიფიცირების საერთაშორისო პროგრამაზე.

„სქშეი“-ის შესახებ

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტი დაფუძნდა 1999წელს. 2003 წლიდან ინსტიტუტი არის IVSC-ს წევრი საქართველოდან.

IVSC - შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი არის საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის შემფასებელთა ეროვნულ გაერთიანებას (ინსტიტუტს). IVSC-ს უმთავრესი ამოცანაა სხვადასხვა ქვეყნების ეროვნული სტანდარტების ურთიერთშეთანხმება და შეფასების სტანდარტების ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც მისაღები და ეფექტური იქნება საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი ყველა ქვეყნისათვის.

„სქშეი“ არის IVSC-ს პარტნიორი საქართველოში. **2008წლის 13 ივნისს „სქშეი“-მ შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტიდან მიიღო თანხმობა შეფასების საერთაშორისო სტანდარტების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემისათვის**. 2008 წლის ბოლომდე გათვალისწინებულია თარგმნის დასრულება და სტანდარტების გამოცემა.

შემფასებელთა მომზადება და სერტიფიცირება

მომზადება (სწავლება)

უძრავი ქონების შემფასებელთა მოსამზადებელი პროგრამა შემუშავებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებული ფუნდამენტური კონცეფციებისა და შეფასების ტექნიკის საფუძველზე, და სრულად პასუხობს შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ აღიარებულ მოთხოვნებს შემფასებელთა მოსამზადებელი პროგრამების, პრეტენდენტთა პრაქტიკული გამოცდილებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების შესახებ.

მოსამზადებელი პროგრამა ითვალისწინებს უძრავი ქონების შეფასების საკითხების თეორიულ დაუფლებას და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რაც სერტიფიცირების წარმატებით გავლისა და შემფასებლის სტატუსის მოპოვების საფუძველია.

პროგრამას გაუძღვებიან უძრავი ქონების სფეროს მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი სპეციალისტები და ექსპერტები, რომლებსაც იმავდროულად გააჩნიათ პედაგოგიური საქმიანობის არა ერთი წლის გამოცდილება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მომზადების ეტაპი მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სიტუაციურ ანალიზს და სავარჯიშოებს.

პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უძრავი ქონების სფეროში დასაქმებულ, აუდიტორული საქმიანობის მიმდევარ, საბანკო, სადაზღვევო, სამშენებლო კომპანიების თანამშრომლებს, აგრეთვე ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს სურვილი დაეფლოს შემფასებლის პროფესიას.

მოსამზადებელი (სწავლების) პროგრამის საფასური შეადგენს 850 ლარს გადასახადების ჩათვლით.

სერტიფიცირება:

სერტიფიცირების მიზანია კანდიდატთა კვალიფიკაციის შემოწმება და დადასტურება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სერტიფიკატის გაცემით. სერტიფიცირების პროცესი ხორციელდება საერთაშორისო სტანდარტის (ISO/IEK 17024:2006) მოთხოვნათა შესაბამისად შემუშავებული დებულების საფუძველზე, რომელიც წარედგინა ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტს (IVSC-ს).

სერტიფიცირება წარმოებს ორ ეტაპად და მოიცავს ტესტირებისა (ტესტური გამოცდის ჩაბარების) და პრაქტიკული სამუშაოს შესრულების ეტაპებს.

სერტიფიცირების საფასური შეადგენს 150 ლარს გადასახადების ჩათვლით.

სქშეი-ს პარტნიორები:

საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის მხარდაჭერას ახორციელებენ:

- ქონების შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (IVSC);
- საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო, რომელთანაც გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმი;
- საქართველოს დამოუკიდებელ ბუღალტერთა და აუდიტორთა საზოგადოება (ბას), რომელთანაც ინსტიტუტს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორობის შესახებ;
- გათვალისწინებულია მოლაპარაკებების დაწყება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შემფასებლის სპეციალობის უნივერსიტეტში შემოსაღებად და შესაბამისი სასწავლო პროგრამის შესამუშავებლად.

პროგრამის ხანგრძლივობა:

სწავლება დაიწყება 2009 წლის 01 თებერვალს და გაგრძელდება 3 თვე. ლექციები ჩატარდება კვირაში სამი დღე, ქალაქის ცენტრში (საბურთალოზე), საღამოს საათებში (18:00სთ).

დაინტერესებული პირები პროგრამაში მონაწილეობისათვის 2009 წლის 31 იანვრამდე უნდა დაგვიკავშირდნენ მისამართზე:

თბილისი, დ.გამრეკელის (ყოფილი კუტუზოვის) ქ. N19, მე-5 სართული.
ტელ/ფაქსი: (99532) 37-89-09
მობილური: 858 75-45-73
www.asset-ge.org
www.asset.ge
E-mail: asset.ge@mail.ru
asset.ge@yahoo.com

ოლიმპიური რჩეული ირაკლი ცირეკიძეა

გიგა გურასაშვილი

პეკინის ოლიმპიური თამაშების შემდეგ, ცოტა არ იყოს, რთულია წლის საუკეთესო სპორტსმენის დასახელება თუ გამოვლენა. როგორც არ უნდა იყოს, წესია ასეთი, რჩეულთა შორის რჩეულია დასასახელებელი. გამოკითხვისა და შესაბამისად საუკეთესოს გამოვლენის მეთოდები კი ნაირფერვანია. მათ შორის ვინც საკუთარ რჩეულს აცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტია (სეოკ-ი). გამოვლინდა კიდეც წლის რჩეული. სეოკ-ში საუკეთესოდ ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე მიიჩნიეს. მიიჩნიეს რა, ოლიმპიურმა ჩემპიონებმა საუკეთესო კოლეგად 2008 წლის სედეგების მიხედბით სწორედ ის დაასახელეს.

სეოკ-ის რჩეული ირაკლი ცირეკიძეა

გიგა გურასაშვილის ფოტო

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა... ასე დაუსრულებლად შეგვიძლია მოვყვეთ ზღაპრები, მაგრამ ფაქტია, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონებს "თავისუფალ" რევაზ მინდორაშვილსა და ბერძენ-რომაელ მანუჩარ კვირკველიას ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძე ანაცვალა. ადრეული გამოცდილების გათვალისწინებით, ალბათ, პირველი შემთხვევაა, როდესაც საუკეთესოს გამოვლენა ყველაზე მეტად გაჭიანურდა. იოლი ამბავი არ უნდა იყოს, სამ ოლიმპიურ ჩემპიონს შორის მოწინავე გამოავლინო. მაგრამ რაკი ერთია გამოსარჩევი, სხვათათვის გულდასაწყვეტი არ უნდა იყოს მათ შორის პირველის გამოვლენა.

ჩვენ კიდევ რა გვიშავს, წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელსაც ათეულობით ჩემპიონი ჰყავს.

როგორც არ უნდა იყოს, საქართველოს ოლიმპიურმა კომიტეტმა მუსკომედიის თეატრში საკუთარ რჩეულად პეკინის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ ტრიუმფატორად ირაკლი ცირეკიძე მოგვივლინა.

ნომინანტები სხვა კატეგორიებშიც გამოვლინდნენ. ასე მაგალითად, წლის საუკეთესო მწვრთნელად ბერძენ-რომაელთა დამრიგებელი ბეგი დარჩია მოგვევლინა, რომელიც სხვათა შორის, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) წლეულს მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელადაც სცნო.

ბუნებრივია დასახელდა წლის საუკეთესო გუნდიც. ამ შემთხვევაში უდაო იყო, პირველობას ვერავინ შეეცილებოდა ძიუდოისტთა ნაკრებს, რომელმაც წლეულს მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი მოიგო.

კი, რა თქმა უნდა, არანაკლებს წარმატებას მიაღწია საჭადრაკო ოლიმპიადის ტრიუმფატორმა საქართველოს ქალ მოჭადრაკეთა უმთავრესმა გუნდმა, მაგრამ რაკი ჭადრაკი ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილი არაა, რჩეულის გამოსავლენად სხვა კრიტერიუმები გაითვალისწინეს.

და კიდევ, გუშ ნდელ საღამოს ოლიმპიურ მეცენატთა დარბაზის შემადგენლობა გაცხადდა. ანუ იმ ხალხის, რომლებიც სეოკ-ს და ქართველ ოლიმპიელებს ფინანსურად შეეწევიან. ასეთები კი გახლავთ: თემურ ჭყონია ("კოკა-კოლას" პრეზიდენტი), გიგი ღლონტი ("სახალხო ბანკის" პრეზიდენტი), მანუჩარ ახალაია (სააქციო საზოგადოება "მადნეულის" გენერალური დირექტორი), გიორგი რამიშვილი ("ბი თი ეი" ბანკის დამფუძნებელი), ზაზა რაზიკაშვილი (დეველოპერული კომპანია "ოლიმპიური ვარსკვლავის" პრეზიდენტი), პაატა კურტანიძე (ფარმაცევტული კომპანია "ავერსის" პრეზიდენტი), მიხო სვიმონიშვილი (კომპანია "წყალი მარგებელის" დამფუძნებელი), გელა მიქაძე ("რაკ ჯორჯია ჰოლდინგის" გენერალური დირექტორი), ვალერი კონიავსკი ("ერ სი აი ჯორჯიას" პრეზიდენტი), ზაზა ქათამაძე ("ლუკოილის" პრეზიდეტი).

"უდინეზეში" მწვრთნელი არ შეიცვლება

იტალიური "უდინეზეს" მთავარი მწვრთნელი პასკუალე მარინო, შედეგის მიუხედავად, საკუთარ პოსტს მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს.

"მარინოს წინაშე არანაირი ულტიმატუმი არ დაგვიყენებია და ამიტომ, ამა თუ იმ მატჩის შედეგი, მასთან თანამშრომლობაზე ვერ იმოქმედებს. საქმის მდგომარეობის მიუხედავად, ის გუნდის მწვრთნელად მინიმუმ მიმდინარე სეზონის ბოლომდე დარჩება. გავრცელდა ხმები, რომ მე სხვა მწვრთნელთან მოლაპარაკებას ვაწარმოებ, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეეფერება. " - თქვა უდინელთა პრეზიდენტმა ჯანპაოლო პოცომ.

რომარიო 16,4 მილიონ დოლარს ითხოვს

ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი რომარიო, რომელმაც ფეხბურთელის კარიერა მიმდინარე წელს დაასრულა, თავისი ყოფილი კლუბის, ბრაზილიური "ვასკუ და გამას" წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

კლუბს ფეხბურთელის მიმართა დავალიანება დარჩა, რომელიც დაახლოებით 16,4 მილიონ დოლარს შეადგენს.

ცოტა ხნის წინ, "ვასკუ და გამას" ხელმძღვანელობამ აღიარა, რომ ფეხბურთელის მიმართა დავალიანება ჰქონდა და მისი გადახდაც დაიწყო, მაგრამ, მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში, ფინანსური პრობლემები მოიმიზეზა და ვალის დაფარვაზე უარი განაცხადა. მოცემული მომენტისათვის, მხარეები ვალის გადახდის გრაფიკზე თანხმდებია, თუმცა, რომარიოს ადვოკატი ამბობს, რომ თუ მომავალი წლიდან დავალიანების დაფარვა არ დაიწყება, ისინი სასამართლოს მიმართავენ.

თვალის მიკროქირურგიის

ჯავრიშვილის

კლინიკა

"ოფთალმიჯი"

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოძრავი საოპერაციო

ბლოკით

უკანასკნელი თაობის ასფერული

მულტიფოკალური

ბროლი Acrysof-ReSTOR

კატარაქტის ქირურგიაში

საუკეთესო მხედველობა

სათვალის გარეშე როგორც შორს, ისე

ახლო მანძილზე

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

ფრონტალური-დამტვირთველი:
456 HT

TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT
JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

ტექნიკის ტიპი: ფრონტალური-დამტვირთველი
მწარმოებელი: JCB (დიდი ბრიტანეთი)
მოდელი: 456 HT
ძრავის სიმძლავრე: 216 ცხ.ძ.
საექსპლუატაციო მასა: 22,79 ტ.
ციცხვის ტევადობა: 3,5 $მ^3$
ტვირთამწეობა: 11 757 კგ.
მიწოდების ვადა: 1 დღე
გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად.

მიწოდების ვადა 1 დღე

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. E-mail: jcb@tegetamotors.ge
☎ 244-744, 895 300-711, 244-744 (1219) www.tegetamotors.ge



DESIGN TURKEY 2008 Награда за Лучший Дизайн

HIDROMEK
www.hidromek.com
AS TECHNIC LTD. 97.D. AGMASHENEBELI, Tbilis, GEORGIA
Phone:+ 995 32 452312 Fax:+ 995 77451815

აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ჩატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე''-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე, (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი N20) ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
ბ) „ბე''-ს შენატანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
ს.ს. „საქართველოს სახალხო ბანკი“ რუსთავის ფილიალი
ა/ა 33030006
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287 (მიეთითოს გადასახადის დანიშნულება).
გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებული საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:
220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)
დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური
პირის შემთხვევაში):
ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს
სხვა პირის სახელით:
ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი
სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)
აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების
შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს
დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების
დაკმაყოფილება.
დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:
ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი N20
ტელ: (824) 12 12 66

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

„ჯვარის პროფესიული სწავლების ცენტრისთვის“ სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე. ლიცენზიის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტების ასლების გაცნობა შესაძლებელია სამინისტროს შენობაში, მისამართზე: - ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. N52.

გადაწყვეტილება ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ სამინისტრომ უნდა მიიღოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყებიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. განცხადების საჯარო გაცნობისთვის წარდგენის დღიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარმოადგინოს თავისი მოსაზრებები. პირი უფლებამოსილია საკუთარი მოსაზრების წარმოდგენისას არ მოუთითოს თავისი ვინაობა“.

დ ა ზ უ ს ტ ე ბ ა

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2008 წლის 5 დეკემბერს, გაზეთ „24 საათში“ (N272) გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში, რომელიც შეეხება საერთაშორისო მნიშვნელობის ახალციხე-ნინოწმინდა (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.1-კმ.18(0.65) მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას.

მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით

2. სამუშაოების შესრულების ვადა - 2009 - 2010 წლები (მხარეებს შორის შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად).

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

საავტომობილო გზების დეპარტამენტის
სატენდერო კომისია

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2008 წლის 19 დეკემბერს ატარებს განმეორებით აუქციონს 25% ფასდაკლებით. (პირობით)

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

1. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ირაგის ტერიტორიაზე არსებული ლითონ-
ნის მილი

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	სისქე (მმ)	საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში)	"ბე"	ბიჯი
1	სოფ. ირაგი	500	5600	7	184800	9240	500

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულე-
ბის ლითონის მილები, კერძოდ:

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში)	"ბე"	ბიჯი
1	სოფ. ნახიდური	820 219 102	27.9 2500 130	3278 36263 454	162 1814 23	100 500 50
2	სოფ. რაჭისუბანი	219	150	3156	158	100
3	სოფ. ვანათი	219	315	3534	176	100
4	სოფ. დისველი	102 80 80	940 300 900	6556 1202 2517	328 60 126	100 50 50
5	სოფ. დარბაზი	100 102	3350 1000	44220 6975	2211 348	500 100
6	სოფ. რატევანი	219	3000	27450	1372	300
7	ქ. ბოლნისი	325 400	400 216	7272 5352	364 268	100 100
8	სოფ. კიანეთი	219	2000	5232	262	100
9	დაბა კაზრეთი	426 219	2000 500	117180 7215	5859 360	500 200

3. წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ფოლადის მაგისტრალური
მილსადენები, კერძოდ:

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში)	"ბე"	ბიჯი
1	სოფ. აშკალა	350	2000	9375	469	100
2	სოფ. ჯინისი	150	1000	3750	188	100
3	სოფ. ჯინისი	120	1500	4219	210	100

4. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნუ-
ლების ლითონის მილები, კერძოდ:

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში)	"ბე"	ბიჯი
1	სოფ. განთიადი	500	180	5940	297	100
2	სოფ. განთიადი	600	276	13455	673	200
3	სოფ. განთიადი	173	1011	11173	558	200
4	სოფ. განთიადი	50	680	4080	204	100
5	სოფ. გომარეთი	400	14000	336000	16800	1000

6. გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა
დანიშნულების ლითონის მილები, კერძოდ:

№	ადგილმდებარეობა	დიამეტრი (მმ)	სიგრძე (მ)	საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში)	"ბე"	ბიჯი
1	სოფ. კრწანისი	1200	3800	513000	25650	1000
1	სოფ. კრწანისი	500	1000	56250	2812	500
2	სოფ. მარტყოფი	219	363	8167	408	100
3	სოფ. მარტყოფი	500	429	24131	1206	200
4	სოფ. მარტყოფი	400	330	14850	724	200
5	სოფ. ნორიოში	100	2000	15000	750	200
6	სოფ. ლემშვენარა	150	2000	22500	1125	200
7	სოფ. ჯანდარა	100	2000	15000	75	200
8	სოფ. გამარჯვება	150	500	5625	282	100

აუქციონი პირობები:

1. ნიადაგიდან მილების ამოღების სამუშაოები მოხდეს მყიდველის ხარჯით.
2. მილების ამოღებას შემდგომ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მიყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.
3. აუქციონში გამარჯვებული პირის (ფიზიკური ან/და ურიდიული) მიერ მოლიანი
თანხის 30%-ის გადახდა მოხდეს აუქციონის ჩატარების დღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წლის 3 ივლისს გამოცხადებულ: 1. ახალი სასწავლო ცენტრების პროფესიონალური სასწავლო პროცესში მხარდაჭერა/კონსულტირებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაცია - სს „ვერე XXI“-ის საოჯახო მედიცინის სასწავლო-კლინიკური ცენტრი, 2. კლინიკური პრაქტიკის შეფასების განსახორციელებლად ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაცია - საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი - I, II, III ლოტი.

**(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების
განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)**

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წლის 12 სექტემბერს გამოცხადებულ: 1. პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის სამედიცინო პერსონალის ოჯახის ექიმებად და ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები - ოჯახის ექიმებად გადამზადების ლოტებზე: შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სს „ვერე XXI“-ის საოჯახო მედიცინის სასწავლო-კლინიკური ცენტრი, შპს „N4 სამკურნალო-პროფილაქტიკური ცენტრი“, ზოგადი პრაქტიკის ექთნებად გადამზადების ლოტებზე: შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი“, სს „მამალაძე და კომპანია“; 2. ექიმებისა და ექთნების მოდულარული ტრეინინგის კურსების ორგანიზება და ჩატარების უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაციები - I და IV ლოტზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, III ლოტზე - სს „აკად. ო.ღუდუშაურის სახ. ეროვნული სამედიცინო ცენტრი; 3. კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებსა და პროტოკოლებში ტრეინინგის კურსების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შემდეგი ორგანიზაცია - ასოციაცია „საქართველოს კარდიოლოგთა კოლეჯი“ - II ლოტი.

**(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების
განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)**

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წლის 29 სექტემბერს კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებისა და პირველადი ჯანდაცვის პროტოკოლების შემუშავების პროცესში ტექნიკური დახმარებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი.

**(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების
განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)**

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წლის 8 ოქტომბერს პოლიგრაფიული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ჯეოპრინტი“.

**(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების
განხორციელების წესის შესახებ დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად)**

სსიპ „საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრის“ მიერ ევროკავშირის გრანტით (NTACIS/2007/147562) დაფინანსებული „პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ხელშემწყობი პროექტის“ ფარგლებში 2008 წლის 16 ოქტომბერს სასუნთქი სისტემის დაავადებების გაიდლაინების/პროტოკოლების გამოყენების საკითხებზე საოჯახო მედიცინის პრაქტიკაში ტრეინინგის კურსების ორგანიზებისა და ჩატარების უზრუნველყოფისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ორეტაპიან ტენდერში გამარჯვებულად გამოვლინდა საქართველოს რესპირაციული ასოციაცია.

შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფა“ აცხადებს აუქციონს პირობებით

ქ. თბილისში, თვალჭრელიძის N2-ში მდებარე 344396 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების რეალიზების მიზნით

- **ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ:**
- **მისამართი:** ქ. თბილისი, თვალჭრელიძის N2 (საკადასტრო კოდი N01.19.19.009.006).
- **საწყისი გასაყიდი ფასი: 25 000 000 (ოცდახუთი მილიონი)** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).
- **ობიექტის დახასიათება**: ქ. თბილისში, თვალჭრელიძის N2-ში მდებარე 344396 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N01.19.19.009.006) და მასზე მდგომი N1, N2, N3, N4, N5, N6, N7, N9, N34, N43, N54 შენობა-ნაგებობები.
- **თანხის გადახდის ვადები:** „მყიდველი“ ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გასაყიდი ფასი.
- **აუქციონის პირობები:** მყიდველი ვალდებულია ქ. თბილისში, თვალჭრელიძის N2-ში მდებარე 344396 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.19.19.009.006) არსებულ N34, N43 და N54 შენობა-ნაგებობებში მცხოვრები ლტოლვილთა ოჯახების ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებისა და ნორმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, აუქციონის ჩატარებიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში ჩაატაროს ქ. თბილისში, თვალჭრელიძის N2-ში მდებარე 5897 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.19.19.09.007) და ქ. თბილისში, თვალჭრელიძის N2-ში მდებარე 5885 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N01.19.19.09.008) მდგომი შენობა-ნაგებობების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და უზრუნველყოს მათი განთავსება აღნიშნულ შენობებში საკუთარი ხარჯებით, რომელიც გამყიდველის მხრიდან არ ანაზღაურდება.

აუქციონი ჩატარდება 2009 წლის 9 იანვარს 17.30 საათზე.

აუქციონის თაობაზე დაწვრილებითი ინფორმაცია გამოქვეყნებულია გაზეთ „მესაკუთრეს“ 24.12.08წ N47(593) (ჭანტურიას ქ. N12, VIII სართული) და ვებ-გვერდზე www.mesakutre.ge

შ.პ.ს. „სახელმწიფო უზრუნველყოფა“
მისამართი: ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. N12, VII სართული.
საკონტაქტო ტელეფონი: 99-01-48, 99-01-49, 899 35-55-35

ქალაქ თბილისის მერი

010.260.030.38.101.012.503.
24.12.2008წ.
ბრძანება N60

19 დეკემბერი 2008 წ.

„ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის
საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“
ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N17
ბრძანებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები „ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N17 ბრძანებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის დებულებაში:

ა) დებულების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

1. დედაქალაქის ეკონომიკური განვითარების მიზნით სტრატეგიებისა და პროგრამების შემუშავება, პროექტების განხორციელება, ევროპის სტრუქტურებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის კოორდინაცია და მის საქმიანობას მიკუთვნებულ სფეროებში ერთიანი საჯარო ხელისუფლების განხორციელება.

2. სამსახურის საქმიანობის სფეროებია:

ა) სტრატეგიული დაგეგმვა და ქალაქის განვითარების პროგრამები;

ბ) ქალაქის ეკონომიკური განვითარების სტიმულირება;

გ) ქალაქის ეკონომიკური შესაძლებლობების წარმოჩენა და საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები;

დ) სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების განვითარება;

ე) მცირე და საშუალო ბიზნესი;

ვ) ტურიზმი;

ზ) საქალაქო ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტები;

თ) ენერგოეფექტურობა;

ი) ადგილობრივი გადასახადები, მოსაკრებლები და ნებართვები;

კ) ადგილობრივ დონეზე რეგულირებადი ეკონომიკური სფეროები;

ლ) ევროპროგრამები და პროექტები;

მ) საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქალაქებთან/რეგიონებთან თანამშრომლობა;

ნ) თბილისის პროფილის ამაღლება საერთაშორისო დონეზე;

ო) ინვესტიციების ხელშეწყობა და ინვესტორთა მხარდაჭერა;

პ) ქალაქის მარკეტინგი;

ჟ) თბილისის თვითმმართველობის ორგანოებისა და ქ. თბილისის მერის მიერ სამსახურისათვის განსაზღვრული სხვა სფეროები.“

ბ) დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის ფუნქციებს მიეკუთვნება:

ა) დედაქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების, განხორციელების, განახლების კოორდინაცია და მათი შესრულების მონიტორინგი;

ბ) ქალაქის საშუალო და მოკლევადიანი განვითარების პროგრამების შედგენის, განხორციელებისა და განახლების კოორდიანცია და მათი შესრულების მონიტორინგი;

გ) ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და ინვესტორთა მხარდაჭერა;

დ) მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების განხორციელება;

ე) ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება;

ვ) ქალაქის, აქ მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობების, ქალაქში წარმოებული პროდუქციის ბრენდინგი და ფრომოუშენი;

ზ) საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში, ბაზრობებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებში მონაწილეობა. თბილისში ანალოგიური ღონისძიებების ორგანიზების მხარდაჭერა;

თ) ქალაქში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა;

ი) ქალაქში სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების მდგომარეობის მონიტორინგი და მათი განვითარების ხელშემწყობ პროექტებში მონაწილეობა;

კ) დედაქალაქში მუნიციპალური მომსახურების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება, მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებში მონაწილეობა;

ლ) საქალაქო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ინფორმაციის მომზადება და განვითარების პროექტებში მონაწილეობა;

მ) ქ. თბილისში მიმდინარე ენერგოდაზოგვით პროექტებში მონაწილეობა;

ნ) ადგილობრივ გადასახადებთან, ადგილობრივ მოსაკრებლებსა და ნებართვებთან, ადგილობრივ დონეზე რეგულირებად ტარიფებთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება;

ო) ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში ქ. თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროექტების მართვა-კოორდინაცია;

პ) თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა სტრუქტურებთან მათთვის თბილისის ინტერესების წარმოსადგენად;

ჟ) თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

რ) საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად პარტნიორების მოძიება;

ს) რეგიონალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა;

ტ) ქ.თბილისის დაძმობილებულ და სხვა ქალაქებთან/რეგიონებთან ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაცია;

უ) ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დასადები შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებზე დასკვნების მომზადება.“

გ) დებულების მე-7 მუხლი 1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სამსახურის უფროსს ჰყავს მოადგილე ან მოადგილეები, რომელთა უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება წინამდებარე დებულებით. მოადგილეებზე მინდობილ სფეროებს ანაწილებს სამსახურის უფროსი.“

დ) დებულების მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9.

1. სამსახური შედგება ოთხი სტრუქტურული ქვედანაყოფის-განყოფილებისაგან:

ა) სტრატეგიული დაგეგმვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განყოფილება;

ბ) საქალაქო ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური მომსახურების განყოფილება;

გ) ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განყოფილება.

დ) ინვესტიციების ხელშეწყობისა და ქალაქის მარკეტინგის განყოფილება.

2. განყოფილების ძირითადი ფუნქციები:

ა) სტრატეგიული დაგეგმვისა და სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების განყოფილება - დედაქალაქის სტრატეგიული განვითარების გეგმის, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავების, მათი განხორციელებისა და განახლების კოორდინაცია და შესრულების მონიტორინგი; ქალაქის საშუალო და მოკლევადიანი განვითარების პროგრამების შედგენის, განხორციელებისა და განახლების კოორდიანცია და მათი შესრულების მონიტორინგი; მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი პროექტების განხორციელება; ქალაქში ტურიზმის განვითარების ხელშემწყობი პროექტების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა; ქალაქში სამუშაო ძალისა და სამუშაო ადგილების მდგომარეობის მონიტორინგი და მათი განვითარების ხელშემწყობ პროექტებში მონაწილეობა; ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება; განყოფილების ფუნქციაში შემავალ საკითხებზე თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დასადები შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებზე დასკვნების მომზადება;

ბ) საქალაქო ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური მომსახურების განყოფილება - დედაქალაქში მუნიციპალური მომსახურების არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მომზადება, მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებებში მონაწილეობა; საქალაქო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით ინფორმაციის მომზადება და განვითარების პროექტებში მონაწილეობა; ქ. თბილისში მიმდინარე ენერგოდაზოგვით პროექტებში მონაწილეობა; ადგილობრივ გადასახადებთან, ადგილობრივ მოსაკრებლებსა და ნებართვებთან, ადგილობრივ დონეზე რეგულირებად ტარიფებთან დაკავშირებით წინადადებების მომზადება; განყოფილების ფუნქციაში შემავალ საკითხებზე ქ. თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დასადები შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებზე დასკვნების მომზადება;

გ) ევროკავშირის პროგრამების კოორდინაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის განყოფილება - ევროკავშირის პროგრამების ფარგლებში თბილისის მერიის მიერ განხორციელებული პროექტების მართვა-კოორდინაცია; თანამშრომლობა ევროპის სხვადასხვა სტრუქტურებთან მათთვის თბილისის ინტერესების წარმოსადგენად; თანამშრომლობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; საერთაშორისო პროექტების განსახორციელებლად პარტნიორების მოძიება; რეგიონალური პროექტების დაგეგმვა და განხორციელების ხელშეწყობა; ქ. თბილისის დაძმობილებულ და სხვა ქალაქებთან/რეგიონებთან ეკონომიკური თანამშრომლობის კოორდინაცია;

დ) ინვესტიციების ხელშეწყობისა და ქალაქის მარკეტინგის განყოფილება - ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა და ინვესტორთა მხარდაჭერა; საერთაშორისო და ადგილობრივ გამოფენებში, ბაზრობებში, კონფერენციებსა და სხვა ღონისძიებში მონაწილეობა. ქ. თბილისში ანალოგიური ღონისძიებების ორგანიზების მხარდაჭერა; ქალაქის, აქ მოქმედი საწარმოებისა და ორგანიზაციების შესაძლებლობების, ქალაქში წარმოებული პროდუქციის ბრენდინგი და ფრომოუშენი; განყოფილების ფუნქციაში შემავალ საკითხებზე ქ.თბილისის მერიისა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით დასადები შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტებზე დასკვნების მომზადება.

3. განყოფილება ასრულებს ამ დებულებითა და სამსახურის უფროსის მიერ განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.“

მუხლი 2. ბრძანება ძალაში შევიდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

გიორგი უგულავა

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“ აცხადებს ტენდერს შემდეგი სახის მომსახურეობაზე:

კასპის ცემენტის ქარხნის ტერიტორიაზე 900 კვტ-ნი სინქრონული ძრავის ??-260/39-36 კაპიტალურ შეკეთებაზე.

დაინტერესებულ პირებს ან კომპანიებს სატენდერო მასალების წაღება შეუძლიათ განცხადების გამოქვეყნების დღიდან, ქვემოთ მოცემულ მისამართზე.

შპს „ჰაიდელბერგცემენტ კაუკასუსი“
წინამძღვრიშვილის N 90, თბილისი, საქართველო
ტელ: + 995 77 57 75 12
+ 995 32 47 47 47
ელ. ფოსტა: tamriko.darakhvelidze@heidelbergcement.com
თამარ დარახველიძე

წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადაა: 2009 წლის 16 იანვარი

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს გაზეთ - „24 საათში“ უკონტაქტო პლასტიკური ბარათების დამზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში:

1. განცხადების მე-6 პუნქტს დაემატოს: „პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.“
2. განცხადების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ზე).
3. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა განისაზღვროს შემდეგნაირად:

„1. 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ცალი უკონტაქტო პლასტიკური ბარათის დამზადების მომსახურების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 28 თებერვალი;
2. 200 000 (ორასი ათასი) ცალი უკონტაქტო პლასტიკური ბარათის დამზადების მომსახურების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2009 წლის 1 აპრილი.“

სატენდერო კომისია

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს გაზეთ - „24 საათში“ ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტოსადგომისა და სასაწყობო ბაზის, ვაზიანის ქიმიურ ნივთიერებათა სამარხის, მეტეხის გვირაბის კომპლექსის მოვლა-პატრონობის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში და განცხადების მე-6 პუნქტს დაემატოს: „პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.“

სატენდერო კომისია

ცვლილება ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში

შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები ქალაქ თბილისის მერიის მიერ 2008 წლის 10 დეკემბერს გაზეთ - „24 საათში“ ქ. თბილისში, 2009 წლისათვის სანიაღვრე ქსელების ექსპლუატაციისათვის საჭირო თუჯისა და რკინა-ბეტონის მასალების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოქვეყნებულ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში:

1. განცხადების მე-6 პუნქტს დაემატოს: „პრეტენდენტების მიერ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.“
2. განცხადების მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

სატენდერო კომისია

ქალაქ თბილისის მერი

010.260.030.38.101.012.502.
24.12.2008წ.
ბრძანება N59

19 დეკემბერი 2008წ.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის
დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N22 ბრძანებაში ცვლილებების და დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატება „ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N22 ბრძანებით დამტკიცებული დებულებაში:
ა) მე-4 მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს“ ქვეპუნქტი:
„ს) შეადგინოს დათვალიერების ოქმი;
ბ) მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სამართალდარღვევის საქმისწარმოების განყოფილება;“
გ) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;
2. ბრძანება ძალაშია 2009 წლის 5 იანვრიდან.

გიორგი უგულავა

განცხადება

მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ, აგვისტოს თვეში რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული საქართველოს მოსახლეობისათვის, მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ წეროვანში (ზონა - მცხეთა; სექტორი - წეროვანი; კვარტალი - 21;), საბავშვო ბაღის პირვლადი მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე, ერთ პირთან მოლაპარაკების მეთოდით, ხელშეკრულება გააფორმა შპს „ნიუ-ენერჯთან“.

ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ ტენდერების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

- სააგენტოს საჭიროებისათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.
ლოტი 1. კომპიუტერი
ლოტი 2. უწყვეტი კვების წყარო
ლოტი 3. საბეჭდი და საქსელო მოწყობილობა
განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2008 წლის 23 სექტემბრის გაზეთში „24 საათი“.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი - სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.
ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები:
1. შ.პ.ს. „იუ ჯი თი“ - ლოტი 1;
2. შ.პ.ს. „ალტა“ - ლოტი 2.
ლოტი 3 ჩაიშალა.
- სოციალური სისტემის რეფორმის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - მრავალწლიანი ორეტაპიანი ტენდერი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2008 წლის 17 ოქტომბრის გაზეთში „24 საათი“.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი - სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.
ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია - შ.პ.ს. „ჯეპრა“.

ინ ფ ო რ მ ა ც ი ა

სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ ტენდერების საშუალებით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

- სააგენტოს საჭიროებისათვის კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა - ერთეტაპიანი ტენდერი.

ლოტი 1. კომპიუტერი
ლოტი 2. უწყვეტი კვების წყარო
ლოტი 3. საბეჭდი და საქსელო მოწყობილობა

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2008 წლის 23 სექტემბრის გაზეთში „24 საათი“.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი - სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.
ტენდერის შედეგად გამოვლინდნენ გამარჯვებული ორგანიზაციები:
1. შ.პ.ს. „იუ ჯი თი“ - ლოტი 1;
2. შ.პ.ს. „ალტა“ - ლოტი 2.

ლოტი 3 ჩაიშალა.

- სოციალური სისტემის რეფორმის შესახებ საინფორმაციო კამპანიის მომზადებისა და განხორციელებისათვის ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვა - მრავალწლიანი ორეტაპიანი ტენდერი.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდა 2008 წლის 17 ოქტომბრის გაზეთში „24 საათი“.
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი - სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯები.
ტენდერის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული ორგანიზაცია - შ.პ.ს. „ჯეპრა“.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“, აცხადებს მრავალწლიან, ტენდერს საოფისე და დამხმარე ფართის და მისი მიმდებარე ეზოს მოვლა-დასუფთავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია: ქ. თბილისში კოსტავას ქ. N68-ში მდებარე სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შენობის (13 128 კვმ) და მის მიმდებარე ეზოს გაზონების და ნარგავების (10 000 კვმ) დასუფთავება.

შენიშვნა: დაწვრილებითი ინფორმაცია იხილეთ სატენდერო დოკუმენტაციაში.

2. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადა: 2009 წლის 22 იანვრიდან - 2009 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო კომისიის აპარატში სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 12 იანვრის 12:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, რეკვიზიტები:
მიმღები: ხაზინის ერთიანი ანგარიში,
ანგ. N200122900, სახელმწიფო ხაზინა,
კოდი N220101222,
სახაზინო კოდი N302003000;

გადახდის დანიშნულება: სატენდერო მოსაკრებელი, საოფისე და დამხმარე ფართის და მისი მიმდებარე ეზოს მოვლა-დასუფთავების მომსახურების შესყიდვის ტენდერი, სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ (2585). (გადახდის დანიშნულება მითითებული უნდა იყოს სრულად).

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 12 იანვრის 13:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესყიდვების ჯგუფი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი სატენდერო წინადადება.

6. პრეტენდენტების საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

6.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ იურიდიული პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

6.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:

ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების მე-6 პუნქტის შესაბამისად.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

(მე-6 პუნქტში მოცემული საკვალიფიკაციო მონაცემები, სატენდერო წინადადების შერჩევისას ხელახალ დადასტურებას არ ექვემდებარება).

7. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებების უზრუნველყოფის მექანიზმი გარანტირება (საბანკო გარანტია, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ზე) და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გარანტირება (საბანკო გარანტია, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ზე).

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ზამთარაძე, ტელ: (995-32) 40-91-45, ან მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა N68, მესამე სართული, ოთახი N341, სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის'' შესყიდვების ჯგუფი.

ალაქ თბილისის მერი
010.260.030.38.101.012.500
24. 12 2008წ.
ბრძანება N57

19 დეკემბერი 2008წ.

ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა
და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის
კორპუსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ
თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N15
ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებებისა
და დამატებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ქ. თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახურის - თბილისის კორპუსის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N15 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში ცვლილებები და დამატებები:

ა) დებულების პირველი მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სამსახურს აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, აგრეთვე ამ სტატუსის მქონე სამსახურისათვის ნებადართული სხვა ოფიციალური რეკვიზიტები.“

ბ) ამოღებულ იქნეს დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ბ“, გ“ და ვ“ ქვეპუნქტები;

გ) ამოღებულ იქნეს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ“ და დ“ ქვეპუნქტები;

დ) დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) თანხმობის გაცემა ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ყველა წევრის მიერ ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ან რამდენიმე სადარბაზოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დასაფუძნებლად“;

ე) დებულების მე-3 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის მ“ და ნ“ ქვეპუნქტები:

„მ) თანხმობის გაცემა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიანი სახლის ყველა ბინის მესაკუთრის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ერთი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის დასაფუძნებლად“;

„ნ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელება.“

ვ) დებულების მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის გ“ ქვეპუნქტი:

„ გ) რაიონული განყოფილება“.

ზ) დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ა“ და ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ინსტიტუტის განვითარების მიზნით, ამხანაგობებისთვის კონსულტაციების გაწევა“;

„ბ) საერთაშორისო კავშირების დამყარება გამოცდილების გაზიარებისთვის და უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით სამსახურის კომპეტენციას მიკუთვნებული პროგრამებისა და პროექტების მომზადება“;

თ) ამოღებულ იქნეს დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის ე“ ქვეპუნქტი;

ი) დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კოორდინაციისა და აღრიცხვიანობის განყოფილების ფუნქციებია:

ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განაცხადების განხილვა და შესაბამისი ბრძანებების პროექტების მომზადება;

ბ) ამხანაგობებსა და სამსახურს შორის დასადები ხელშეკრულებების, სამუშაოს დასრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების პროექტების მომზადება და ქ.თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურისადმი შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენა;

გ) სამსახურის მიერ, ქ.თბილისის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურში წარსადგენი, ქ.თბილისის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ხარჯების - პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საბიუჯეტო ვალდებულებებისა და დამოწმების დოკუმენტის მოსამზადებლად შესაბამისი დოკუმენტის (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა) წერილობით მომზადება;

დ) სამსახურში არსებული ინფორმაციის ანალიზი და სტატისტიკური დამუშავების უზრუნველყოფა“.

კ) დებულების მე-6 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. რაიონული განყოფილების ფუნქციებია:

ა) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვა;

ბ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის პროცესში კონსულტაციების გაწევა ;

გ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განაცხადების მიღება და მათი პირველადი შემოწმება;

დ) ავანსის სახით, ამხანაგობის წილის შესაბამისი თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის, მომსახურე ორგანიზაციასა და ამხანაგობას შორის დადებული ხელშეკრულებებისა და სამუშაოს დასრულების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტების მიღება და პირველადი შემოწმება“.

ლ) დებულების მე-7 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სამსახურის ქონება წარმოადგენს ქალაქ თბილისის, როგორც თვითმმართველი ერთეულის, საკუთრებას“.

2. ეს ბრძანება ძალაშია 2009 წლის 5 იანვრიდან.

გიორგი უგულავა

ქალაქ თბილისის მერი

010.260.030.38.101.012.501.
24.12.2008წ.
ბრძანება N 58

19 დეკემბერი 2008წ.

ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის 12 ოქტომბრის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

ვბრძანებ:

ა) დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის თანდართული დებულება.

ბ) ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ თბილისის მერის 2006 წლის 26 დეკემბრის N20 ბრძანება „ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“

2. ბრძანება ძალაშია 2009 წლის 5 იანვრიდან.

გიორგი უგულავა

დანართი

ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექციის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. ქალაქ თბილისის მერიის საქალაქო სამსახური - კანონიერების დაცვის გენერალური ინსპექცია (შემდგომში - ინსპექცია) არის ქ.თბილისის მერიის შიდა უწყებრივი კონტროლის განმახორციელებელი სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც წარმართავს თავის საქმიანობას სამართალდარღვევათა გამოვლენის, თავიდან აცილების, შესაბამისი რეაგირებისა და განხორციელებული საკადრო პოლიტიკის ხელშეწყობის მიზნით.

2. ინსპექცია შექმნილია „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის და „ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულების საფუძველზე.

3. ინსპექცია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, „საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით, „ ქალაქ თბილისის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2006 წლის N1-1 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მერიის დებულებით და სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე ნორმა-ტიული აქტებით, მათ შორის წინამდებარე დებულებით.

4. ინსპექცია წარმოადგენს ქ. თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.

5. ინსპექცია უშუალოდ ექვემდებარება ქ. თბილისის მერს და ანგარიშვალდებულია მის წინაშე. დაუშვებელია მის საქმიანობაში სხვა თანამდებობის პირთა ნებისმიერი ფორმით ჩარევა.

6. ინსპექციის უფლებამოსილება, სტრუქტურა და საქმიანობის წესი განისაზღვრება ამ დებულებით, რომელსაც დადგენილი წესით, სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინებით, ამტკიცებს ქალაქ თბილისის მერი.

7. ინსპექციას აქვს დებულება, შტამპი, ბლანკი, ბეჭედი სახელწოდების აღნიშვნით, დასრულებული ბალანსი, და ხარჯთაღრიცხვა.

თავი II
ინსპექციის ამოცანები და ფუნქციები

მუხლი 2.

1. ინსპექციის ძირითადი ამოცანებია:

ა) ქალაქ თბილისის მერიის სისტემაში საჯარო მოსამსახურეთა მიერ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი;

ბ) ამ დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მერისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების მოსამსახურეთა მიერ კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობა და კონტროლი.

გ) საჭიროების შემთხვევაში ქ. თბილისის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვის კანონიერების, მიზნობრიობის, აგრეთვე მუნიციპალური საკუთრების ობიექტების გამოყენების, მართვისა და განკარგვის კანონიერებისა და მიზნობრიობის ზედამხედველობა და კონტროლი. ქ. თბილისის მერიის ორგანოებისათვის გრანტისა ან/და დახმარების სახით გადაცემული ქონების გამოყენების, მართვისა და განკარგვის კანონიერებისა და მიზნობრიობის ზედამხედველობა და კონტროლი;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მთავრობის, შესაბამისი გამგეობებისა და საქალაქო სამსახურების მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, ასევე მათ მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებებისა და კერძოსამართლებრივი გარიგებების სამართლებრივი ან/და საფინანსო ექსპერტიზა, ასევე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ქ. თბილისის მერის დავალების საფუძველზე, აღნიშნული სამართლებრივი დოკუმენტების პროექტების (წინასწარი) ექსპერტიზა.

ე) მოქალაქეთა ცალკეულ განცხადებებსა და საჩივრებზე, ასევე სხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირება;

ვ) არსებული მასალების გადამოწმების და შემოწმების პროცესში სპეცჯგუფების მუშაობის კოორდინაცია;

ზ) საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტების ჩამოყალიბება, მოპოვებული მასალების ანალიზი და რეაგირების ფორმის განსაზღვრა;

თ) არსებული მასალების ანალიზის საფუძველზე ქალაქის თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში სამართალდარღვევის საფუძვლების გამოკვლევა და მათ აღმოფხვრასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება;

ი) სავალდებულო მითითებების, წინადადებების, შემუშავება და უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პროფილაქტიკის მიზნით, შესაბამისი სამსახურებისათვის მიწოდება;

2. ინსპექცია, აგრეთვე, ასრულებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

მუხლი 3.

1. დაკისრებული ამოცანების განხორციელების მიზნით ინსპექცია:

ა) ქ. თბილისის მერის დავალებით, სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, მოქალაქეთა საჩივრებისა და განცხადებების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოქვეყნებული ინფორმაციების, აგრეთვე სხვა უწყებათა შეტყობინების საფუძველზე, ქ. თბილისის მერიის სისტემაში არსებულ რგოლებში ატარებს სამსახურებრივ მოკვლევას საფინანსო რევიზიის, თემატური შემოწმებისა და სამართლებრივი ექსპერტიზის ფორმით. ინსპექცია უფლებამოსილია გამოიყენოს შემოწმების სხვა სახის ფორმები და მეთოდები, მოამზადოს შესაბამისი რეკომენდაციები და მითითებები ნაკლოვანებათა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისა და აღმოფხვრის მიზნით.

ბ) უზრუნველყოფს სამსახურის „ცხელი ხაზის“ გამართულ ფუნქციონირებას და მოქალაქეთა ინფორმირებას „ცხელი ხაზის“ შესახებ;

გ) შეტყობინებების და ცნობების მისაღებად ქ. თბილისის მერიისა და მისი სტრუქტურული ერთეულების შენობებში მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომ ადგილზე უზრუნველყოფს სპეციალური ყუთების განთავსებას;

დ) ახორციელებს კონტროლს ქ. თბილისის მერიის თანამშრომელთა მიერ დისციპლინისა და კანონის განუხრელ დაცვაზე;

ე) ქ. თბილისის მერიისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების მხრიდან დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, ამ დებულებით დადგენილი წესით ქალაქ თბილისის მერიის თანამდებობის პირებს განსახილველად წარუდგენს შესაბამის დასკვნებს, სავალდებულო მითითებებს, წინადადებებს და რეკომენდაციებს მათი შემდგომი პროფილაქტიკის მიზნით;

ვ) ახორციელებს კონტროლს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს კოორდინატორს ან თანამშრომელთა შემადგენლობით ქმნის სპეციალურ ინსპექტირების ჯგუფს.

ზ) მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის, სამუშაოების, მომსახურების მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ და შესაბამისი ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, აფორმებს მიღება-ჩაბარების აქტებს.

თ) უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, ახორციელებს შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებას.

ი) მიმართავს უფლებამოსილ პირს წარდგინებით კანონდამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარების თაობაზე;

კ) უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით, თანამშრომლობს სამართალდამცავ ორგანოებთან.

2. ინსპექცია უფლებამოსილია:

ა) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გამოითხოვოს (როგორც მატერიალური ისე არამატერიალური სახით არსებული) ნებისმიერი დოკუმენტი და ინფორმაცია, მოსთხოვოს და მიიღოს შესაბამისი ახსნა-განმარტება მერიის სისტემაში შემავალი ყველა რგოლის მუშაკებისა და თანამდებობის პირისაგან, ასევე ქ. თბილისის მერიის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების მოსამსახურეთაგან;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოიყენოს ქ. თბილისის მერიის სისტემაში არსებული მონაცემთა ბაზები;

გ) სამსახურებრივი შემოწმების ჩატარების მიზნით, დაუბრკოლებლად შევიდეს ქ. თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში.

დ) სამსახურებრივი შემოწმების შედეგებზე დაყრდნობით, უფლებამოსილ პირს მიმართოს წინადადებით გადაცდომის ჩამდენი პირის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

ე) ქ. თბილისის მერიისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელებს მიმართავს სავალდებულო მითითებით უკანონო ქმედებათა აღმოფხვრისა და პრევენციის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.

ვ) საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და პრევენციის მიზნით გამოიყენოს შესაბამისი მატერიალური და ტექნიკური საშუალებები;

ზ) შესაბამისი ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვლიოს ქ. თბილისის მერიის სისტემაში მიმდინარე წარმოებების კანონიერება;

თ) დაესწროს ადმინისტრაციული საჩივრების განხილვას;

ი) დაესწროს ქ.თბილისის მერიაში მოქმედი კომისიების სხდომებს და შეისწავლოს მიღებული გადაწყვეტილებების კანონიერება.

კ) ჩაატაროს ქ. თბილისის მერიისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების მოსამსახურეთა შემოწმება სამუშაო საათებში ალკოჰოლური თრობის, ექიმის დანიშნულების გარეშე ნარკოტიკულ, ტოქსიკურ ან ძლიერმოქმედ საშუალებათა მოხმარების ფაქტების დადგენის მიზნით.

3. ინსპექცია, აგრეთვე, ასრულებს მისთვის კანონმდებლობით დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

თავი III
საბიუჯეტო პროცესში მონაწილეობა

მუხლი 4

1. ინსპექცია საფინანსო საქალაქო სამსახურს წარუდგენს:

ა) ქალაქის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში მონაწილეობის მიზნით ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების შესაბამისად სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში დასაბუთებულ გაანგარიშებებს და ინფორმაციებს;

ბ) მერის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ამზადებს ქ. თბილისის მთავრობის დადგენილების პროექტს ან საფინანსო საქალაქო სამსახურის მიმართ წერილს სამსახურის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

გ) კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ქ. თბილისის ბიუჯეტის ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშის მოსამზადებელი სამუშაოების ორგანიზებისათვის სამსახურის ბიუჯეტის შესრულების შესაბამის ინფორმაციებს (განმარტების ბარათს);

დ) ქ. თბილისის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი ხარჯების - პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის საბიუჯეტო ვალდებულებების და დამოწმების დოკუმენტის მოსამზადებლად შესაბამის დოკუმენტს (ხელშეკრულებები, მიღება-ჩაბარების აქტი, ანგარიშფაქტურა და სხვა) წერილობით;

ე) მუშა-მოსამსახურეთა ხელფასების, პრემირების და სხვა გასაცემ თანხებზე სათანადო დოკუმენტებს (უწყისები):

ვ) სამსახურში განსაზღვრულ ვადაში ჩატარებული სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციის შედეგების შესახებ მონაცემებს საქალაქო სამსახურების ნაერთ ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით.

2. საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად ამზადებს ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი მიზნობრივი პროგრამების პროექტებს.

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

1890
OCHOBAHO·ESTABLISHED
BORJOMI®
Georgian Glass & Mineral Water Co.N.V.
ყოველთვის
თანამედროვე
1890 წლიდან
1890
BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМИ
0.5л
GEORGIAN MINERAL WATER • МИНЕРАЛЬНАЯ ВОДА ГРУЗИИ
1890
BORJOMI
ბორჯომი
БОРЖОМІ
GEORGIAN MINERAL WATER • МІНЕРАЛЬНА ВОДА ГРУЗІЇ

თავი IV
ინსპექციის მართვა

მუხლი 5.

1. ინსპექციას ხელმძღვანელობს ინსპექციის უფროსი, რომელსაც ქ. თბილისის თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

2.ინსპექციის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ინსპექციის საქმიანობას;

ბ) იღებს გადაწყვეტილებებს ინსპექციის კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე;

გ) მოქმედებს ინსპექციის სახელით და წარმოადგენს ინსპექციას სხვა ორგანოებთან ურთიერთობისას;

დ) პასუხს აგებს ინსპექციის ქონების დაცვასა და ჯეროვნად გამოყენებაზე;

ე) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას ინსპექციის თანამშრომელთა საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობაზე;

ვ) განსაზღვრავს ინსპექციის უფროსის მოადგილის უფლებამოსილების ფარგლებს, აძლევს მას შესაბამის დავალებებსა და მითითებებს;

ზ) დადგენილი წესით ქ. თბილისის მერს წარუდგენს ანგარიშს ინსპექციის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ;

თ) კომპეტენციის ფარგლებში გასცემს დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს, სავალდებულო მითითებებს;

ი) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

კ) შუამდგომლობს იმ სახსრებისა და მატერიალური ფასეულობების გამოყოფის თაობაზე, რომელიც საჭიროა ინსპექციის ამოცანების შესასრულებლად;

ლ) შუამდგომლობს ინსპექციის საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ;

მ) ქ. თბილისის მერის დავალებით ესწრება ქ. თბილისის მთავრობის სხდომებს.

ნ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6.

1. ინსპექციის უფროსს ჰყავს პირველი მოადგილე და მოადგილე (მოადგილეები), რომელსაც კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქ. თბილისის მერი.

2. უფროსის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამსახურის საქმიანობას, აკონტროლებს სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებების შესრულებას და ასრულებს სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებებს.

3. ინსპექციის უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობს ინსპექციის საქმიანობას უფროსის არყოფნისას.

თავი V
ინსპექციის სტრუქტურული ქვედანაყოფები

მუხლი 7.

1. ინსპექციის სტრუქტურა განისაზღვრება შემდეგი სახით:

ა) სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო;

ბ) სპეციალურ დავალებათა ოპერატიული სამმართველო;

გ) აპარატი.

2. სამსახურებრივი შემოწმების სამმართველო შედგება შემდეგი ქვედანაყოფებისაგან:

ა) ქ. თბილისის მერიის სამსახურებრივი კონტროლის განყოფილება.

ბ) იურიდიული პირების კონტროლის განყოფილება.

3. ამ დებულებით განსაზღვრულ ამოცანათა შესრულების მიზნით სამმართველო უზრუნველყოფს:

ა) ამ დებულებით დადგენილი წესით მოსამსახურეთა მიერ სამსახურებრივი გადაცდომის ფაქტებზე სამსახურებრივი შემოწმების ჩატარებას;

გ) მოქალაქეთა განცხადება-საჩივრების შესწავლასა და მათზე სათანადო რეაგირებას;

დ) ქ. თბილისის მერიისა და მერიის წილობრივი მონაწილეობით არსებული ან/და მის მმართველობის სფეროს მიკუთვნებული იურიდიული პირების საფინანსო და სამართლებრივი რევიზიის ჩატარება;

ე) სამსახურებრივი შემოწმების სამუშაო გეგმის შემუშავებას.

4. სპეციალურ დავალებათა ოპერატიული სამმართველო შედგება შემდეგი ქვედანაყოფებისაგან:

ა) საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის კონტროლის განყოფილება

ბ) ოპერატიული რეაგირების განყოფილება.

5. სპეციალურ დავალებათა ოპერატიული სამმართველო უზრუნველყოფს: სამსახურებრივი მოკვლევის და შემოწმების ჩატარებას, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის დაცვაზე ზედამხედველობას, ქ. თბილისის მერისა და სამსახურის უფროსის ცალკეულ დავალებების ოპერატიულ შესრულებას;

6. აპარატი უზრუნველყოფს სამსახურის გამართულ ფუნქციონირებას, სამსახურის სხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების კოორდინაციას, ინსპექციის შიდა კონტროლის განხორციელებას, სამსახურისთვის ინფორმაციის დროულ მიწოდებას.

თავი VI
ინსპექციის ქონება

მუხლი 8.

ინსპექციის ქონება წარმოადგენს ქ. თბილისის ადგილობრივ საკუთრებას,. ამასთან მის მფლობელობაში გადაცემული ძირითადი საბრუნავი საშუალებები და საფინანსო რესურსები აისახება ინსპექციის დამოუკიდებელი ბალანსზე.

თავი VII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 9.

1. ამ დებულების გაუქმება ან მასში ცვლილებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ინსპექციის რეორგანიზაცია ან მისი საქმიანობის შეწყვეტა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროექტის წარმომდგენი ლ. მაქაცარია

შეთანხმებულია მ. ახვლედიანთან
ს. სისაურთან
ი. აბესაძესთან
დ. ხოსრუაშვილთან
მ. გელაძესთან

შესწორება

2008 წლის 24 დეკემბრის N288 გაზეთში „24საათი“ შპს „თბილმეტრომშენი“-ს
მიერ გამოცხადებულ კონკურსში, თავისუფალი 500 კვ.მ. საოფისე ფართისა და ავტოსადგომის ფართის იჯარით გაცემის მიზნით, გაზეთ „24 საათი“-ს რედაქციის მიერ მეხუთე პუნქტში გაიპარა შეცდომა, გთავაზობთ შესწორებულ ვარიანტს:

5. კონკურსში მონაწილეებმა განაცხადთან ერთად უნდა წარმოადგინონ „ბე“-ს და კონკურსში მონაწილის ბილეთის 50 ლარი ღირებულების შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
შემოსავლების სამსახური
ბრძანება N3887

22 დეკემბერი 2008 წ. ქ. თბილისი

შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 25 დეკემბრის
№8000 ბრძანებით "საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან
ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო
სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული
საკონტროლო-სალარო აპარატების ექსპლოატაციის ვადის
გაგძელების შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 27 თებერვლის №147 ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო-სალარო აპარატების მიმართ წაყენებული ტექნიკური მოთხოვნებისა და სახელმწიფო რეესტრის წარმოების წესის" მე-2 პუნქტის შესაბამისად 2007 წლის 25 დეკემბრის №8000 ბრძანებით სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებულ საკონტროლო-სალარო აპარატებს (ჩამონათვალი თან ერთვის) გაუგრძელდეთ გამოყენების ვადა ფისკალური მეხსიერების ამოწურვამდე.

2. რეგიონულმა ცენტრებმა (საგადასახადო ინსპექციებმა), საგადასახადო ინსპექციებმა უზრუნველყონ მიწარმეთა მყისიერი ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.

3. შემოსავლების სამსახურის ადმინისტრაციამ (ვ. თუშიშვილი) უზრუნველყოს ამ ბრძანებით გამოყენების ვადა გაგრძელებული საკონტროლო-სალარო აპარატების ჩამონათვალის საინფორმაციო საშუალებებით გამოქვეყნება ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერის დღიდან.

საფუძველი: საკონტროლო-სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრის წარმოების 2008 წლის 2 დეკემბრის სხდომის საოქმო გადაწყვეტილება

სამსახურის უფროსი: გრიგოლ გოხენეიშვილი

ეგზავნება: კანცელარიას, ადმინისტრაციას, საქ. ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს, ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის დეპარტამენტს, რეგიონულ ცენტრებს (საგადასახადო ინსპექციებს), საგადასახადო ინსპექციებს, სსა-ების შემომტან, რეალიზატორ და ტექნიკური მომსახურების საწარმოებს, საქართველოს სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოს.

2007 წლის 25 დეკემბრის №8000 ბრძანებით სახელმწიფო რეესტრიდან ამოღებული საკონტროლო-სალარო აპარატების ჩამონათვალი, რომელთაც რეესტრის წარმოების სახელმწიფო კომისიის 2002 წლის 2 დეკემბრის სხდომის გადაწყვეტილებით გამოყენებქის ვადა გაუგრძელდათ ფისკალიზაციის ამოწურვამდე

№	სსა-ს მოდელი	არსებული მდგომარეობით რეგისტრირებული სსა-ს რაოდენობა
1	2	3
1	მერკური – 111 ფ	26
2	მერკური – 112	80
3	მერკური – 152	8
4	ევროპა – 2.0 ფ	29
5	აზიმუტ-ეფსონი-ტმ-950 რფ მერკური – 114 ფ	4
6	"ოკა-პფ"	4900
7	"ეკრ-2102ფ"	63
8	"ელკა-803"	16
9	"ელკა 852-02"	4
10	"ივერია"	10
11	"ერა-101"	277
12	"კასიო ფ.ე-700"	109
13	"ა-100"	4
14	"ელიტ-მობილი"	0
15	"ელიტ-მინი რ.ფ"	3
16	"ელკა-მიკრო ფ-03"	5
17	"ელტ-მიკრო"	18